The idea of creating a magazine on copyright was born not long ago in the course of the ongoing changes in this field. These recent changes serve for the transformation of the existing reality in a better way. The protection of copyrights in Georgia is one of the key priorities of both the government and the European Union, both of which have offered support to the Copyright Association for this publication. The situation in Georgia has matured for the regulation of this field and both the government and non-governmental or business sectors should adequately respond to the existing challenges. No matter how non-modest it might sound, the Copyright magazine is the first publication of its kind in the area of the protection of copyrights which, while certainly a pleasant fact, is also, at the same time, a great responsibility as well as a risk, of sorts. Our goal has been to not only raise public awareness in this field; there is a purely pragmatic aspect as well. One thing is the existing legislative framework and its compliance with international standards and the other, and more important, is how well the legislation will be enforced and practiced. We have tried to make an objective picture in the light of the government, the EU and the non-governmental and business sectors as well as of the people engaged in the cultural field. We should not forget the circumstance that we are the successors of a state which has lacked private and, especially, intellectual property tradition and respect. It is a problem of mindset affecting the social culture and values. This reality has to change. It is an illness from which the public needs to be cured, so to speak, if we want to develop and become a civilized nation. Culture is our image and is represented abroad with history and art. Nobody is entitled to use our art illegally or in a form that is distorted. Our ambition is to protect artifacts and artists at whose expenses the nation's identity is practiced. On the pages of the magazine you will find the prominent and yet unknown representatives of Georgian art and the problems existing in the area of copyright protection and their solutions as well as becoming familiarized with the current cultural life in the country. Art is a parallel world which sometimes is more important than the real one and significantly determines the latter's form. We would like to see this sector more financially profitable and the people engaged within given material remuneration along the moral one. Finally, for the implementation of the idea we would like to thank the Delegation of the European Union in Georgia, the Ministry of Culture and Monument Protection, the National Intellectual Property Center Sakpatenti, the editorial team, the authors, the respondents and our potential readers.

Cordially
Giga Kobaladze
Chairman
GCA

იდეა, შექმნილიყო ჟურნალი საავტორო უფლებების შესახებ, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, ამ სფეროში მიმდინარე ცვლილებების პროცესში გაჩნდა. ცვლილებები, რომლებიც ბოლო პერიოდში მიმდინარეობს, არსებული რეალობის უკეთესობისაკენ შეცვლას ემსახურება. საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის საკითხი როგორც სახელმწიფოს, ასევე ევროკავშირის ერთ-ერთი ძირითადი პრიორიტეტთაგანია. ჟურნალიც სწორედ მათი მხარდაჭერით საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ გამოიცემა. საქართველოში მომწიფდა სიტუაცია, რომ ეს სფერო დარეგულირდეს და სახელმწიფო, არასამთავრობო თუ ბიზნესის სექტორმა ადეკვატურად უპასუხოს არსებულ გამოწვევებს. რამდენად არათავმდაბლურადაც უნდა ჟღერდეს, ჟურნალი Copyright-ი პირველი ჟურნალია საავტორო უფლებების დაცვის სფეროში, რაც, რა თქმა უნდა, სასიამოვნო ფაქტია, მაგრამ, ამავდროულად, საპასუხისმგებლოც და, ალბათ, სარისკოც. ჩვენი მიზანი იყო არა მხოლოდ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლება ამ სფეროში, არამედ წმინდა პრაგმატული მხარის გათვალისწინებაც. ერთია არსებული საკანონმდებლო ბაზა და მისი შესაბამისობა საერთაშორისო სტანდარტებთან, მეორე და უფრო მნიშვნელოვანი კი ის, თუ რამდენად აღსრულდება კანონმდებლობა და როგორ წარიმართება რეალური პრაქტიკა. ჩვენ შევეცადეთ, დაგვეხატა ობიექტური სურათი სახელმწიფო, ევროკავშირის, არასამთავრობო და ბიზნესის სექტორისა თუ კულტურის სფეროს მოღვაწეების თვალთახედვით. გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ ჩვენ ვართ იმ სახელმწიფოს მემკვიდრე, რომელშიც არ არსებობდა კერძო, მით უფრო, ინტელექტუალური საკუთრების ტრადიცია და პატივისცემა. ესაა მენტალური პრობლემა, რომელიც უარყოფითად აისახება სოციალურ კულტურასა თუ ღირებულებებზე. ეს რეალობა შესაცვლელია. ესაა სენი, რომლისგანაც უნდა განიკურნოს საზოგადოება, თუ გვსურს, განვვითარდეთ და ჩამოვყალიბდეთ, როგორც ცივილიზებული ერი. კულტურა ქვეყნის სახეა და მისი იმიჯი უცხოეთში სწორედ ისტორიითა და ხელოვნებითაა წარმოჩენილი. არავის აქვს უფლება, უკანონოდ ან დამახინჯებული ფორმით ისარგებლოს სხვისი შემოქმედებით. ჩვენი სურვილია, დავიცვათ ის არტეფაქტები და არტისტები, რომელთა ხარჯზეც ერის იდენტურობა ხორციელდება. ჟურნალის ფურცლებზე თქვენ იხილავთ ხელოვნების სფეროს სახელოვან და ჯერ „უსახელო“ წარმომადგენლებს, გაეცნობით საავტორო უფლებების დაცვის სფეროში არსებულ პრობლემატიკას და მისი გადაჭრის გზებს, შეიტყობთ ქვეყანაში მიმდინარე კულტურული ცხოვრების შესახებ. ხელოვნება ხომ პარალელური სამყაროა, რომელიც ზოგჯერ უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რეალური და ბევრწილად განსაზღვრავს ამ უკანასკნელის სახეს. ჩვენ გვსურს, ეს სფერო გახდეს ფინანსურად მოგებიანი და აქ მოღვაწე ადამიანებს, მორალურის გარდა, მატერიალური საზღაურიც მიეცეთ. დაბოლოს, იდეის განხორციელების მხარდაჭერისათვის მადლობას ვუხდით საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს, ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს – „საქპატენტს“, სარედაქციო ჯგუფს, ავტორებს, რესპონდენტებსა და პოტენციურ მკითხველებს.

პატივისცემით
გიგა კობალაძე
საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის თავმჯდომარე



4
შემეცნება / OVERVIEW
დამწერლობის განვითარებიდან საავტორო უფლებებამდე
From Development of Written Language to Copyrights

12
მთავარი თემა / MAIN THEME
ინტერვიუ ნიკოლოზ რურუასთან
Interview With Nicholas Rurua

24
პორტრეტი / PORTRAIT
დები იშხნელები
Sisters Ishkhneli

38
პრობლემატიკა / PROBLEMATICS
ინტერვიუ „საქპატენტის“ ხელმძღვანელ ირაკლი ღვალაძესთან
Interview With Irakli Gvaladze, Head of SAKPATENTI
ინტერვიუ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვაჭრობის ატაშე ვირჯინი კოსულთან
Interview with Virginie Cossoul, Trade Attachè at the EU Delegation to Georgia

60
პრეცედენტები / PRECEDENTS

66
ქართველები უცხოეთში / GEORGIANS ABROAD
ვალერიან შიუკაშვილი, მუსიკოსი
Valerian Shiukashvili, Musician

76
საავტორო უფლებათა ასოციაცია / GCA
საქმიანობა, ფუნქციები
Activities

84
დებიუტი / DEBUT
The Window

96
დაიჯესტი / DIGEST

გამომცემელი: საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია / Publisher: Georgian Copyright Association (GCA)
საქართველო, 0171 თბილისი, კოსტავას ქ. 63 / 63 Kostava str. 0171 Tbilisi, Georgia
ტელ.:/Tel: +995 322 237887
www.gca.ge contact@gca.ge

აღმასრულებელი მენეჯერი: თამარ კემულარია / EXECUTIVE MANAGER: Tamar Kemularia
ნომერზე მუშაობდნენ: ირინა დემეტრაძე, მანანა ლომიძე, ხათუნა გოგიშვილი
THE EDITION WAS PREPARED BY: Irina Demetradze, Manana Lomidze, Khatuna Gogishvili

ფოტო და გრაფიკული დიზაინი: PHOTO AND GRAPHIC DESIGN: ISEE STUDIO ხელმძღვანელი: ნათია ბალიაშვილი / MANAGER: Natia Baliashvili
აკო ხარისთვალაშვილი, ქეთი ფოფხაძე, /Ako Kharistvalashvili, Kate Popkhadze

ლიტერატურული რედაქტირება: ნათელა მუზაშვილი, ჯეფრი მორსკი
LITERATURE EDITING: Natela Muzashvili, Jeffrey Morski

ნომერი დაიბეჭდა გამომცემლობა „გაზეთი საქართველოს მაცნეს“ მიერ.
The edition was printed by the publishing house: "Newspaper Sakartvelos Matsne"
ნომერი გამოიცა ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის – GEPLAC-ის ფინანსური მხარდაჭერით.
The edition was published with the financial support of the EU funded project – GEPLAC
ჟურნალი გამოდის კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის „საქპატენტის“ მხარდაჭერით.
The magazine was published with the support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia and the National Intellectual Property Center – SAKPATENTI

ჟურნალში გამოქვეყნებული მასალების გამოყენება გამომცემელის ნებართვის გარეშე აკრძალულია.
The use of the magazine content is forbidden without prior permission of the publisher.
ჟურნალის შინაარსზე პასუხისმგებელია GEPLAC და არ გახატავს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.
The contents of this magazine is the sole responsibility of Georgian-European Policy and Legal Advice Centre (GEPLAC) and can in no way be taken to reflect the views of the European Union.
ყველა უფლება დაცულია © 2012 All Rights reserved

Financed by the EU

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია
კოლექტიური მართვის ორგანიზაცია

ავტორის უფლებები OVERVIEW

დამწერლობის განვითარებიდან
საავტორო უფლებებამდე

FROM DEVELOPMENT OF WRITTEN LANGUAGE
TO COPYRIGHTS

შეხედულება OVERVIEW

დაწერილობის განვითარებიდან საავტორო უფლებებამდე

FROM DEVELOPMENT OF WRITTEN LANGUAGE TO COPYRIGHTS

თითქმის 3000 წლის წინათ ანტიკური ხანის შუმერები, ბაბილონელები და ხეთები ლურსმული დამწერლობის ნიმუშებს ქმნიდნენ. თანდათან საწერი მასალა იხვეწებოდა და თიხის მაგივრად უკვე ძველი ბერძნები და რომაელები ხის მერქანს იყენებდნენ. შესაბამისად, მოსახერხებელი გახდა პაპირუსებისა და ხის დაფების წიგნად აკინძვა. რომაელები უფრო შორს წავიდნენ და წიგნებით ვაჭრობა განავითარეს, წიგნების გადამრავლების საკუთარი ხერხი შეიმუშავეს – ერთდროულად ოცდაათამდე მონას კარნახობდნენ ხელნაწერს და ერთდროულადვე უკვე 30 წიგნი იქმნებოდა.

საავტორო უფლებების წარმოჩენის საქმეში დიდი როლი აკისრია ტექნოლოგიურ განვითარებას. ბეჭდვის ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად პირველი ბეჭდური წიგნი ჩინეთში ჩვ.წ.-ის მე-6 საუკუნეში შეიქმნა, ხოლო ევროპაში მხოლოდ მე-15 საუკუნეში მოხდა ორი დიდი ტექნოლოგიური რევოლუცია, გამოიგონეს თანამედროვე ქაღალდის მასალა და 1436 წელს – მოძრავი საბეჭდი მანქანა. ამ გამოგონებიდან უკვე 50 წლის შემდეგ წიგნების ასლების რაოდენობამ 10 მილიონს მიაღწია.

... მთელი ამ საუკუნეების განმავლობაში ვერავინ წარმოიდგენდა იმას, რომ რომელიმე ხელნაწერის ავტორს, მოკარნახეს ან გადამწერ მონას შეიძლებოდა ამ ნაწარმოებზე ინტელექტუალური საკუთრების უფლება ჰქონოდა.

Approximately 3,000 years ago, the historic Sumerians, Babylonians and Hittites created their works in written languages. Gradually, writing materials were being improved and perfected with the ancient Greeks and Romans using wooden boards instead of clay. Subsequently, it became more convenient to make books from papyrus and wooden boards. The Romans went even further and developed the selling of books. They worked out their own technology for producing multiple copies: they dictated the text to 30 slaves simultaneously and, thus, 30 books were ready at a time.

Technological progress played an important role in the emergence of copyright. As a result of introducing new printing technology, the first printed book was produced in the sixth century A.D. in China. In Europe, however, it was not until the fifteenth century that two great technological revolutions took place: contemporary paper material and the printing machine with a moving mechanism (1436) were invented. Just 50 years after that invention, the number of book copies reached ten million.

During all of those centuries, no one would imagine that any author or slave copying a text could have copyright for the use of his work.

პირველი დავა ბეჭდური სიტყვის საავტორო უფლებაზე ჩვ.წ.-ის 560 წელს წამოიჭრა და სასამართლო გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული. ისევე, როგორც სხვა საკუთრება, შემოქმედებითი ნაშრომიც აღიარებული იქნა საკუთრებად. ეს ფაქტი შესაძლოა ჩაითვალოს ინტელექტუალური საკუთრების დაცვის პირველ ფაქტად.

დავა ირლანდიაში ბერებს, სენ კალუმბასა და სენ ფინიანს, შორის წარმოიშვა. სენ კალუმბამ სენ ფინიანის ლათინური ფსალმუნი გადაწერა და წიგნს დიდი ფასი დაადო. ამ ამბის გაგების შემდეგ სენ ფინიანმა თავისი წიგნიდან გადაწერილი ასლი მოითხოვა, რის შესახებაც წერილობით მიმართა მეფე დერმოტს, რომელმაც საქმის განხილვის შემდეგ შემდეგი შინაარსის ვერდიქტი გამოიტანა: „როგორც ძროხას ეკუთვნის თავისი ხბო, ასევე წიგნს ეკუთვნის თავისი ასლი“. ასეთი ერთეული ფაქტების მომრავლების შემდეგ უკვე გაჩნდა მოთხოვნილება საავტორო უფლებების კანონის შექმნისა.

საავტორო უფლებების მინიჭების პირველი პროცესი დიდი წნეხის ქვეშ იყო. საავტორო უფლებებამდე კი ცენზურა გაჩნდა. გადმოცემით, ამერიკის შეერთებული შტატების (აშშ) საავტორო უფლებების შესახებ კანონი დაფუძნებული იყო ინგლისის სამეფო კარზე შექმნილ ცენზურაზე, თუმცა ეს ნაკლებ სარწმუნოა, რადგან „სიტყვის კონტროლი“ სათავეებს ანტიკური პერიოდიდან იღებს.

ცენზურას გადიოდა ყოველი წერილობითი აქტი თუ ზეპირი გამოსვლა, რომლებშიც შეინიშნებოდა საერო ან რელიგიური ხელისუფლების წინააღმდეგ მიმართული მოწოდებები.

The first dispute over the copyright on printed text took place in 560 A.D., and a court decision was taken, too. Creative work was acknowledged as property, just like any other property. Most likely, this fact could be considered as the first case of intellectual property rights protection.

The dispute occurred in Ireland between two monks, St Columba and St Finian. St Columba copied St Finian's Latin psalms and charged a high price for the book. After learning about the state of affairs, St Finian required a copy of his book and addressed King Dermot in writing who, after having considered the case, brought the following verdict: "As a cow owns its calf, so a book owns its copy."

Afterwards, individual cases multiplied and the requirement for drafting a copyright law emerged.

The first process of granting copyright experienced great pressure. It was censorship that emerged before copyright. As is known, the US Copyright Law was based upon the censorship that emerged at the English Royal Court although this does not sound too realistic given that "Word Control" started centuries ago.

Each written act or oral speech, where one could note statements directed against civil or religious authorities, was subject to censorship.

560 BC

ამ პერიოდში უკვე ფართოდ გავრცელდა წიგნებით ვაჭრობა, შესაბამისად, ცენზურის მასშტაბები იზრდებოდა. შედეგად, მოვლენები ისე განვითარდა, რომ 1559 წელს ეკლესიის მიერ ცენზურაგავლილი წიგნების სია გამოქვეყნდა. ამ სიის თანახმად კათოლიკური ეკლესიის მიერ 5000 წიგნი აიკრძალა.

1559

During this period, trade in books was widespread and the scale of censorship grew accordingly. As a result, everything developed in such a way that a list of books, having undergone censorship at the church, was published in 1559. According to this list, 5,000 books were banned by the Catholic Church.

მიმოხილვა
OVERVIEW

1469

წიგნებით ვაჭრობამ ბაზარზე, ცენზორების გარდა, „წიგნის მეკობრეები“ გააჩინა. ამის გამო აუცილებელი გახდა წიგნების ავტორების უფლებების დაცვა. უამრავი ავტორი და მათი მემკვიდრე ცალ-ცალკე მოითხოვდა ექსკლუზიური ბეჭდვის უფლებას ამა თუ იმ ნაწარმოებზე და შესაბამისად, გარკვეული პრივილეგიებიც უნდა მისცემოდათ გამომცემლებს.

პირველი ასეთი უფლება 1469 წელს ვენეციის სენატმა მიანიჭა გერმანელ მბეჭდავს, იოჰანეს დე სპირას, რომელსაც ხუთი წლის განმავლობაში უნდა დაებეჭდა ციცერონისა და პლინიუსის წერილები, ხოლო უკვე 1486 წელს საავტორო უფლებების დარღვევის პრევენციული ზომა დაფიქსირდა. ანტონიო საბელიკოს, რომელსაც მიენიჭა მისი ნაწარმოების დაბეჭდვის ერთჯერადი ლიცენზია, მისი დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებოდა ჯარიმა 500 დუკატის ოდენობით, ხოლო თავად ლიცენზია უვადო იყო.

Selling books on the market, apart from the censors, brought the so-called “book pirates” to life. This conditioned the necessity of the protection of authors’ rights. A great many authors and their heirs individually required the right to the exclusive printing of this or that literary work and, respectively, certain rights were to be granted to publishers.

The first such right was granted by the Doge of Venice to a German printer, Johannes De Spira, in 1496 who was given an exclusive five-year permit to print Cicero’s and Plinius’s letters. Already in 1486, a measure to prevent breach of copyright had been set. Antonio Sabellico, who was granted a one-off privilege to print his literary work, would have to pay a fine of 500 Ducats for any abuse of the condition with this privilege, itself, was permanent.

1476

ამავე პერიოდში, 1476 წელს, მას შემდეგ, რაც ვესტმინსტერში საბეჭდი მოწყობილობა დაამონტაჟეს, უკვე ინგლისელმა გამომცემლებმა გამოთქვეს სურვილი, თავად მიეღოთ ბეჭდვის ექსკლუზიური უფლება.

During the same period, after printing equipment was installed at Westminster in 1476, British publishers expressed a desire to acquire an exclusive right to printing.

1517

1517 წელს ვენეციაში გამოიცა პირველი წესდება, რომელიც შეიძლება თამამად ჩაითვალოს საავტორო უფლებების დაცვის პირველ დოკუმენტად. ამ დოკუმენტში თავმოყრილი ზოგადი დებულებებისა და წესების ერთი ნაწილი ძირითადად ბეჭდვის პროცესის წარმართვასა და მისი ლიცენზირების საკითხებს არეგულირებდა.

In 1517, the first regulation was issued in Venice that can be considered the first document on copyright protection. A part of the general regulations and rules stipulated in the document basically regulated the issues of printing and its licensing.

1533

საავტორო უფლებების დამცავი დებულების არსებობის მიუხედავად ინგლისში გარკვეული აკრძალვები მოქმედებდა. 1533 წელს ჰენრი VIII-მ აკრძალა ქვეყანაში წიგნების იმპორტი. მისი ბრძანების მიხედვით ყველა ახალი წიგნი უნდა დაბეჭდილიყო ინგლისში. შესაბამისად, თავი იჩინა მონოპოლიისა და დისკრიმინაციის ნიშნებმა. ამას მოჰყვა საკანცელარიო კომპანიის ჩამოყალიბება, რომელიც 1557 წლის 4 მაისს მეფე ფილიპემ და დედოფალმა მერიმ სამეფო წესდებით დააჯილდოვეს. წარმოიშვა ბეჭდვის მონოპოლიური სტრუქტურა. არავის, გარდა საკანცელარიო კომპანიის წევრისა, არ ჰქონდა უფლება, გამოეცა წიგნი ან რაიმე სხვა ბეჭდური მასალა. ამავე კომპანიას ჰქონდა მინიჭებული უფლება, გამოეკვლია და დაეყადაღებინა ყველა არალეგალური გამოცემა. ამ დადგენილების თანახმად, დაცული იყო მარტო საკანცელარიო კომპანიის უფლებები და არა ავტორებისა. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დადგენილება არ იცავდა ავტორების ქონებრივ თუ არაქონებრივ უფლებებს, ის მაინც ითვლება საავტორო უფლებების შესახებ კანონის წინამორბედად.

Irrespective of the existence of protecting regulations, certain bans were applied in England. In 1533, King Henry VIII banned the import of books into the country. According to his decree, all the new books should have been printed in England; consequently, the signs of monopoly and discrimination emerged. After that, the Stationers’ Company was founded that was granted a royal regulation by King Phillip and Queen Mary on 4 May 1557. Thus, a printing monopoly structure was established. No one, except a member of the Stationers’ Company, had the right to publish a book of any other printed matter. The same company was given the right to investigate and suspend all illegal publications. According to these regulations, it was only the rights of the Stationers’ Company, and not those of the authors. Even though these regulations did not protect authors’ property or non-property rights, they are considered a predecessor of copyright law.

ფოტო: რედაქციის არქივიდან / PHOTO: EDITORIAL ARCHIVE

მიმოხილვა
OVERVIEW

1640

ხანგრძლივი დებატებისა და წინააღმდეგობების შემდეგ, 1640 წელს, ინგლისის თემთა პალატამ მიიღო დადგენილება, რომლის მიხედვითაც უკვე ნაშრომის ავტორსაც ენიჭებოდა გარკვეული ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და შესაბამისად, შეიზღუდა გამომცემლის უფლებები. ამიერიდან მას არ ჰქონდა უფლება, გამოეცა წიგნი ავტორის ნებართვის გარეშე და ამავე დროს წიგნზე უნდა დაფიქსირებულიყო ავტორის სახელი.

In 1640, after lengthy debate, the House of Commons in England passed a resolution according to which the author of a literary work was granted certain property and non-property rights and, accordingly, the rights of the publisher were limited. From then on, a publisher did not have the right to publish a book without the author's permission and, at the same time, the author's name should have been mentioned on the book.

1695

1695 წელს დღის წესრიგში დადგა არსებული ბეჭდვის ლიცენზირების აქტის განახლება და მისი მოქმედების ვადის გაზრდა ორ წლამდე. თუმცა, მიუხედავად ინგლისის საკანცელარიო კომპანიის მრავალჯერადი პეტიციისა და კანონმდებლების მხრიდან ლობირების მცდელობისა, ყოველი ახალი შემოთავაზება ინგლისის პარლამენტისგან უარყოფილი იქნა.

In 1695, it became necessary to review the existing Act on Printing Licensing and increase the term of the license to two years. However, irrespective of multiple petitions of the Stationers' Company and law-makers' lobbying efforts, the English Parliament rejected each new suggestion.

1710

1710 წლის იანვარში თემთა პალატას გაეგზავნა კანონპროექტი, რომელიც ხანგრძლივი განხილვის შემდეგ ამავე წლის აპრილში მიიღეს, იგი დედოფალ ანას წესდების სახელწოდებითაა ცნობილი. წესდება ითვლება პირველ სრულფასოვან კანონად ავტორებისა და გამომცემლების უფლებების შესახებ.

დედოფალ ანას კანონის მიხედვით საავტორო უფლება ენიჭებოდა ავტორს. სრულიად შეიცვალა ამ საკითხისადმი ფილოსოფიური და საკანონმდებლო მიდგომა.

In January 1710, a draft law was submitted to the House of Commons and, after a lengthy consideration, was passed in April of the same year. It is known as the Statute of Anne (for Queen Anne, during whose reign it was enacted). The Statute is considered to be the first fully-fledged law on the protection of authors' and publishers' rights.

According to the Statute of Anne, the copyright was granted to authors. The philosophy and legal understanding of this issue was entirely changed.

ფოტო: რედაქციის არქივიდან / PHOTO: EDITORIAL ARCHIEVE

კანონის მიხედვით:

❶ ავტორს საავტორო უფლება ნაწარმოებზე ენიჭებოდა 14 წლის ვადით და მისი განახლება შესაძლებელი იყო მხოლოდ ერთხელ ისევ 14 წლით

❷ კანონის ამოქმედებამდე დაბეჭდილ ნაწარმოებებზე საავტორო უფლება ვრცელდებოდა მისი დაბეჭდვის თარიღიდან 21 წლის განმავლობაში, შემდეგ იგი იძენდა საყოველთაო საკუთრების სტატუსს

❸ ავტორი ვალდებული იყო, საკუთარი ნაშრომი დაერეგისტრირებინა საკანცელარიო კომპანიაში

❹ კონკრეტული წიგნების ეგზემპლარები უნდა გადასცემოდა რიგ ბიბლიოთეკებს

ACCORDING TO THE STATUTE:

Copyright was granted to the author for the term of 14 years and its renewal was possible only once for the same 14 years

For all works already in print at the time of the Statute's enactment, the copyright was granted for the term of 21 years after which the copyright acquired the status of common property

The Statute required that the author register his or her work at the Stationers' Company

The Statute required that printers provide copies of concrete books to certain libraries

ეს კანონი, რომელიც ითვლება საავტორო უფლებების შესახებ პირველ სრულყოფილ კანონად, დროთა განმავლობაში ტექნოლოგიების, ინდუსტრიისა და შემოქმედებითი სფეროების განვითარებასთან ერთად ცვლილებებს განიცდიდა. ამ წერილში ჩვენ არ გაცნობთ კანონის პროგრესის სრულ ისტორიას. დაელოდეთ ჟურნალის მომდევნო ნომერს და გაიგეთ, რა გადატრიალება მოახდინა ჯოზეფ ნისეფორ ნევსმა მსოფლიო ინდუსტრიაში და რა გავლენა იქონია ამან საავტორო უფლებების შესახებ კანონზე.

This Statute, which is considered to be the first fully-fledged copyright law—together with the development of technology, industry and creative work—was undergoing changes. We are not telling the full history of the Statute and its progressive development. Look forward to our next issue and learn about the revolution that Joseph Nicéphore Niépce made in world industry and how it affected the Statute on Copyright.



ფოტო: რედაქციის არქივიდან / PHOTO: EDITORIAL ARCHIEVE

ამავრი თემა MAIN THEME

Copyright

ინტერვიუ ნიკოლოზ რურუასთან

INTERVIEW WITH NICHOLAS RURUA

სჯობს მართალი იყო, ვიდრე პოპულარული...

IT IS BETTER TO BE FAIR THAN POPULAR...

რატომ არის ანარქისტული შეხედულებები COPYRIGHT-სა და ინტელექტუალურ საკუთრებაზე მოძველებული? როგორ აისახება ზოგადად ქვეყნის რეპუტაციასა და ეკონომიკაზე ინტელექტუალური საკუთრების უკანონოდ მითვისება? რა როლს თამაშობს COPYRIGHT-ი კულტურისა და ტექნოლოგიების განვითარებაში? რატომ არ აქვს აზრი ცინიკოსთან კამათს? ამ საკითხებზე საუბრობს საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი ნოლოზ რურუა.

WHY ARE ANARCHISTIC VIEWS ON COPYRIGHT AND INTELLECTUAL PROPERTY OBSOLETE? HOW DOES ILLEGAL USE OF INTELLECTUAL PROPERTY AFFECT A COUNTRY'S REPUTATION AND ECONOMY? WHAT ROLE DOES COPYRIGHT PLAY IN THE DEVELOPMENT OF CULTURE AND TECHNOLOGY? WHY IS THERE NO IDEA IN ARGUING WITH A CYNIC? NICHOLAS RURUA, MINISTER OF CULTURE AND MONUMENT PROTECTION DISCUSSED THESE ISSUES.

© რატომ არის ზოგადად ინტელექტუალური საკუთრება და მისი ქვეკატეგორია copyright-ი მნიშვნელოვანი? რა სიტუაციაა ამ მხრივ საქართველოში?

Copyright-ის ისტორია დაახლოებით 200 წელს ითვლის. შემოღებული იყო ინგლისში (დედოფალ ანას სტატუტი), სქელტანიანი, სქელყდიანი წიგნების გამომცემლების მონოპოლიის გასამყარებლად. ისინი, თავის მხრივ, ეწინააღმდეგებოდნენ კონკურენციას და მათი ნებართვის გარეშე კოპირების უფლება შეიზღუდა. შოტლანდიელმა გამომცემლებმა, იმ დროინდელმა „მეკობრეებმა“, დაამზადეს ეგრეთ წოდებული სოფტცოვერ-ები – რბილყდიანი წიგნები, და ფართო მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადეს ის ტექსტები, რომელთა სქელყდიან გამოცემებზე მათ ხელი არ მიუწვდებოდათ; ანუ „პირატობა“ პოზიტიური მოვლენა იყო, რადგან ის ხელს უწყობდა ინფორმაციის გავრცელებასა და ხალხის განათლებას. თანამედროვე სამყაროში, მასმედიისა და ინტერნეტის ეპოქაში, როდესაც ინფორმაცია უფასოდ და დიდი რაოდენობით ვრცელდება, ამ ანარქისტულმა არგუმენტმა აზრი დაკარგა.

Why is intellectual property, and its sub-category, copyright, important? What is the situation concerning the above in Georgia?

The history of copyright started about 200 years ago. It was introduced in England (Statute of Anne) in order to strengthen the monopoly of publishers of thick hardcover books. They, in their turn, were opposing competition and, without their permission, the copyright was limited. Scottish publishers, the "pirates" of that time, produced paperbacks and, therefore, made texts that were too expensive in hardcover affordable for the wider audience. Piracy, in this case, was a positive phenomenon since it facilitated information dissemination and contributed to education. In the modern world, in the epoch of mass media and internet, when information is freely and massively disseminated, this anarchistic argument lost its power. Today, in order to have intellectual property established, an author's autonomy is to be protected. An author needs a guarantee that at least for a defined period of time he will maintain exclusive right to his invention or work.

დღეს იმისთვის, რომ ინტელექტუალური საკუთრება შეიქმნას, ავტორის ავტონომია უნდა იყოს დაცული. ავტორს სჭირდება გარანტია, განსაზღვრული პერიოდით მაინც, ექსკლუზიური უფლება შეინარჩუნოს თავის გამოგონებასა თუ ნაწარმოებზე. მან უნდა შეძლოს იარსებოს ამ შემოსავლით და შემდგომ გააგრძელოს მუშაობა ამ მიმართულებით. რომ არა copyright-ი და ინტელექტუალური საკუთრების დაცვა, კაცობრიობას არ ეყოლებოდა სტივ ჯობსი, რომელიც ესოდენ ცნობილი არ იქნებოდა, და, საერთოდ, არ იარსებებდა Apple. Apple-ის ყველა უფლება დაცულია, თანაც ძალიან მკაფიოდ. იმისთვის, რომ მსოფლიოს ჰქონდეს ახალი გამოგონება, საჭიროა საავტორო უფლებები იყოს დაცული და ექსკლუზიურად ეკუთვნოდეს მის გამომგონებელს, ანდა – იმ კომპანიებსა თუ პირებს, რომლებიც შეიძენს ლიცენზიას. მარტივად ასეა. ანარქისტული შეხედულებები ინტელექტუალურ საკუთრებაზე დღეს მოძველებულია. მაღალი ტექნოლოგიების ეპოქაში ამ სფეროში განუკითხაობა სრულიად მიუღებელია. ქაოსი მხოლოდ შეაფერხებს პროგრესს. მარტივად რომ ვთქვათ, ადამიანებს აღარ ექნებათ გამოგონების მოტივაცია, ვინაიდან ეს არ იქნება ანაზღაურებადი.

ყველა სამართლებლივი ნორმა, ანუ კანონი, თუ ის სიცოცხლისუნარიანია, არსებული პრაქტიკიდან გამომდინარეობს ან ნაკარნახევია ცხოვრების პირობებით. ეს არ ნიშნავს, რომ კანონი ყოველთვის უნდა ესადაგებოდეს რეალობას. კანონმდებელი, როგორც policy-maker-ი ითვალისწინებს სიტუაციას და, მისი (ანუ სიტუაციის) მოგვარების ან რეფორმირება-დახვეწის მიზნით – ქმნის ამა თუ იმ კანონს. ეს კანონი შემდეგ ხდება იმ პოლიტიკის ინსტრუმენტი, რომლის განხორციელებაც კანონმდებელს სურს. ჩვენთან ინტელექტუალური საკუთრებისა და copyright-ის სფეროში არსებული პრაქტიკა აბსოლუტურად უმართავი იყო. აქედან გამომდინარე, კანონი, რომელიც დღეს საქართველოში არსებობს, კანონმდებლისა და იმავე ქვეყნის მხოლოდ სურვილს თუ ასახავს, რომ ეს სფერო დარეგულირდეს. რეალურად, კი დღეს ეს კანონი არ სრულდება, ანუ პრაქტიკა კანონს მიღმა რჩება. კანონი, როგორც მკვდარი ნორმა, არსებობს მხოლოდ ქაღალდზე. ჩემი აზრით, აი, ეს რეალობაა შესაცვლელი და თანაც – სასწრაფოდ. დღეს საქართველო, მეკობრეობის ინდექსით ბოლოდან პირველ ადგილზეა, ანუ ინტელექტუალური საკუთრების უკანონოდ მითვისება საქართველოში ყველაზე ხშირია.

ჩვენთან ძალიან ადვილია ფილმების download-ები, რამაც ფაქტობრივად გააქრო კინოში სიარულის მოტივაცია. ქართულმა ფილმმა თავისი დანახარჯი კინოჩვენებებით უნდა ამოიღოს. მიუხედავად იმისა, რომ დღეს კინოთეატრების რაოდენობა არასაკმარისია, ამის გამოსწორებასაც ვაპირებთ. ახლო მომავალში 20-მდე ახალი კინოთეატრი გაიხსნება საქართველოს მასშტაბით. პარალელურად, უნდა გართულდეს ე.წ. free download-ის შესაძლებლობა.

He should be able to earn his living with this income and continue his work. If not for copyright and intellectual property rights protection, Steve Jobs would not have been that famous and Apple would not have existed at all. Apple has all rights reserved and protected quite distinctly. In order that there be new inventions in the world, it is necessary that the copyright is protected and exclusively owned by the inventor or the company or individuals who would have purchased the license. It is as simple as that. Today, the anarchistic approach to copyright is obsolete. In the epoch of high technology, irresponsibility in this sphere in unacceptable. Chaos would only hinder progress. In other words, people would not have any incentives to invent if it were not remunerated.

All legal norms or laws, if they are vital, proceed from the existing practice or are dictated by the life conditions. It does not mean that the law must always correspond to the reality. A law-maker, as a policy-maker, takes the situation into consideration and, with the aim of rectifying, reforming or improving it, works out this or that law. The law then becomes the instrument of the policy pursued by the policy-maker. The existing practice in the sphere of intellectual property and copyright was absolutely unmanageable here. Therefore, the law presently existing in Georgia can only express the wish of the law-maker and the country to have this sphere put under regulation. In reality, though, the law is not enforced or, in other words, the practice remains beyond the law. The law, as a stillborn norm, exists only on paper. In my opinion, this is the reality to be changed, and changed urgently. Today, Georgia is the first from the end on the list of the piracy index; that is, the illegal misappropriation of intellectual property in Georgia happens most frequently.

It is very easy to download movies here and this has actually contributed to a disappearing motivation for visiting the cinema. Georgian movie makers are to receive revenue from cinemas and the number of cinemas here is not sufficient. We are going to rectify this as well. In the near future, up to 20 new cinemas are to be opened throughout Georgia. In line with this, the possibility of the so-called free downloading of movies should become more complicated.

ანარქისტული მიდგომის მომხრეები მიიჩნევენ, რომ ინტერნეტთან ბრძოლა წინდაწინ წაგებულია; და სწორედ ამ აკრძალვას მიიჩნევენ „ინტერნეტთან ბრძოლად“. ეს მცდარი შეხედულებაა. მართალია, free download-ის მთლიანად აღკვეთა შეუძლებელია, მაგრამ მისი გართულება ბევრად გააუმჯობესებს მდგომარეობას. ამ ლოგიკით თუ ვიმსჯელებთ, წარმოუდგენელია, ქურდობაც მთლიანად აღკვეთოს სახელმწიფომ, და ამიტომ ქურდობა ხომ არ უნდა დავუშვათ? თუკი მთლიანად ვერ ვსპობთ, რა აზრი არ აქვს მასთან ბრძოლას? – ის, აზრი აქვს, რომ კონკრეტულ პირატულ ქმედებაზე საზღაური აიწევს და ნაკლები ხალხი მიჰყოფს ამ საქმეს ხელს. თუნდაც, კინოში სიარულის მოტივაცია გაიზრდება. იგივე შეიძლება ითქვას მუსიკაზეც, კომპიუტერულ თამაშებზეც. ზოგადად, ეს ქვეყნის რეპუტაციასაც აყენებს ჩრდილს.

Advocates of the anarchistic approach argue that a fight with the internet is doomed to failure and they think that it is the very ban that comprises this “fight”. This is a false view. It is true that it is impossible to fully prevent free downloading; however, rendering it more complicated would greatly improve the situation. If we judge by this logic, then fully preventing theft is also impossible for the state so should we allow theft? You will ask if it is impossible to fully do away with something then what is the point of fighting it? The point is that the fine for a concrete act of piracy will increase and, therefore, fewer people would commit the act. The motivation of going to movies would grow, if nothing else. The same can be said about music and computer games. Generally, it puts a shadow on the reputation of the country.

ეს ნიშნავს, რომ სახელმწიფო, სადაც ინტელექტუალურ საკუთრებას ქონებად არ მიიჩნევენ, დაბალგანვითარებულია. ასეთი იმიჯი უნდა მოვიცილოთ, ერთი მხრივ, რეპუტაციის ამაღლების მიზნით, და, მეორე მხრივ, ძალიან პრაგმატული მოსაზრების გამო – ეს ყველაფერი აფერხებს გამომგონებლობას, ინოვაციას, რაც შესაბამისად ნეგატიურად აისახება ქვეყნის ეკონომიკაზე. სახელმწოფომ პრემიერ-მინისტრთან არსებული კომისია შექმნა, რომელშიც მეც შევდივარ და იკისრა ვალდებულებები ევროკავშირისა და სხვა პარტნიორების მიმართ, შექმნას რეალური ბერკეტები ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად. შეიცვალა ინტელექტუალური საკუთრების დამცველი ორგანიზაციის ხელმძღვანელობა. წინა ხელმძღვანელობა ამ გამოწვევას ადეკვატურად ვერ უმკლავდებოდა. იმედი მაქვს, რომ სახელმწიფოსთან მჭიდრო თანამშრომლობით, ეს ადამიანები, ვისაც პრობლემის არსი უკეთესად ესმის, საქმეს თავს გაართმევენ. სახელმწიფოს მხრიდან გადადგმული ნაბიჯები მისასალმებელია, მაგრამ – არასაკმარისი.

© თქვენ უკვე ახსენეთ საკითხისადმი ანარქისტული მიდგომა. არსებობს აზრი, რომ copyright-ი, შესაძლოა, მონოპოლიის ხელშემწყობი ფაქტორიც იყოს. ეს რეალობაა, თუ კვლავ ფობიაა?

ჩვენ იმ სახელმწიფოს მემკვიდრეები ვართ, რომელიც დაპყრობილი იყო და სადაც წლების მანძილზე ტოტალიტარული რეჟიმი იყო დამკვიდრებული. საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი მთავარ ღირებულება კერძო საკუთრების უარყოფა გახლდათ. ჩვენს ერს კერძო საკუთრებისადმი პატივისცემის მწირი გამოცდილება აქვს. ბოლშევიკების მიერ, სხვა დანარჩენთან ერთად, ის განცდაც ატროფირებული იყო, რომ ადამიანი თავისი სრულყოფილი არსებობისთვის საჭიროებს საკუთრების ექსკლუზიურად ფლობის უფლებას. ამ მიზეზით, homo sovieticus-ი ფსიქოლოგიურად დაზარალებული, დამახინჯებული ტიპაჟია. დანარჩენი კაცობრიობისგან განსხვავებით, მას ძალადობრივი გზით არჩეული ღირებულებები ჰქონდა. ეს არ იყო ნებაყოფლობითი არჩევანი, ეს იყო ტოტალიტარული სახელმწიფოს მიერ ნაკარნახევი რეალობა. დღეს ნებისმიერი სახელმწიფოს განვითარებისთვის საჭიროა, რომ ხაზი გაესვას კერძო საკუთრებას – როგორც ღირებულებას. კერძო კაპიტალი ჩვენში დაფარული, დამახინჯებული ფორმით არსებობდა, ეგრეთ წოდებულ ალტერნატიულ რეალობაში. გავიხსენოთ თუნდაც საქმოსნები, რომლებიც მიწაში ქილებით მარხავდნენ ძვირფასეულობასა და ფულს რადგან არ შეიძლებოდა საბჭოთა ადამიანი მდიდარი ყოფილიყო. ეს ხომ ანომალიაა. პარალელურ სამყაროში ცხოვრობდა ხალხი. დღეს ამ პარალელური რეალობიდან კანონიერ სივრცეში გადავდივართ და სწორედ ინტელექტუალური საკუთრებაც რომ საკუთრებაა, ეს ყველამ უნდა გაიგოს. ის არ გახლავთ ხელშესახები ნივთი, მაგრამ ისეთსავე დაცვას საჭიროებს, როგორსაც მატერიალური ღირებულება. ესაა საკუთრების ფორმა და ავტორს აქვს მისი განკარგვის ექსკლუზიური უფლება.

It means that the state, where intellectual property is not considered property, is one of low development. We should get rid of such an image, on the one hand, with the aim of raising our reputation and, on the other hand, because of a very pragmatic reason – all this hampers invention and innovation that, accordingly, is negatively reflected in the national economy. The State established a commission under the Prime Minister, of which I am also a member, and undertook the obligations to the European Union and other partners to create real mechanisms for the protection of intellectual property rights. The management of the organisation responsible for the protection of the intellectual property rights has changed. The former management could not adequately respond to the challenge. I hope that in close co-operation with the state, these people, who have a better understanding of the essence of the problem, will be able to tackle this business. The steps taken by the state are welcome, although not sufficient.

You have already mentioned the anarchistic approach to the issue. There is an opinion that copyright could possibly be a factor facilitating monopoly. Is it a reality or a phobia again?

We are the heirs of a state that had been conquered and where there had been a totalitarian regime for many years. One of the main values for the Soviet Union was the annihilation of private property. Our nation has little experience in respecting private property. Bolsheviks, together with other senses, had atrophied the understanding that a person for his or her full-fledged existence needs the right to exclusive ownership. For this reason, Homo Sovieticus is a psychologically defeated mutilated type. Unlike the rest of the mankind, Homo Sovieticus had values chosen by the way of violence. It was not a voluntary choice, it was a reality dictated by the totalitarian state. Today, for the development of any state, it is necessary that private property as a value be highlighted. Private capital existed here in a concealed disfigured form, in the so-called alternative reality. Let us recall the underground businessmen of those times that dug pots filled with precious stones and money in the ground, since it was not allowed for the Soviet people to be wealthy. It is an anomaly, isn't it? People lived in a parallel world. Today, we are transferring from that parallel reality to a law abiding one and everybody must come to know that intellectual property is property, too. It is, however, not something tangible and it needs protection in the same way as anything material. It is a form of property and the author has an exclusive right to dispose of it.

Copyright is not and will not be a factor promoting monopoly. There is argument that copyright is owned by big corporations and publishing houses. For instance, in the United States, all the publishing business is in the hands of ten big publishing houses. It is difficult for small publishing houses to compete with them. It is a reality. It is also a philosophical dilemma. The idea of free market itself is questioned.

Copyright-ი მონოპოლიის ხელშემწყობი ფაქტორი არ არის და არც იქნება. არსებობს ისეთი არგუმენტები, რომ საავტორო უფლებებს ფლობენ დიდი კორპორაციები, გამომცემლობები. მაგალითად, ამერიკაში მთელი საგამომცემლო საქმე 10 დიდი საგამომცემლო სახლის ხელშია. პატარა გამომცემლობებისთვის რთულია მათთან კონკურენცია. ეს რეალობაა. ისევ ფილოსოფიურ დილემამდე მივდივართ. თავად თავისუფალი ბაზრის იდეა დგება კითხვის ნიშნის ქვეშ. მცირე გამომცემლობები, პატარა წიგნის მაღაზიები მკითხველებს მოუწოდებენ, რომ მათი ნაწარმი იყიდონ და ამით პატარა გამომცემლობას დაეხმარონ. ამ წიგნის ყიდვა უკვე პოლიტიკური ჟესტია. თუ სიტუაცია ამ ჭრილში გადავიდა, მაშინ ეჭვქვეშ დგება მთლიანად ეკონომიკური სისტემა, რომელსაც კაპიტალიზმი გვთავაზობს. აქ უკვე ფილოსოფიური კამათი იწყება. ჩემი აზრით, დღევანდელ სამყაროში გამორიცხულია რომელიმე კორპორაციის, გამომცემლობის მონოპოლიამ შეაფერხოს იდეების გაცვლა. პირიქით, არსებობს ანტიმონოპოლიური რეგულაციები; მაგალითად, Microsoft-მა რაღაც მომენტში დაამყარა მონოპოლია პროგრამების ბაზარზე, ეს იყო დაახლოებით 7-8 წლის წინათ და ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა ის ორად „გახერხა“. ფიგურალურად რომ ვთქვათ, მუსიკის დამკვრელისა და ამ მუსიკაზე მოცეკვავის ფუნქციები გადაანაწილა. ამით მისცა საშუალება სხვა პროგრამისტებსა და კომპანიებს, კონკურენციის პირობებში ემუშავათ.

მუსიკის სფეროში ზოგადად download-მა მართლაც შეამცირა კომპაქტ დისკების გამოშვება. პარადოქსულია, მაგრამ ამავდროულად ძალიან მომრავლდა ვინილები. ძველ ვინილს აქვს ნივთის ღირებულება. ის არის ინტერიერის დიზაინის ნაწილი, სერიოზული მხატვრული ღირებულების მქონე ობიექტი. ასე რომ, ეს ტრენდები ერთი მიმართულებით არ ვითარდება. ურთიერთგამომრიცხავ მოვლენებსაც ვაწყდებით. ყოველივე ეს თამაშის წესებზე მნიშვნელოვნად არ აისახება. თუნდაც ელექტროწიგნები ავიღოთ – მათ აბრალებენ ჩვეულებრივი წიგნის ტირაჟების შემცირებას. რეალურად ასე არ არის. დიდი ქსელები ამერიკაში გააკოტრა არა ელექტრონულმა წიგნებმა, არამედ სახლში მიტანის სერვისმა, ძირითადად amazon-მა. მაგალითად, borders-ის გაკოტრებაში სწორედ amazon-ს მიუძღვის ბრალი. ადამინი სახლიდან გაუსვლელად ყიდულობს ნებისმიერ წიგნს თუ სხვა ნივთს. ამ გარემოებამ აზარალა ეს მსხვილი კომპანია. მეორე მხრივ, ევროპაშიც და ამერიკაშიც წიგნის მაღაზიაში სიარულის ტრადიცია სოციალური კულტურის ნაწილია და მხოლოდ შეძენას არ უკავშირდება. amazon-ის ერაშიც არსებობს დიდი მაღაზიები, როგორებიცაა Virgin Waterstone, Barns and Noble. ასე რომ, ცალსახა დასკვნების გაკეთება რთულია.

© ავტორის ცნება ახალ დროებას უკავშირდება, სეკულარიზაციასთან ერთად შემოდის კულტურაში. ვტორი იმავე პოსტმოდერნისტულ ხელოვნებაშიც ქრება, ანუ საავტორო უფლებები უფრო მატერიალურ დაინტერესებას ხომ არ ეფუძნება, ვიდრე შემოქმედებითს?

Small publishing houses and small bookstores appeal to the readers asking them to buy their products and, therefore, support the small publishing houses. Buying books then becomes a political gesture. Then, the whole economic system offered by capitalism is questioned. It is where a political argument starts. In my opinion, in today's world it is impossible that the monopoly of any corporation or publishing house hinder sharing ideas.

On the contrary, there are anti-monopoly regulations. For instance, at some moment, Microsoft established its monopoly on the software market, some seven-to-eight years ago, and the anti-monopoly service split it into two. Figuratively speaking, it distinguished the functions between the one that plays the music and the one that dances to that music. It gave, therefore, the possibility of working in the conditions of competition to other programmers and companies.

In music industry, generally, downloading has really downsized the production of CDs. It is a paradox but, at the same time, the production of vinyls increased. The old vinyl has the value of a thing. It is a part of interior design, an object with a serious art value. Therefore, these tendencies do not develop in one direction. We also come across mutually contradicting phenomena. All this does not significantly affect the rules of the game. Let us take electronic books. They are blamed for downsizing the circulation of regular books. What contributed to big networks going bankrupt in the United States was not electronic books but, rather, home delivery service, basically Amazon. For example, Amazon is to blame for Borders' bankruptcy. A person can buy any book or another thing. This condition made this big company incur losses. On the other hand, both in Europe and in the United States, visiting bookstores is a part of social culture and is not associated with only buying a book. Big stores, such as Virgin, Waterstone's, Barnes and Noble, exist in the era of Amazon, too. Therefore, it is difficult to draw unambiguous conclusions.

The concept of "author" is associated with the new time and is introduced in a secularised culture.
„Author" disappears in post-modernist art. In other words, is copyright based upon material incentive rather than upon a creative one?

The relations between the author and the reader are absolutely free. An author's autonomy also includes something that means a non-restriction of freedom in the second direction. Rock music megastar, Radiohead, for example, does not sell their music. They give the right to free downloading of their music to their listener although if they so wish, however, they should be able to protect their property rights and have the exclusive right to the product they created. There is no question about this. They chose this policy and freely distribute their hits.

ეს აბსოლუტურად თავისუფალი ურთიერთობაა ავტორსა და მკითხველს შორის. ავტორის ავტონომიაში ესეც შედის, რაც სწორედ მეორე მიმართულებით თავისუფლების შეუზღუდველობას ნიშნავს. როკმუსიკის მეგავარსკვლავი, ჯგუფი Radiohead-ი მაგალითად, თავის მუსიკას არ ყიდის. ის free download-ის უფლებას აძლევს მსმენელს, თუმცა მათაც, თუკი მოინდომებენ, უნდა შეეძლოთ დაიცვან თავიანთი ქონებრივი უფლება, უნდა ფლობდნენ ექსკლუზიურ უფლებას თავიანთ შექმნილ პროდუქტზე. ამაზე არ არის საუბარი. მათ აირჩიეს ეს პოლიტიკა და თავისუფლად ავრცელებენ თავიანთ ჰიტებს. ეს გულისხმობს, რომ არტისტების ნაწილი უბრალოდ ქველმოქმედია, რაც არანაირად არ უკარგავს აზრს და მოტივაციას არც copyright-ს, არც, მით უმეტეს – ინტელექტუალური საკუთრების უფლებას. ეს სწორედ იმ თავისუფლებიდან გამომდინარეობს, რომელსაც ეს ფენომენი ანიჭებს თითოეულ არტისტს.

© ცნობილია, რომ თქვენს ცხოვრებაში დიდი ადგილი უჭირავს ლიტერატურას, მუსიკას, კინოს... ბოლო დროს რამ დაგაინტერესათ და რატომ?

ყოველდღიურადთუარჩაიდინენებელობითიაქტიდაარგადადგი ნაბიჯი ცივილიზაციისკენ, აბსოლუტურად ბნელი აღმოჩნდები. დეგრადაცია ძალიან მარტივად ხდება. მამარდაშვილი ამბობდა, ყოველდღე თუ აზროვნების ჭაში არ ჩახტი შეგნებულად, გუშინ და გუშინწინ რა იყავი, არ აქვს მნიშვნელობაო. ბუნებრივია, ადამიანს აქვს მუდმივი უნარ-ჩვევები და თვისებები, მაგრამ ვარჯიში სჭირდება, ყოველდღიური გამოყენება, იმისთვის, რომ არ დაკარგო. კითხვაც უნარ-ჩვევაა, რომელიც ასევე შეგიძლია შეიძინო ან დაკარგოს. წერა-კითხვა კი არ დაგავიწყდება, პროდუქტიული ტემპით კითხვასა და ტექსტთან მუშაობა-გააზრებას ვგულისხმობ. შეგიძლია ეფექტურად აქციო ეს პროცესი, ან პირიქით. მე დიდად გართობის მიზნით არ ვკითხულობ ხოლმე. ვცდილობ, ისეთ ტექსტებზე გავამახვილო ყურადღება, რომლებიც ჩემს ევრეთ წოდებულ „განათლებას“ სჭირდება. თემები, რომლებთანაც მე მაქვს შეხება, სპეციფიკურია და შესაბამისი ლიტერატურა აკმაყოფილებს. მხატვრული ლიტერატურიდან ბოლოს მარიო ვარგას ლიოსას The Bad Girl-ი მომეწონა, რომელშიც მან ნობელი მიიღო 2010 წელს. ეს რომანი მსუბუქი სტილითაა დაწერილი, ცოტა ბულვარულს წაგავს. ვიზუალურ ხელოვნებას თუ შევადარებთ, დახვეწილი სერიალის ლიტერატურული ნაირსახეობაა. ნობელის პრემიაც, ვფიქრობ, დამსახურებულად მიენიჭა.

კინო, ჩემი პირველი პროფესიაა. დამთავრებული მაქვს ტელერეჟისურა. ვფიქრობ, ოდესმე ამ საქმეს დავუბრუნდე.

მუსიკა მთელი სამყაროა. ბგერები იმ მომენტიდან არსებობდა, რაც სამყარო შეიქმნა. ამ ბგერების ორგანიზება, მათი ჰარმონიზაციის პროცესი, რაც მერე მუსიკად იქცა, მრავალსაუკუნოვანია. პროფესიონალური მუსიკა დიდი და სერიოზული ხელოვნებაა.

It implies that some artists simply choose charity that it does not mean that there is no point in copyright or in intellectual property and no motivation associated with it. It proceeds from the freedom that this phenomenon gives to each artist.

It is well known that literature, music and cinematography mean a lot to you.
What are some of your recent interests?

If you fail to perform a conscious act every day and take a step towards civilisation, it will appear that you are absolutely underdeveloped. Degradation happens very simply. Mamardashvili used to say if you do not plunge consciously into the well of thought every day, it does not matter what you were yesterday or the day before. Naturally, an individual has permanent skills and features but in order to maintain them, it is necessary to exercise and apply them daily. Reading is also a skill and you also can acquire or lose it. You won't lose your ability to read and write, what I mean is reading and working with text at a productive tempo. You can make the process efficient or vice versa. I usually do not read much for entertainment but I try to pay attention to such texts that are necessary for my so-called "education". The topics that belong here are specific and, accordingly, it is special literature that covers them. As for fiction, the latest that I liked was *The Bad Girl* by Mario Vargas Llosa for which he was awarded the Nobel Prize in Literature in 2010. The novel is written in a light style, it resembles a cheap novel a little bit, if compared to visual art, it is a literature version of a refined sequel. I think the *Nobel Prize* was well deserved, too.

Cinematography is my first profession. I graduated with the specialisation of a television director. I think some day I will have to return to my profession. Music is a whole world of itself. Sounds existed from the moment when the world was created. The organisation of the sounds and their harmonisation process, that later on became music, is centuries old. Professional music is big and serious art. I am not a supporter of classifications or attributing labels. Truly good music is created in any genre. Pop, folk, jazz and rock-and-roll can be as great, for example, as Bach. This is what I think. Everything is associated with harmony, perception of the world and the mood of the person and it is all interlinked. I am sure if Mozart were to alive to listen to Jimi Hendrix, he would have liked the music. When such genii are born, in order for them to choose art as their profession, they should be able to earn a living from it. To put it simply, it is the backbone of the whole philosophy of the protection of intellectual property rights.

Is it complicated to take the so-called „unpopular“ decisions?

Unfortunately, there is a category of people amongst our opponents, with whom arguments do not work. There is no point in arguing with a person who does not respect the truth and can do anything, even tell lies. I have also met such people.

მე არ ვარ კლასიფიკაციებისა თუ ეტიკეტების მინიჭების მომხრე. ნამდვილი, კარგი მუსიკა ნებისმიერ ჟანრში იქმნება. პოპმუსიკა, ფოლკლორი, ჯაზი, როკენროლი ისეთივე დიდი შეიძლება იყოს, როგორიცაა, ვთქვათ, ბახი. მე ასე ვთვლი. ყველაფერი ჰარმონიას, მსოფლიოს აღქმას, ადამიანის გუნება-განწყობას უკავშირდება. და ეს ყოველივე ურთიერთკავშირშია. დარწმუნებული ვარ, მოცარტი რომ მოსწრებოდა ჯიმი ჰენდრიქსს, მოეწონებოდა. ასეთი გენიალური ადამიანები რომ გაჩნდნენ, და ხელოვნება თავიანთ პროფესიად აირჩიონ, საჭიროა, რომ მათ ამ საქმიანობით არსებობა შეეძლოთ. მარტივად რომ ვთქვათ, სწორედ ესაა ინტელექტუალური საკუთრების დაცვის მთელი ფილოსოფიის ხერხემალი.

© რთულია ეგრეთ წოდებული „არაპოპულარული“ გადაწყვეტილების მიღება?

სამწუხაროდ, ჩვენს ოპონენტებს შორის არსებობს კატეგორია, რომელთანაც არგუმენტი არ ჭრის. ადამიანთან, რომელიც სიმართლეს პატივს არ სცემს, ანუ შეუძლია, რომ ნებისმიერი რამ იკადროს, თუნდაც მოიტყუოს, მასთან კამათს აზრი არ აქვს. ასეთი ხალხი მეც შემხვედრია. ბუნებრივია, ეს ის კატეგორიაა, რომელთანაც საქმეს არ ვიჭერ და მასზე არ ვრეაგირებ. მათი მოგერიება იოლია. რაც შეეხება გადაწყვეტილების მიღებას, საკმაოდ რთულია. ეს ბევრ ადამიანს არ შეუძლია. ეს ხომ თვითმიზანი არ არის? მთავრია, ის ნაბიჯი გადადგა, რომელიც სწორად მიგაჩნია. განსჯაც იმდენ ხანს არ უნდა გაიწელოს, რომ უმოქმედობაში გადაიზარდოს და დემორალიზაცია გამოიწვიოს. ხშირად გიწევს სწრაფად აზროვნება და მოქმედება. ეს არ არის იოლი. თუ დარწმუნებული ხარ, აწონ-დაწონილი გაქვს ინტერესები, რომლებსაც ესა თუ ის ნაბიჯი ემსახურება, გადაწყვეტილებას ადვილად მიიღებ. მე ჯერჯერობით არ გამჭირვებია არც „პოპულარული“ და არც „არაპოპულარული“ გადაწყვეტილების მიღება.

ამბობენ, რომ პოპულარობა და სიმართლე ერთმანეთთან ყოველთვის ჭიდილშია. ისტორიულად ასეა – პოპულარობა ხშირად ძალიან აზარალებს სიმართლეს, ვინაიდან სიმართლე ხშირად არაპოპულარულია. მაინც ჯობს ყოველთვის სიმართლისკენ იყო. თუ შინაგანად არ გწამს რაიმე, რეალურად ესაა ცინიზმი. უმეტესობამ, ვინც ამ სიტყვას ხმარობს, არ იცის მისი ნამდვილი მნიშვნელობა. ცინიზმს სიცილთან აიგივებენ. სინამდვილეში ეს სულ სხვა რამაა. ჩემი აზრით, ადამიანი, რომელსაც არაფრის სჯერა და არაფრის სწამს, არის ცინიკოსი. პოპულარობა მოდის და მიდის, სიმართლე კი რჩება. ყოველთვის ჯობს, სწორი გადაწყვეტილება მიიღო და მართალი იყო, ვიდრე – პოპულარული. პოპულარობა, როგორც უწესო ქალი, შეიძლება წავიდეს და ისევ მარტივად დაგიბრუნდეს, მაგრამ ამით დიდად არ უნდა აღფრთოვანდე. ესაა ჩემი დასკვნა.

Of course, this is the category of people with whom I have nothing in common and even do not react. It is easy to keep them away. As far as taking decisions is concerned, it is quite complicated. Not many people can do it. But it is not an aim in itself, is it? What is important is taking the very step that you think is right. Consideration of an issue should also not be delayed to an extent when it is translated into inactivity and causes demoralisation. Often, you have to think and act quickly. It is not easy. If you are sure, and have weighed the vested interest that this or that concrete step is to serve, you are going to take the decision easily. So far, I have not had difficult times taking either “popular” or “unpopular” decisions. They say, popularity and truth are always at conflict with one another. Historically, it has been so – popularity often brings losses to truth since truth is frequently unpopular. It is still always better to support truth. If you do not believe in something, in reality, it is cynicism. The majority of those who use this word do not know its real meaning. People think cynicism is the same as laughter. In reality, it is absolutely different. In my opinion, a person who believes in nothing is a cynic. Popularity comes and goes away and truth stays. It is always better to take the right decision and be true than popular. Popularity, as a lightheaded woman, may go away and easily come back but you should not be greatly inspired by that. This is my conclusion.

პორტრეტი PORTRAIT

Copyright

დები იშხნელები

SISTERS ISHKHNELEBI

„საღა ხარ, ჩემო სულიკო...“

"WHERE ARE YOU, MY SULIKO?..."

კომპიუტერთან ვზივარ. რამდენიმე „ფაილი“ მაქვს. მრავალი მოგონება, ეპიზოდი მიდევს წინ და ვკითხულობ. თითქოს „ნაკუწებია,“ რომლებიც უნდა ავკინძო, შევაერთო, აღვადგინო... ასაწყობი „პაზლია“ თითქოს ეს ამბები და აქედან ერთი სურათი უნდა მივიღო, რომელსაც ჰქვია „დები იშხნელები“. ზოგი რამ შეიძლება არ ჩავწერო, გამოვტოვო. ადამიანი განვლილ ცხოვრებას რომ გადახედავს, თავისთავად ქმნის მონტაჟს... რომელიღაც ეპიზოდს ამოაგდებს და ტოვებს იმას, რაც მისთვის მნიშვნელოვანია... ეს ცხოვრების მონტაჟია, ასეა კინოშიც... წერისას... მთავარია, მასალა ემოციურად მიესადაგოს ერთმანეთს. შეიძლება დაიწყო ერთი მოგონებით და გადავიდე სხვა ამბავზე... შეიძლება რაღაც გადავაადგილო... მთავარი პერსონაჟები, რომლებიც ამბებს ჰყვებიან, შვილიშვილები და შვილთაშვილები არიან – თამარ იშხნელის შვილიშვილი მანანა მენაბდე, მისი და – თინა მენაბდე, შვილთაშვილი – ოტო გორთლამაშვილი, თამარ იშხნელის შვილი – დარეჯან (ჯანიკო) დეისაძე... და სხვ. ამ ფაქტების დალაგების უფლებას ის ემოცია მაძლევს, რომელიც ბავშვობიდან მომყვება. პირველად სად მოვისმინე დების სიმღერა, არც მახსოვს. თითქოს ყველგან ისმოდა – ტელევიზორში, ფილმებში, რადიოში... ისმოდა ჩვენს გონებაში... და სწორედ ეს ემოცია მიადვილებს, რომ მასალები ავკინძო და ამბები შევაერთო...

I'M SITTING AT MY COMPUTER WITH SEVERAL FILES OPENED, MANY MEMORIES AND EPISODES ARE COMING AT ME AND I'M READING. THEY LOOK LIKE OFF-CUTS TO BE STITCHED UP TOGETHER, CONNECTED OR RESTORED. THE STORIES ARE LIKE A JIGSAW PUZZLE TO BE PUT TOGETHER TO COME UP WITH A PICTURE CALLED THE "ISHKHNELI SISTERS." I MIGHT SKIP OR LEAVE SOMETHING OUT. LOOKING OVER ONE'S LIVED LIFE IS ALREADY AN ASSEMBLAGE. SOME EPISODE IS SKIPPED AND IMPORTANT ONES REMAIN. IT IS THE ASSEMBLAGE OF LIFE, JUST LIKE IN A MOVIE, IN WRITING, AS LONG AS YOU HAVE THEM FIT TOGETHER EMOTIONALLY. I MIGHT BEGIN WITH ONE MEMORY AND MOVE TO ANOTHER STORY. I MIGHT MOVE THEM AROUND. THE MAIN CHARACTERS OR THE STORY-TELLERS HERE ARE THE GRANDCHILDREN AND GREAT-GRANDCHILDREN OF TAMAR ISHKHNELI, MANANA MENABDE AND HER SISTER TINA, GREAT-GRANDSON OTTO GORTAMASHVILI, TAMAR ISHKHNELI'S DAUGHTER DAREJAN (JANIKO) DEISADZE, AND OTHERS. THE RIGHT TO PUT TOGETHER THESE FACTS IS AFFORDED TO ME BY THE FEELINGS WHICH HAVE ACCOMPANIED ME SINCE MY CHILDHOOD. I CAN'T EVEN REMEMBER WHEN I HEARD THE SISTERS SINGING FOR THE FIRST TIME. THEIR VOICES WERE ALMOST EVERYWHERE – TELEVISION, MOVIES, RADIO. OUR MEMORIES WERE FILLED WITH THOSE SOUNDS... AND THIS VERY EMOTION HELPS ME TO EASILY STITCH THE OFF-CUTS TOGETHER NOW AND CONNECT THE STORIES.

ფოტო: იშხნელების ოჯახის არქივიდან / PHOTO: ISHKHNELI FAMILY ARCHIEVE

მიუხედავად იმისა, რომ მასალა ბევრია, არ მყოფნის. კომპიუტერში ვიქექები მაინც. „იუთუბიზე“ მათი ჩანაწერები დევს და მხოლოდ ესაა. სხვა ინფორმაციასა და წერილს მათზე ვერ ნახავ. რაღაც „ფორუმი“ ამომიგდო. დავინტერესდი. ჩემდა სასიხარულოდ და ჩემდა განსაცვიფრებლად, თურმე იშხნელების სიმღერები აქტუალურია ახალგაზრდა თაობისთვისაც კი. აი, რა წავიკითხე „თბილისი-ფორუმზე.“

„როგორ მიყვარს მათი კომპოზიციები. ვინმეს ხომ არა გაქვთ შემორჩენილი?“

„აქ ქალაქურ სიმღერებზე არის მხოლოდ „პოსტები“... რამდენი ხანია, ვეძებ, დები იშხნელების სიმღერა მინდა ლადო ასათიანის ლექსზე, „რამ დამავიწყოს ეს ალუბლები“... სხვა არ მინდა, იქნებ იცოდეთ.“

„იშხნელები ფანტასტიკურები იყვნენ. ალბათ, ევროპელები რომ ყოფილიყვნენ, ლეგენდად დარჩებოდნენ, ქუჩა და ქანდაკება კი არა, საერთოდ, ფანების კლუბის გახსნა ეკუთვნით. ვაღმერთებ იშხნელებს.“

„ვინმეს თუ გაქვთ ამათი „ტურფავ, ტურფავ, რას მემდური“, ამიტვირთეთ რაა სამე...“

„იშხნელები თავის დროზე მთელ საბჭოთა კავშირს აზანზარებდნენ. ამბობენ, სტალინი მათ მუსიკას ყოველდღე უსმენდაო. მეტი პოპულარობა მაშინ წარმოუდგენელი იყო... უბრალოდ, დღეს უნდა შევახსენოთ ხალხს იშხნელები...“

„ჩემთვის მედიტაციური მუსიკაა.. ევროპაში ბევრი „შევსვი“ იშხნელებზე.. :)))... სტრესებს იშხნელებით ებრძვიან...“

„დამასწარით ამ თემის გახსნა?... მე მინდოდა დამეწყო“...

Although there is a lot of material, it is still not enough. I continue delving into the computer. Youtube provides their recordings but that’s it. No other information or articles about them. Oh, here pops up some “forum“. Very interesting. Gladly and surprisingly, it turns out that the Ishkhneli’s songs are popular even in the young generation. This is what I read on Tbilisi-forum: “I love their compositions. Can anybody find an old record of theirs?”

“Only urban songs are posted here. I’ve been looking for the Ishkhneli sisters’ song for so long on Lado Asatiani’s lyrics Ram damavickos es alublebi (Nothing Can Make Me Forget these Cherries). Not something else, just this, does anybody know?”

“The Ishkhnelis were fantastic. Had they been Europeans, they’d have become legends, not just a street and a statue... Actually, they deserve to have fan club opened. I adore the Ishkhnelis.”

“Does anybody have their ’Turpav, turpav, ras memduri (Oh Pretty One, Why Reproach Me?). Could you upload it for me?”

“The Ishkhnelis shook the entire Soviet Union in those days. I’ve heard that Stalin listened to their music every day. You could not imagine more popularity then. We just need to remind people of the Ishkhnelis.”

“For me, it is meditation music. In Europe, I raised a lot of toasts to the Ishkhnelis. The Ishkhenelis helped you to cope with struggles or stresses.”

“You took my idea. I wanted to bring up this topic.”

ფოტო: იშხნელების ოჯახის არქივიდან / PHOTO: ISHKHNELI FAMILY ARCHIEVE

მეც ვიწყებ... იშხნელები! ნამდვილი ამბები, თუმცა მათემატიკურ სიზუსტეს არ მოითხოვს, როგორც „პაზლის“ შემთხვევაში. ამიტომ რაღაცები შეგვიძლია წარმოვიდგინოთ... ოთახში მუქი ფარდები კიდია. ბებია და შვილიშვილი შუშაბანდში სხედან. ბებია ამბებს უყვება.

„ძალიან მიყვარდა თეატრში სიარული, მაგრამ სრულწლოვანი რომ არ ვიყავი, მიშლიდნენ მშობლები. ჩვენებს ვეუბნებოდი, ამხანაგთან მივდივარ-მეთქი და თეატრისკენ გავრბოდი... თეატრში უკანა მხრიდან ვიპარებოდი ხოლმე... აბა, სად მქონდა ბილეთის ფული... მოწაფეებს არ ჰქონდათ უფლება თეატრში შესვლისა. ვიცოდი ერთი ადგილი, საიდანაც პირდაპირ კულისებში ამოვყოფდი თავს და აი, ასე ვუყურებდი დადგმებს. რა მახსოვს ცხადად, თუ იცი. ერთხელ, თეატრში რომ შევიპარე, სცენაზე ჭიაურელი მიშა იდგა და მღეროდა... დიდი უცნაური ვინმე იყო მიშა და ისეთი იუმორი ჰქონდა, გვხოცავდა სიცილით... მახსოვს პროგიმნაზიაში ძალიან მკაცრი დირექტორი გვყავდა – ელიზავეტა ხოჯენოვა. სცენაზე გამოსვლას გვიშლიდა, მაგრამ ჩვენ მაინც ვახერხებდით სიმღერას. არ შეგვეძლო სიმღერის გარეშე და რა გვექნა?!...

– კრასატულიჩკა, ერთი ეს მითხარი, ვინ დადიოდა თქვენთან ოჯახში სტუმრად?

– ვინ დადიოდა და: კოკი დადიანი, ჯვებე ფაღავა, დავით ნიჟარაძე, ბუდუ მდივანი, სერიოჟა ქავთარაძე, ივლიანე ანჯაფარიძე – ვერიკოს მამა... ლადო მესხიშვილი, მსახიობი, ჩემო ბატონო.. ვალოდია მაიაკოვსკი, გალა, ჩემი გალაკტიონი... შენ ხომ გახსოვს, დედა, ჩვენთან რომ მოდიოდა... რამდენჯერ დამიტოვებიხარ გალასთან... ხომ გახსოვს, შენ შემოგეგლე...

– მაგას რა დამივიწყებს, კრასატულიჩკა! მახსოვს, ლექსებს როგორ მიკითხავდა, ცოტა არ იყოს, მეშინოდა, ისე კითხულობდა, 4-5 წლის ვიყავი და არაფერი გამეგებოდა...

– მაგას რა ვუთხარი, – ხითხითებს ბებია, – არ ჯობდა, მოეყოლა რამე?... ნამეტანი უცნაური კი იყო.

– იქნებოდა უცნაური, გენიოსი იყო და..

– მასეა, დედა, მარა ჯობია, არ იყოს კაცი გენიოსი...

– რატომ, კრასატულიჩკა?

– რატო და ქე იქნებოდა ახლა ცოცხალი... მოკლედ... დედა, ვინ აღარ დადიოდა ჩვენთან ოჯახში... ერთხელ გალა შემომხვდა ქუჩაში... მაშინ ქუთაისში ვცხოვრობდი კიდე – სპექტაკლს ვდგამ მერი შერვაშიძეზე და შენ უნდა ითამაშო მერის როლიო და მეორე დღისთვის თეატრში დამიბარა. მივედი, ჩემო ბატონო და ასე ვითამაშე თავადის ქალის, მერი შერვაშიძის, როლი. შეყვარებული იყო მერიზე, მაგრამ ვერ უბედავდა თქმას...

And I begin. The Ishkhnelis! True stories. However, it does not require mathematical accuracy, like in a jigsaw puzzle. So, we can imagine some things. Dark curtains are hanging in the room. Grandmother and grandchild are sitting on the glass-covered patio. Grandmother is telling stories.

“I loved going to the theatre but because I wasn’t of full age and my parents didn’t let me go. I used to tell my folks that I was going to my friend’s place and would dart towards the theatre. I used to sneak inside from the back door. Well, how could I afford to buy a ticket? Students were not allowed to go to the theatre. I knew one place from where I could easily pop up directly in the backstage and that’s how I watched the plays. What do you think I remember clearly? One day, after sneaking inside, I saw Misha Chiaureli standing on the stage and singing. He was quite a strange man, this Misha, and his humour was something that made us burst into laughter. I remember our director at the Progymnasium (Secondary School) was very strict – Elisabeth Khojenova. She did not allow us to appear on the stage but we still managed to sing. We could not live without singing and what could we do?

– Krasatulichka, tell me, who was visiting your family?

– This is who visited my family: Kodi Dadiani, Jveba Paghava, Davit Nizharadze, Budu Mdivani, Seriozha Kavtaradze, Ivlian Anjaparidze (Veriko’s father), Lado Meskhishvili – the actor, Volodia Mayakovsky, Gala, my Galaktioni. Don’t you remember, Mother, him coming to our place and how many times I had left you with Gala. Don’t you remember, sweetheart?

– How can I forget it, Krasatulichka?! I remember how he recited poetry to me, I was kind of scared, though, the way he read. I was four-or-five years old and could not understand anything.

– Well, wasn’t that cute of him – chuckled grandma – he should have better told you some stories. He was very strange.

– Of course, he would be strange, he was a genius.

– That’s true, Mother, but it is better if a man is not a genius.

– Krasatulichka, Why?

– Because, he would have been alive now. Well, Mother, lots of people used to come to our family. One day, when I was still living in Kutaisi, I met Gala in the street. He said – “I’m staging a play about Mary Shervashidze and you should play Mary’s role” – he and made an appointment with me for the next day at the theatre. So, I came and that’s how I played Princess Mary Shervashidze’s role. He was in love with Mary but couldn’t’ dare say anything to her.

– რატომ, ბები?... (ბებია თამარ იშხნელია. შვილიშვილი-მანანა მენაბდე)

„ვუსმენდი ხოლმე მის ამბებს, რომლებიც, რა თქმა უნდა, რეალური იყო, მაგრამ ჩემთვის, იმ წუთას მაინც, ცოტა დაუჯერებელი. დღეს ვიტყვი, ალბათ, მისი ბინა, ოთახი, სიმღერები, გიტარა, რეპეტიციები, ეგზოტიკური ისტორიები რეალური იყო, რომლებშიც გაუცნობიერებლად ვცხოვრობდი... ბებიას სწავლების თავისი მეთოდი ჰქონდა. თითოეული ბგერა, ნოტი, ვარიაცია განსაკუთრებული იყო, თავისებური, არაორდინალური, ამას უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა. ესაა მთავარიო, აი, ასე უნდა გადაანაწილოთ სიტყვებიო... და საათობით იყო რეპეტიციები და ახსნა თითოეული ნიუანსისა, ბოლოს, როცა შედეგს მიაღწევდა, გვეტყოდა ხოლმე: „კარგით ახლა, ბოშო, თქვენ შემოგევლეთ, ნამეტანი დეიღალეთ, საკმარისია დღეისათვის, „ნეაბიკნავენნი“ ჩახოხბილი მაქვს, ლობიო, ახლავე ჭადებს დოუჯენ“. სწრაფად გაშლიდა სუფრას უგემრიელესი კერძებით და დაგვაპურებდა, თან გვაცინებდა თავისი იშვიათი იუმორით. ხანდახან გათენებამდე გვისაუბრია, უამრავი თემა გვქონდა სალაპარაკო. კასეტებზეც მაქვს რამდენიმე საუბარი ჩაწერილი.

ბევრს ვეკითხებოდი, როგორი იყო ცხოვრება რევოლუციამდე, როგორი იყო მისი ბავშვობა (ამას ოტო იხსენებს, შვილთაშვილი). „ღამით, როცა ყველას ეძინა, გამოიღებდა ხოლმე გიტარას და რომელიმე სიმღერას ამუშავებდა. გასუსული ვუსმენდი, მერე წამოვხტებოდი ლოგინიდან და მივადგებოდი მის ოთახს, კარს შევუღებდი და მოვუწონებდი. დამიცაცხანებდა, დაიძინე, ხვალ სკოლაში უნდა წახვიდეო. მეც მასავით ღამურა ვიყავი, ჯიქურ შევუხტებოდი ხოლმე საწოლში და სიმღერაზე ვუწყებდი საუბარს, რომ აღარ ეთქვა, დაიძინეო, რადგან ვიცოდი, იმ წამს მისთვის სულერთი იყო, ვინ მოუსმენდა, რადგან სიმღერა უნდოდა. მეც მეტი რა მინდოდა, თან არაჩვეულებრივ მელოდიებს ვისმენდი და თან არ ვიძინებდი“...

ძალიან ლამაზი და ლაღი ბავშვობა მქონდა.

„მობრძანდით, ქალბატონო თამარ!“ – ასე მიმართავდნენ ბებიას და მეც ამაყად მივაბიჯებდი მის გვერდით. მაშინ წარმოდგენაც არ მქონდა იმის შესახებ, რომ საოცარი ადამიანი მზრდიდა... ის უბრალოდ ჩემი ბებია იყო და მიყვარდა ისე, როგორც ყველა ბავშვს უყვარს თავისი ბებიკო,“ – ამას თინა მენაბდე იხსენებს, ყველაზე ცელქი შვილიშვილი. „ძალიან ცელქი ვიყავი და ბებია მხოლოდ საკუთარი, საინტერესო ამბებით თუ ახერხებდა ჩემს დაქამანდებას, ათასჯერ მიყვებოდა ერთსა და იმავე ამბავს, სხვადასხვა ფერით მოქარგულს. არ მბეზრდებოდა მოსმენა, რადგან ყველა მის ნაამბობში მეც ვიყავი, მთავარი გმირი თუ არა, იქვე შორიახლო ვტრიალებდი. აბა, დავიწყებოდა და სადმე გამორჩენოდა ჩემი არსებობა, იძულებულს ვხდიდი, ყველაფერი თავიდან დაეწყო, რადგან ღრმად მწამდა, რომ თუ ბებია იყო, მის წარსულში ხომ მეც ვიყავი? ასე ვმოგზაურობდი წარსულიდან მომავალში... გადიოდა დრო...“

– Why Granny? (Granny is Tamar Ishkhneli. Her grandchild is Manana Menabde).

“I used to listen to her stories which certainly were real but, for me, in that moment, seemed a little unbelievable. Today, I’d say that probably her flat, her room, her songs, guitar, rehearsals, exotic stories were real amongst which I lived unconsciously. Grandmother had her own method of teaching. Each sound, each note, each variation was special, original, uncommon and she treated it specially. “That is important and that’s how you should split the words” – and the rehearsals went on for hours and there were explanations of each detail and finally when she reached the result she’d say to us: “Ok, now my sweethearts, you’re too tired, that’s enough for today. I have an “neobiknoveni” chakhokhbili (chicken casserole), lobio (bean soup) and will quickly throw some chadi (corn cakes) on the pan. She would hurriedly set the table with delicious dishes and feed us and make us laugh with her unusual sense of humour. Sometimes we’d talk until dawn; we had so many things to talk about. I have taped some of those conversations.

“I used to ask her a lot about life before revolution, what her childhood was like.” (remembers her great-grandson, Otto).

At night, when everybody was asleep, she’d take out her guitar and work on one of the songs. I listened standstill, then I’d jump out of my bed and tiptoe to her room, open the door and applaud her. She’d shout at me, saying “Go to bed, you have school tomorrow.” I was a bat, just like her, and I’d insistently stay in her bed and start talking about the song so that she wouldn’t order me back to bed because I knew that in this moment, she didn’t care who was listening to her because she was so thirsty to sing. What else could I want? I listened to these wonderful melodies and, at the same time, was able to stay up.

I had a very beautiful and easy childhood.

“Come in, Miss Tamar!” – everybody addressed her like that and I’d proudly march next to her. I had no idea, then, what a wonderful person I was raised by. She was just my grandma and I loved her as every child loves his granny” – remembers Tina Menabde, the most playful of all her grandchildren. “I was very naughty and grandma managed to calm me only with her own interesting stories. She’d tell over and over again one and the same story, every single time embroidered in different colours. I was not bored by listening to her because I participated in all of her stories if not as a main character, then at least nearby. She better not have forgotten or omitted my existence, I’d force her to start again and I believed firmly that if grandma was there, I was in her past, too. And I travelled from past to future and so time went by...”

მივყვეთ ბიოგრაფიას. გადავინაცვლოთ წარსულში..

ბუხრის წინ ოჯახის წევრების ფეხსაცმელები ჩამწკრივებულა. ოჯახში ბევრნი არიან, დიდი ოჯახია... ხვალ ახალი წელი თენდება და ერთმანეთს საჩუქრები უნდა ჩაუწყონ. ფანჯრის მინები დაორთქლილია. უზარმაზარი ნაძვის ხე ირთვება. მამა კიბეზე ადის, რომ ნაძვის ხის წვერზე სათამაშო დაკიდოს. ტოტი იზნიქება... მათ ათი შვილი ჰყავთ – ივანე, ვალენტინა, მარიამი, თამარი, ნინო, ვლადიმერი, ზინაიდა, ალექსანდრა, ელენე და ალექსანდრე.

ქუთაისში, არხიელის გორაზე, მდგარ ერთსართულიან სახლში ცხოვრობენ. სიმღერას დედა ასწავლით – ვასასი ლოლაძე. შემოისვამს გარშემო, მოიმარჯვებს განუყრელ გიტარას და ხან „სულიკოს“ ამღერებს და ხან – „ციცინათელას“. მათი ფანჯრებიდან ქუჩაში ბავშვების წკრიალა და შეხმატკილებული ხმები გადის. ქართულ სიმღერას მნიშვნელოვანი დატვირთვა აქვს – როდესაც ერთი იწყებს, მეორე ხმას აძლევს, მესამე – ბანს... ერთად ყოფნის საოცარი ძალაა შეხმატკბილება, სიმღერაშიც და ცხოვრებაშიც...

შეხმატკბილებულად ცხოვრობენ. ეს ალექსანდრე იშხნელის მომღერალი ოჯახია. მართალია, უჭირთ, მაგრამ მშობლებს დარდის შემსუბუქებაში გიტარა ეხმარებათ და სამეგობრო წრე. ცნობილი მომღერალი და „სულიკოს“ ავტორი ვარინკა წერეთელი იშხნელების პატარა სახლში ხშირად დადის სტუმრად, ბავშვების ხმები ისე მოსწონს, აკაკის „სულიკოზე“ დაწერილ სიმღერას პირველად სწორედ მათ ამღერებს.

მიუხედავად იმისა, რომ ხელმოკლედ არიან, მშობლებმა – ვასასი ლოლაძემ და ალექსანდრე იშხნელმა, მაინც მოახერეს და ათივე შვილი გიმნაზიაში მიაბარეს. ოთხი და ქუთაისის ხოჯევანოვის გიმნაზიაში სწავლობს. გოგონებს იქ წმინდა ნინოს სასწავლებლისთვის ამზადებენ. ფორმაც გამორჩეული აქვთ – სპილოსძვლისფერი კაბებითა და თეთრი საყელოებით დადიან.

გიმნაზიის მკაცრი წესები იმით გამოიხატება, რომ ბავშვებს სიმღერას უშლიან. დებსაც სულ იმის ეშინიათ, რომ სადმე „ნაჩალნიცამ“ არ წაასწროს ან მათი გიტარა არ დაინახოს შემთხვევით. ერთხელ დებს ერთ-ერთ საქველმოქმედო კონცერტზე გამოსვლას ნოე ჟორდანიას ცოლი სთხოვს.

ბავშვები შეშინდებიან, მაგრამ შალვა დადიანი სცენაზე გასვლის წინ იშხნელებს შუქს ჩაუქრობს და ხელჩაკიდებულ პატარებს სცენაზე გაიყვანს. ეს მათი პირველი საჯარო გამოსვლაა. „ციცინათელას“ მღერიან... გამოსვლას „სულიკოთი“ დაამთავრებენ. დარბაზში ტაში აგრიალდება. 1909 წელია... „ნაჩალნიცა“ კი დებს თვითნებური არტისტობისთვის გიმნაზიიდან დაითხოვს. გოგონები შინ ატირებული მივლენ. მოგვიანებით მათ მამა, ალექსანდრე იშხნელი, კვლავ დააბრუნებს გიმნაზიაში.

Let’s follow the biography and let’s take ourselves back into the past.

The shoes of the family members are lined up in front of the fireplace. They are a lot in the family, it is a big family. It is a New Year’s Eve and they should putting out presents for each other. The window panes are all steamed up. A huge Christmas tree is being decorated. Father is stepping up the ladder to crown the tree. Branches are bending. They have ten children: Ivan, Valentina, Mariam, Tamara, Nino, Vladimer, Zinaida, Aleksandra, Elene and Aleksandre. They live in Kutaisi, in a one-storey house standing on Arkhieli Hill. Mother, Vasasi Loladze, is teaching them singing. She surrounds herself with them, picks up her inseparable guitar and sings Suliko or Tsitsinatela every now and then. The children’s ringing and tuneful sounds reach out into the streets from their windows. Georgian song has an important meaning – when one begins, another sings back-up with the second voice and then the third joins singing in bass. Tunefulness in singing and in life is a wonderful power of putting people together. It is Aleksandre Ishkhneli’s singing family. Although they’re in hardship, guitar and friends help the parents to lighten up their moods from the sorrow that surrounds them. The well-known singer and composer of Suliko, Varenka Tsereteli, often pays visits to the Ishkhnelis at their small house. She likes the children’s voices so much that she asks them to be the first to sing the song written on Akaki’s Suliko lyrics.

Even though they are not well off, Vasasi Loladze and Aleksandre Ishkhneli managed to send all ten of their children to the gymnasium. Four girls go to the Kutaisi Khojevanov Gymnasium. They are being prepared there for the St Nino School. Their uniforms are also special – ivory dresses and white collars. One of Gymnasium’s strict rules is that the children are not allowed to sing. And the girls are always afraid of being accidentally caught by the nachalnitsa (directress) or having her find their guitar. One day, Noe Zhordania’s wife asks them to sing at one of the charity concerts. The children are afraid but Shalva Dadiani turns the lights off before they come out on the stage and leads the little ones by hand. It is their first public performance. They sing Tsitsinatela and finish their performance with Suliko. The audience gives a thunderous applause. It is 1909. The nachalnitsa dismisses the girls from the gymnasium on grounds of wilful artistry. The girls come home crying. Later, their father, Aleksandre Ishkhneli, brings them back.

At the beginning of the century, their house was the only place where you could hear Suliko. Everybody in the city was talking about the girls’ voices. The singing siblings were invited to prominent Kutaisian families to perform. Akaki Tsereteli, Paolo Iashvili, Galaktion Tabidze, Shalva Dadiani, Vano Sarajishvili, Niko Nikoladze and Varenka Tsereteli are sitting around the table. Mother calls the children, gives the sign, they line up and amaze the people sitting at the table with their harmonious sounds. The eldest sister, Valentina, has an unusual voice, a dramatic mezzo soprano. Nino also sings mezzo soprano and Tamar is a unique bass. The society gathered at Ishkhnelis’ are astonished and inspired. Vano Sarajishvili once joked that: “Even the chairs sing at the Ishkhnelis.”

საუკუნის დასაწყისში „სულიკო“ მხოლოდ ამ სახლში ჟღერდა. დების ხმაზე მთელი ქალაქი ალაპარაკდა. მომღერალ და-ძმებს ქუთაისის წარჩინებულ ოჯახებშიც ეპატიჟებიან და ამღერებენ. სუფრას აკაკი წერეთელი, პაოლო იაშვილი, გალაკტიონ ტაბიძე, შალვა დადიანი, ვანო სარაჯიშვილი, ნიკო ნიკოლაძე, ვარინკა წერეთელი უსხედან... დედა ბავშვებს მოიხმობს, ნიშანს მისცემს, ისინიც ჩამწკრივდებიან და თავიანთი შეხმატკბილებული ხმებით აოცებენ სუფრასთან მსხდომთ. უფროს დას, ვალენტინას, იშვიათი ხმა – დრამატული მეცოსოპრანო აქვს, ნინოს _ მეცოსოპრანო, თამარს – უნიკალური ბანი. იშხნელებთან შეკრებილი საზოგადოება გაოცებული და აღფრთოვანებულია. ვანო სარაჯიშვილი ხუმრობს კიდეც: „იშხნელებთან სკამებიც კი მღერიან“.

საბჭოთა კავშირის პერიოდში დები პოპულარულები არიან, მათ „სულიკოზე“ თითქმის მთელი მსოფლიო ალაპარაკდა. ერთხელ ეს სიმღერა ტყვედ ჩავარდნილ გერმანელ ოფიცერსაც კი გადაარჩენს. 1945 წელს, როცა საბჭოთა მეომრებმა მტრის ბანაკიდან ოფიცერი შეიპყრეს, მის საველე ჩანთაში ტუჩსაკრავს იპოვიან და ტყვეს საკრავზე დაკვრას უბრძანებენ. გერმანელი ტყვე „სულიკოს“ მელოდიას ააჟღერებს. ოფიცერს აღარ დასჯიან.

იშხნელების ოჯახი, როგორც ყველა ოჯახი, წლების დინების შემდეგ თანდათან დაიქსაქსება. ძმები – ივანე და ვლადიმერი, შარაბიძეების ქალ-ვაჟთა ვოკალურ გუნდში ჩაეწერებიან. ამავე გუნდში დროდადრო სოლო პარტიებს ასრულებენ. მარიამ იშხნელი – ერთ-ერთი და – დაოჯახების შემდეგ მეუღლესთან, შალვა ხუციშვილთან, ერთად ვარშავაში გაემგზავრება განათლების მისაღებად, თუმცა სიმღერას იქაც არ შეწყვეტს და ერთ-ერთ საღამოში მონაწილეობისათვის პლატინის მედლით დაჯილდოვდება. ამაყი და დებზე საოცრად მზრუნველი ვალოდია ოპერის მომღერალივით მღერის, როცა გუნებაზეა. მას უნიკალური ხმა აქვს. ათი და-ძმიდან ის ყველაზე უფროსია. დებში ყველაზე უფროსი სილამაზით განთქმული ვალენტინაა. ის, დანარჩენი დების მსგავსად, თბილისში გადმოვა საცხოვრებლად, ხშირად მართავს სოლო კონცერტებს. ვალენტინა იშხნელს ხშირად ხედავენ მარჯანიშვილის თეატრში – საქველმოქმედო კონცერტებზეც. ის რუსულ რომანსებსაც შესანიშნავად მღერის. გათხოვების შემდეგ ის სცენას ჩამოშორდება. მოგვიანებით, 30-იან წლებში, ერთ-ერთი და – ელენე გარდაიცვლება. დარჩება მხოლოდ ხუთი მომღერალი და – ნინო, თამარი, ალექსანდრა, ზინაიდა და მარიამი.

During Soviet times, the sisters are popular and nearly the whole world is talking about their Suliko. Once, this song even saved the life of a captive German officer. In 1945, when Soviet soldiers captured an officer from an enemy camp, they found a harmonica in his rucksack and ordered the prisoner to play. The German prisoner played Suliko's melody. The officer was saved from any punishment.

After some years, the Ishkhnelis, as any other family, became scattered around. The brothers, Ivan and Vladimer, were enlisted in the Sharabidze boys and girls vocal group and, from time to time, soloed in this group.

One of the sisters, Mariam Ishkhneli, after marrying, moved to Warsaw with her husband, Shalva Khutsishvili, to study but, even there, didn't stop singing and was awarded a platinum medal for participation in one of the concerts. Volodia, who was very proud and caring of his sisters, sang like an opera singer when in the right mood. His voice was unique. He was the eldest of the ten siblings.

The most beautiful amongst the sisters was Valentina, famous for her beauty. Like her other sisters, she moved to Tbilisi to live and often gave concerts. Valentina Ishkhneli was often seen at the Marjanishvili Theatre – for charity concerts. She also brilliantly sang Russian romances. She left the stage after marrying. Later, in the 1930s, one of the sisters, Elene, passed away. Only five signing sisters remained alive – Nino, Tamara, Aleksandra, Zinaida and Mariam.

ფოტო: იშხნელების ოჯახის არქივიდან / PHOTO: ISHKHNELI FAMILY ARCHIEVE

უკვე თბილისში ცხოვრობენ და ქუთაისის პატარა სახლი, რომელიც სულ სტუმრებით იყო სავსე, ტკბილ მოგონებებად იქცა. ვასასი მოხუცდა, შვილიშვილებს ზრდის. ოჯახს უჭირს. ვასასი გიტარას ძველებურად არ იშორებს გვერდიდან. თამარი საბავშვო ბაღის გამგედ მუშაობს. 1940 წელს იშხნელების ცხოვრება რადიკალურად იცვლება. ერთხელ დებს პოეტი სიმონ წეველი მოუსმენს. რამდენიმე დღის შემდეგ კვლავაც ეწვევა მათ, უკვე თამარზე შეყვარებული და ლექსსაც მიუძღვნის. დებს რადიოკომიტეტში წაიყვანს და რადიოკომიტეტის ხელმძღვანელს, აკაკი ძიძიგურს, გააცნობს. დების სიმღერის მოსმენით ძიძიგური გაოგნებულია, სიტყვებს ვეღარ პოულობს, კაბინეტში თანამშრომლები შემოჰყავს და სათითაოდ აცნობს მათ. მოგვიანებით რადიოკომიტეტის თავმჯდომარე იმაზეც იზრუნებს, რომ იშხნელების სიმღერები რადიოეთერში გაუღერდეს... მალე მთელი თბილისი იშხნელების მელოდიაზე ამღერდება...

They're now living in Tbilisi and their small house in Kutaisi, always full of guests, has become a sweet memory, only. Vasasi is old and takes care of her grandchildren. The family is in hardship. As in the old times, Vasasi always has her guitar next to her. Tamara is working as a kindergarten director. In the 1940, the Ishkhnelis' life radically changes: One day, a poet, Simon Tseveli, hears the sisters. After some days, he visits them again already in love with Tamar and writes a poem dedicated to her. He takes the sisters to the Radio Committee and introduces them to the Head, Akaki Dzidziguri. So astonished by their singing, he is dumbfounded and invites his colleagues into his office and introduces the sisters to them, one by one. Later, Dzidziguri manages to have the Ishkhnelis' songs aired on the radio. Soon, the entire Tbilisi is singing their melodies.

დების რეპერტუარში 300-მდე სიმღერაა. ქუთაისში შესწავლილ მელოდიებს თავიანთი გემოვნებით უმატებენ ახლებს. „სულიკოსთან“ ერთად „ციცინათელაც“ ჰიტი ხდება. მთელ საბჭოთა კავშირში უსმენენ. 1953 წელს მოსკოვს ესტუმრებიან. საკავშირო რადიო მათ კონცერტს ფირზე ჩაწერს და უცხოეთში გაავრცელებს. საქართველოს რადიო-ტელევიზია სხვადასხვა ქალაქიდან გამოგზავნილ წერილებს ვეღარ აუდის. ზოგი „ციცინათელას“ და „სულიკოს“ ფირფიტებს ეძებს, დახმარებას ითხოვს, ზოგიც მათი მიბაძვით მღერის. თავად დები კომპოზიტორთან იშვიათად თანამშრომლობენ. თამარ იშხნელი ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსზე – „არ დაიჯერებ,“ შექმნის მელოდიას. იშხნელები ერთად სხდებიან და სიმღერებს საკუთარ სტილს უძებნიან. გაჩნდება ახალი ტერმინი – „იშხნელების ყალიბი,“ რომელშიც მოქცეულია ძველი ჰანგები. იშხნელების კვარტეტი სცენაზე ქართულ კაბებში გამოწყობილი გამოდის... ნაწნავებით, ჩიხტიკოპებით.. თითქოს ოთხი ქალის ნაცვლად მთელი გუნდი მღერის. თამარს უნიკალური ბანი აქვს. საბჭოთა კავშირში გამოსული ფირფიტების გარეკანზე აღბეჭდილ ფოტოებზე თითქოს ოთხივე ერთმანეთს ჰგავს. არადა, განსხვავდებიან დები... ფუნქციებიც გადანაწილებული აქვთ. თამარი რეპერტუარის დახვეწაზე ზრუნავს, ალექსანდრა ორგანიზატორის ფუნქციას ითავსებს, კონცერტების ადგილებსა და თარიღებს ადგენს.

იუმორის გრძნობა და იმიტაციის უნარი ოთხივეს აქვს. არტისტულები არიან, ღიმილიანები, ენერგიულები და მხიარულები. ხშირად კამათობენ. რეპეტიციებისა და კონცერტის შემდეგ შენიშვნის მიცემის უფლება მხოლოდ თამარს აქვს. მის ყურს უმნიშვნელო ყალბი ნოტიც კი არ ეპარება და თუ მსმენელი შეცდომას ვერ ამჩნევს, თამარი კონცერტის შემდეგ მაინც უკმაყოფილებას გამოთქვამს. ყველაზე მკაცრი და პირდაპირი მარიამია. შეცდომას არავის აპატიებს, არც შვილიშვილს, არც მინისტრს. იმერული კილო ბოლომდე შეინარჩუნეს. „შენ გენაცვალე, ბოშო“, – ამ სიტყვებს თბილად წარმოთქვამენ. მათი ეს მოფერება იმდენად გადამდებია, გარშემო ყველა ასე იწყებს ლაპარაკს, მათებურად... ამავდროულად, ბავშვურები არიან.

ოთხივე დამ სიყვარულში ამოჩემება იცის. ვინც უყვართ, თავს ევლებიან. ძმის, ვალოდიას, გარდაცვალების შემდეგ ფულს აგროვებენ და ძმისშვილებს უგზავნიან. ახარებთ უმცროსი ძმის, ალექსანდრეს, სტუმრობა. სამზარეულოში ფუსფუსს იწყებენ და მჭადების დაცხობას. „დოუჯინე მჭადი,“ – იტყვის ერთერთი. პატარა დისშვილებსა და ძმისშვილებს კი მურაბებით უმასპინძლდებიან. გასაოცრად სტუმართმოყვარენი არიან – დები ამითაც ცნობილი არიან.

არხიელის გორაზე დანერგილი ტრადიცია – დღესასწაულად ქცეული სუფრების გამართვა, თბილისშიც გაგრძელდა. ერთმანეთის სახლებში რიგრიგობით იკრიბებიან. თამარ იშხნელი ორჯონიკიძის ქუჩაზე ცხოვრობს. მის პატარა სახლში სტუმარი ყოველთვის კომფორტულად გრძნობს თავს.

The sisters had about 300 songs in their repertoire. Chosen with taste, they added new songs to the melodies they learned in Kutaisi. Tsitsinatela became a hit after Suliko. It was listened to throughout the entire Soviet Union. In 1953, the Ishkheneli sisters visited Moscow. The Soviet Radio taped their concert and disseminated it abroad. Georgian Radio and Television couldn't cope with the letters coming from different places. Some were looking for the recordings of Tsitsinatela and Suliko, asking for help, and others were imitating them in singing. The sisters rarely worked with the composers of their songs. Tamar Ishkhneli wrote a song based on Nikoloz Baratashvili's lyrics, Ar daijereb (You Won't Believe). The Ishkhnelis sat down together and find their own style for a song. A new wording, the "Ishkhnelis' patter," taking in the old sounds, was born.

The Ishkhneli quartet appears on the stage dressed up in Georgian dresses, with braids, the chikhtikops (woman's headdress). It sounded like the four women alone sang like a whole choir. Tamar's bass is unique. On the photos printed on the record covers released in the Soviet Union, all four of them look alike. Actually, however, the sisters are quite different. They have even separated their tasks. Tamar is in charge of improving the repertoire, Aleksandra takes over organisational issues, appointing the venues and times for the concerts.

All four have a sense of humour and skills for imitation. They are artistic, with smiling faces, energetic and joyful. They often argue amongst themselves. After the rehearsals and concerts, it is only Tamar who is entitled to make remarks. Her ear can't miss a single insignificant false note and even if a spectator can't notice the mistake, Tamar is still expressing her dissatisfaction after the concert. The strictest and most straightforward person is Mariam. She wouldn't forgive anybody, neither her grandchild nor the minister, for any single mistake. They've always kept their Imeretian intonation. The words like "Shen genatsvale, bosho" (my darling) – are so warmly pronounced by them. Their endearment is so contagious that everyone around them starts talking like they do... They are childlike, too, at the same time.

All four sisters have an obsession with love. They sacrifice themselves for the ones they love. After the death of their brother Volodia, they collect money and send it to their nieces and nephews. They are so glad with their younger brother, Aleksandre's visit. They are fussing about in the kitchen and cooking chadi. "Throw it on the pan" – says one of them. Little nieces and nephews are treated with jam. They are extraordinarily hospitable and the sisters are famous for that, too.

სალონური ტიპის საღამოები.. ჩაის თანხლებით, მალინის მურაბით და დების ექსპრომტად მოწყობილი კონცერტები... მათი სახლიდან რაღაც სხვა არომატით გაჟღენთილი გამოდიხარ... ამიტომაც უყვართ იშხნელებთან სტუმრობა. დანარჩენ დებთანაც ასეა... სუფრებს ძირითადად ვახტანგ ჭყოიძე თამადობს – ალექსანდრა იშხნელის სიძე, ცნობილი ექიმი და თბილისური ანეგდოტების ავტორი. სიმღერა კი მათ თითოეულ მოქმედებას ახლავს. სჯერათ, რომ სიმღერით შეიძლება ადამიანის განკურნება. სიცხიან პატარებს ორი გიტარით ჩამოუსხდებიან და ისეთ მრავალჟამიერს შემოსძახებენ, ბავშვებს სიცხე უვარდებათ.

სასიმღეროდ მუდამ მზად არიან. საკუთარ თავს სახალხო მომღერლებს უწოდებენ – მღერიან ყველასთვის, ქუჩაში გამვლელი იქნება, ჭირისუფალი, სნეული თუ ჯარისკაცი... ომის დროს კვარტეტი დაჭრილებით სავსე სამხედრო ჰოსპიტალს სტუმრობს. დაჭრილები ლოგინებიდან უსმენენ, თუ ვინმე სთხოვს, სასთუმალთან მიდიან ახლოს და პირადად უმღერიან...

In Tbilisi, they carry on with the tradition of giving parties as celebrations, founded on Arkhieli Hill. They are gathering at each other's houses one at a time. Tamar Ishkhneli lives on Orjonikidze Street. Visitors always feel comfortable at her small house. Salon evenings, accompanied with tea drinking, raspberry jam and the sisters singing extempore. One leaves their house saturated with some different flavour. That's why people like to visit the Ishkhnelis. The same happens at other sisters' houses. Parties are mainly headed by Vakhtang Chkoidze, Aleksandra Ishkhneli's son-in-law, the famous doctor and author of many Tbilisian jokes, as the tamada or toastmaster.

Each of their actions is accompanied by a song. They believe that song can cure people. When little ones have a temperature, they sit at their beds with two guitars and sing Mravaljamieri so that their temperature goes down.

ფოტო: იშხნელების ოჯახის არქივიდან / PHOTO: ISHKHNELI FAMILY ARCHIEVE

იშხნელების სიმღერა განსაკუთრებით ატკბობს სტალინს. ერთხელ, როცა დები კონცერტის ჩასატარებლად გაგრისკენ მიემგზავრებიან, მოულოდნელად ავტომანქანით უცნობი კაცი წამოეწევათ. სთხოვს მათ, რომ მის მანქანაში გადასხდნენ. უცნობი სტალინს სოჭიდან გამოუგზავნია, სასწრაფოდ მოსდომებია მათი სიმღერების მოსმენა. იშხნელები დაემორჩილებიან და იმღერებენ. მოგვიანებით ისინი კვლავ მოხვდებიან ბელადთან, სულ სხვა მიზეზით – ციხიდან დაიხსნან ძმისშვილი, ირაკლი იშხნელი. სტალინი ირაკლის სამუდამო პატიმრობის სასჯელს გააუქმებს და ციხიდან დროზე ადრე გამოუშვებს. 1947 წელს სტალინის ბრძანებით დებს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწეების წოდება მიენიჭებათ. 1953 წელს კი მისი უშუალო დავალებით იშხნელებს მოსკოვში გამოიძახებენ. სვეტებიან დარბაზში ორ კონცერტს გამართავენ.

1968 წელი იშხნელების ბიოგრაფიაში ყველაზე ტრაგიკული აღმოჩნდება. ერთ წელიწადში ზედიზედ სამი და გარდაიცვალა – ნინო, ზინაიდა და მარიამი... თამარი მარტო რჩება... დარდობს. აღარვის ჰგონია, რომ მის ბანს კვლავ მოისმენენ... ეწევა უზომოდ ბევრს, განიცდის, ძალიან განიცდის. ვერავინ წარმოიდგენს, რომ თამარი კვლავ სცენაზე ავა... განცდებს ოჯახის წევრები უმსუბუქებენ და კიდევ მეგობრები – მერაბ თაბუკაშვილი, მედეა ჯაფარიძე და რეზო თაბუკაშვილი... თამარი მათი წყალობით კვლავ უბრუნდება სიმღერას. ოთარ იოსელიანი ფილმში გადაიღებს, „იყო შაშვი მგალობელი," რომელშიც თამარი რუსულ რომანსს შეასრულებს. მოგვიანებით კი მომღერალ მზია ლომინაძესთან ერთად ანსამბლ „თაიგულს" შექმნის. სიცოცხლის ბოლომდე გიტარას არ მოიშორებს. ატარებს კონცერტებს, ამზადებს მოსწავლეებს. ჩუმად ყოფნის დროსაც, თუ გიტარას მიაწოდებენ, გაიღიმებს, თავისი ბოხი ხმით ჩაიდუდუნებს თანხმობის ნიშნად და ყოყმანის გარეშე დაუკრავს... კონცერტზე წასვლის წინ კი წელში მოხრილი სწორდება და ამაყი ნაბიჯით მიდის.

დების გარდაცვალების შემდეგ მარტო დარჩენილ თამარზე განსაკუთრებით მერაბ თაბუკაშვილი ზრუნავს. ხშირად იწვევს მას ტელეგადაცემებში და ხშირად უწყობს რუსული რომანსების საღამოს, რადგან მსმენელს თამარ იშხნელი ამ ამპლუაში ძალიან მოსწონს. ხშირად მღერის შვილიშვილებთან – მანანა და თინა მენაბდეებთან და ოტო გორთამაშვილთან ერთად.

1981 წელს მოსკოვში, ხელოვნების მუშაკთა მთავარ სახლში, ძველებური ქართული და რუსული სიმღერების საღამო გაიმართება. ის შვილიშვილებთან ერთად წარდგება სცენაზე, განუყრელ შავ ტანსაცმელში გამოწყობილი, შუაზე გაყოფილი შავი თმით, დიდი საყურეებითა და მძივით ზის და გიტარაზე უკრავს... შვილიშვილები უკან დგანან და ხმას უწყობენ. დარბაზი სავსეა ხალხით... საღამო გამოჩენილ მხატვარსა და არქიტექტორ სავა ბროდსკის მიჰყავს. დარბაზში ზის ბულატ ოკუჯავაც, რომელიც შემდეგ ემოციურად გაიხსენებს კონცერტზე მიღებულ შთაბეჭდილებას... ამ კონცერტიდან დაიბადება ახალი ლეგენდა – მანანა მენაბდე!!!..

They're always ready to sing and call themselves people's singers – they sing for everyone, be it a street walker, mourner, a sick person or a soldier. During the war, the quartet visits the military hospital which is full of wounded soldiers. They listen from their beds and if asked, the sisters come close and sing personally for them.

The singing of the Ishkhnelis is especially enjoyed by Stalin. One day, when the sisters where heading to Gagra to give a concert, a stranger suddenly caught up with their car. He asked them to come into his car. The stranger had been sent from Sochi by Stalin for he urgently wanted to listen to their songs. The Ishkhnelis obey and sing. Later, they meet the leader for an absolutely different reason – to have their nephew, Irakli Ishkhneli, released from prison. Stalin abolishes Irakli's lifetime sentence and releases him. In 1947, Stalin orders awarding the sisters with the title of Honoured Workers of Art. In 1953, he personally commissions the Ishkhnelis to Moscow where they give two concerts at the Hall of Columns.

1968 was the most tragic year in the Ishkhenlis' biography. Three sisters — Nino, Zinaida and Mariam — passed away one after another in one year. Tamar is left alone. She is in grief. Nobody can hope to hear her bass again. She smokes heavily, is worried and feels sorrowful. It is impossible to imagine that Tamar will ascend to the stage again. The sorrow is lessened by family members and friends – Merab Tabukashvili, Medea Japaridze and Rezo Tabukashvili. Thanks to them, Tamar returns to singing. Otar Ioseliani shot the film, Once Upon a Time there was a Singing Blackbird, and Tamar sings a Russian romance for the film. Later, the singer creates a group called Taiguli (bouquet) together with Mzia Lominadze. She doesn't separate herself from her guitar until her death. She gives concerts and tutors students. Even when she is silent and somebody hands her a guitar, she smiles, mumbles with her deep voice as an expression of consent, and plays without hesitation. Before going to the concert, she straightens her back and steps on proudly.

After the death of the sisters, Merab Tabukashvili takes special care about the lonely Tamar. He frequently invites her to TV shows and organises Russian romance evenings for her because the audience likes her in this role very much. Often, she plays with her grandchildren, Manana and Tina Menabde and Otto Gortamashvili.

An evening of old Georgian and Russian songs is held in Moscow at the Central House of Arts Workers in 1981. Tamar appears there together with her grandchildren, in her inseparable black clothing, centrally parted black hair, big earrings and beads and sits down and plays the guitar. Her grandchildren are standing behind and backing her up with their voices. The hall is full of people. The evening is led by a famous painter and architect, Sava Brodski. Bulat Okujava is also sitting in the hall and later emotionally remembers the impressions he took from the concert. A new legend, Manana Menabde, was born at that concert!

90 წლის თამარ იშხნელი გასტროლებზე უარს არ ამბობს. 1990 წელს იტალიაში უხუცეს ხელოვანთა ფესტივალზე გაემგზავრება. ოჯახის წევრები შეშინდებიან... თამარი უამრავი სიგელით, საჩუქრითა და ქებით დატვირთული დაბრუნდება. ის ყველგან ერთნაირად აოცებს მაყურებელს, დარბაისლობით, გიტარის დაჭერის უნიკალური მანერით და უნიკალური ხმით, რომელსაც ასაკი ვერაფერს აკლებს. თავის პატარა იტალიურ ეზოში ხის კიბეებზე უყვარს ჩამოჯდომა, თავისთვის ზის და ბავშვების თამაშს თვალყურს ადევნებს. ეს მაშინ, როცა არც კონცერტისთვის ემზადება და არც სტუმარს ელის... თუმცა მისი სახლის კარი ყველასთვის ღიაა...

თამარ იშხნელი 94 წლის გარდაიცვალა. ოჯახის წევრები ამბობენ, რომ სიბერით. სიმღერა თურმე მხოლოდ სიცოცხლის ბოლო დღეებში შეწყვიტა, მანამდე სულ გიტარა ეჭირა ხელში და ამბობდა, რომ უსიმღეროდ ვერც სიკვდილის შემდეგ წარმოედგინა ყოფა.

„ღია ვერანდაზე თქვენ გხედავთ – შენ, მამასა და ბებიებს. მურაბიან ჩაის სვამთ. ბებიები მღერიან „მარგარიტას", მღერიან ფრთხილად, არ უნდათ, ქვეყნიერებას ძილი დაუფრთხონ. იქვე ნაკადული მხიარულად დახტის ქვიდან ქვაზე, ახალმოთიბული ბალახის სუნი მოაქვს და დების ხმებს აყოლებს თავის მოძახილს... ატმის „დაღალული რტო" კი ირხევა, როგორც ვარდისფერ კაბაში გამოწყობილი ქალწული... ხედავ, როგორ მომნატრებიხართ?..." (მანანა მენაბდე). „ფრენის დღე ოთხშაბათი"...

ამასწინათ დების მრავალჟამიერი მოვისმინე. „ფეისბუქზე" დევს, მათ გვერდზე... გავგიჟდი, სულ სხვანაირია... რაღაცნაირი... იშხნელებისეული... გილოცავთ ახალ წელს იშხნელების მრავალჟამიერით!!!.

დაუდგენელმა პირებმა ამ დღეებში ქალაქის ისტორიულ ბაღში საქართველოს სახალხო მხატვრის, გოგილო ნიკოლაძის, სკულპტურული კომპოზიცია – „დები იშხნელები", დააზიანეს. ოთხი დის ქანდაკებიდან ერთ-ერთი მთლიანად დამსხვრეულია. დაზიანებულ ძეგლს ექსპერტიზა უტარდება, მისი დასრულების შემდეგ რესტავრაცია დაიწყება. მომხდარზე დაწყებულია გამოძიება.

ბიუსტს ბრინჯაოში ვასხამთ. ბეტონისა და ხელოვნურ მასალაში ჩამოსხმული ასეთი ძეგლები არაა მყარი. ყოველთვის შეიძლება დაზიანება, მაგრამ საჭიროა მოქალაქეობრივი კულტურა. ასეთი ქმედების ჩადენა მხოლოდ ისეთ ადამიანს შეუძლია, რომელსაც არც ქალაქი უყვარს, არც სამშობლო და არც ის იცის, ვინ იყვნენ დები იშხნელები!..

Ninety year-old Tamar Ishkhneli does not refuse to go on tour. In 1990, she travels to Italy to take part in the Senior Artists Festival. Her family is worried but Tamar returns loaded with diplomas, presents and praise. She astonishes her spectators everywhere equally with her elegance, the exclusive manner of holding a guitar and her unique voice that age cannot wither. In her little "Italian yard," she loves to sit by herself on the wooden steps and observe the children playing. This is when she doesn't have to rehearse for a concert, of course, or is not expecting visitors. However, her doors are always open for everyone.

Tamar Ishkhneli died at the age of 94. Her family members say that she died of her age. She stopped singing only in the last days. Before, she always held the guitar in her hands and used to say that she couldn't imagine herself without singing, even after her death.

"I see you on a terrace – you, father and grandmothers. You're drinking tea with jam. Grandmothers are singing Margarita, they are singing carefully, not wanting to scare the rest of the sleeping world. Nearby, a brook is merrily jumping from rock to rock, carrying with it the smell of freshly mown grass and accompanying the sisters' voices with its own beautiful sounds. A weary peach tree branch is swaying in the breeze like a maiden in a pink dress. You see, how much I've missed you? Manana Menabde. Flight date - Wednesday."

Recently, I listened to the sisters' Mravaljamier. It is published on Facebook, on their page. I was fascinated, it is so different... something Ishkhnelian. Happy New Year with the Ishkhnelis' Mravaljamier!!!

Recently, unidentified persons have damaged the sculptural work, The Ishkhneli Sisters, made by the People's Painter of Georgia, Gogilo Nikoladze, put up in the city's historical garden. Of the four sisters' images themselves, one is completely broken into pieces. The damaged sculpture is undergoing an examination. As soon as it is finished, it will be restored. The vandalism is being investigated.

A sculpture is poured out in bronze. Such sculptures poured in concrete and artificial materials are not solid. They can be damaged at any time but we need civil culture. Only a person not loving either his own city or his own country and not knowing who the Ishkhneli sisters were can commit such an act.

Copyright

ინტერვიუ „საქპატენტის" ხელმძღვანელ ირაკლი ღვალაძესთან

INTERVIEW WITH IRAKLI GVALADZE, HEAD OF SAKPATENTI

ინტერვიუ ევროკავშირის წარმომადგენლობის ვაჭრობის ატაშე ვირჯინი კოსულთან

INTERVIEW WITH VIRGINIE COSSOUL, TRADE ATTACHÈ AT THE EU DELEGATION TO GEORGIA

ირაკლი ღვალაძე: „არამატერიალური სიკეთის, რომელიც შესაძლოა ძალიან კონკრეტულ შემოსავალში გადაიზარდოს"...

IRAKLI GVALADZE: "NON-MATERIAL BENEFIT, THAT MIGHT BE TRANSLATED INTO CONCRETE INCOME"...

ბოლო ათწლეულების განმავლობაში საქართველო არაერთხელ მოქცეულა მსოფლიო საზოგადოების ყურადღების ცენტრში. ეთნოკონფლიქტები, სამოქალაქო დაპირისპირება, უცხო ქვეყნის აგრესია ერთმანეთს ენაცვლებოდა. საბედნიეროდ, ყოველივე ამის მიღმა არსებობს თვითმყოფადი კულტურა, მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია და ისტორია. სასიამოვნოა, როდესაც ქვეყანასა და ზოგადად ერს თავისი კულტურული მონაპოვრითა და სულიერი საგანძურით აფასებენ. დღეს, როდესაც პოსტმოდერნული ცივილიზაციის მიერ მოტანილი გლობალიზაციის მომსწრენი ვართ, მნიშვნელოვანია საკუთარი ადგილის დამკვიდრება ცივილიზებულ სამყაროში, რათა მოხდეს არა ასიმილაცია, არამედ სრულფასოვანი ინტეგრაცია. თანამედროვე სამყაროში თვითიდენტიფიკაციის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტური გზა კულტურაა, რომელიც არა მხოლოდ სულიერ ან მენტალურ, არამედ წმინდა ეკონომიკურ, მატერიალურ სიკეთეს გულისხმობს და რომელსაც პოპულარიზაციასთან ერთად დაცვა ესაჭიროება. რა გამოცდილებაა ამ მხრივ ქვეყანაში, რა გაკეთდა და რა ნაბიჯებია გადასადგმელი მომავალში? საკუთარი პიროვნული და პროფესიონალური მოსაზრებები გაგვიზიარა „საქპატენტის“ ხელმძღვანელმა ირაკლი ღვალაძემ.

DURING RECENT DECADES, THE INTERNATIONAL COMMUNITY'S ATTENTION HAS BEEN FOCUSED UPON GEORGIA ON A NUMBER OF OCCASIONS. IT WAS ETHNIC CONFLICTS, CIVIL OPPOSITION AND FOREIGN COUNTRY AGGRESSION WHICH ATTRACTED ATTENTION. HAPPILY, ABOVE ALL THAT, THERE IS A UNIQUE CULTURE, AGE-LONG TRADITIONS AND HISTORY THAT ALSO MAKES PEOPLE TAKE NOTE. IT IS VERY NICE WHEN A NATION IS ASSESSED BY ITS CULTURAL WEALTH AND HERITAGE. TODAY, WHEN WE WITNESS GLOBALISATION BROUGHT ABOUT BY POST-MODERNIST CIVILISATION, IT IS IMPORTANT THAT A NATION DETERMINES ITS PLACE IN THE CIVILISED WORLD SO THAT FULL FLEDGED INTEGRATION — AND NOT ASSIMILATION — IS ACHIEVED. ONE OF THE MOST EFFECTIVE WAYS OF SELF-IDENTIFICATION IS CULTURE THAT IMPLIES NOT ONLY SPIRITUAL INTEGRITY OR MENTAL GOODNESS BUT ALSO PURELY ECONOMIC AND MATERIAL BENEFITS AND WHICH REQUIRE BOTH POPULARISATION AND PROTECTION. WHAT EXPERIENCE IN THE FIELD HAS BEEN ACCUMULATED IN THE COUNTRY, WHAT HAS ALREADY BEEN DONE AND WHAT IS STILL TO BE DONE IN THE FUTURE? IRAKLI GVALADZE, HEAD OF SAKPATENTI, SHARED HIS PERSONAL AND PROFESSIONAL VIEWS.

© საავტორო უფლებებისა და ზოგადად, ინტელექტუალური საკუთრების დაცვა დღესდღეობით საქართველოში საკმაოდ რეზონანსული თემებია. რამ განაპირობა ასეთი აქტიურობა სახელმწიფოს მხრიდან?

დაგეთანხმებით, რომ საზოგადოებაში ამ საკითხის მიმართ გაჩნდა ინტერესი. არათავმდაბლურად გამომივა, მაგრამ ვიტყვი, რომ ეს გააქტიურება ჩვენი უწყების დამსახურებაცაა. მედიაც უფრო ინტენსიურად აშუქებს ამ თემებს. კონკრეტული პირები და ორგანიზაციები სულ უფრო მეტად აცნობიერებენ საკუთარი ინტელექტუალური თუ საავტორო უფლებების დაცვის აუცილებლობას. ალბათ, ეს ის გამოცდილებაა, რომელიც ჩვენში ფაქტობრივად არ არსებობდა. ეს შესაძლოა წარსულითაა განპირობებული, როდესაც საკუთრების ყველაზე გავრცელებული და იდეოლოგიურად გამართლებული ფორმა კოლექტიური იყო. შესაბამისად, არც ბაზრის ცნება იყო აქტუალური და სათანადოდ გააზრებული. საპასუხისმგებლოცაა და სასიამოვნოც, როდესაც ჩვენს სახელისუფლებო გუნდს მოუწია ამ მიმართულებით მუშაობის გააქტიურება და, ფაქტობრივად, ამ სფეროს ცივილიზებულ ჩარჩოებში მოქცევა.

მინდა განვმარტო ჩვენი დაწესებულების სახელწოდება – „ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი“. ჩვენ ვიცავთ ყველა სახის ინტელექტუალური საკუთრების ობიექტს, როგორებიცაა: სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები, დიზაინი, პატენტი. ასევე, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრიორიტეტია საავტორო უფლებების დეპონირება. ერთი მხრივ, ძალზე საყურადღებოა იურიდიული თუ ეკონომიკური მხარე, ხოლო, მეორე მხრივ, თავად ის სულიერი მატერია, რომელიც გვაქვს.ეს არაა ჩვეულებრივი პროდუქტი. იგი ჩვენი ისტორიული და კულტურული მონაპოვარია, რომელიც ბევრად აღემატება კონკრეტულ მატერიალურ სიკეთეს. არსებობს უნიკალურობის ცნება.გაგონილი გექნებათ გამონათქვამი – პიროვნების, ინდივიდის ჩანაცვლება შესაძლებელია მისი მოღვაწეობის ნებისმიერ სფეროში, გარდა შემოქმედებისა და სიყვარულისა. როცა საქმე ეხება არა მხოლოდ კონკრეტულ ავტორს, არამედ ნაციონალურ ტრადიციასაც, ფოლკლორს, იმას, რაც ცალსახად უნიკალურია, რისი მემკვიდრეებიც ვართ დღეს და სავსებით სამართლიანად ვამაყობთ ამით, ჩვენ უდავოდ ვიცავთ მას.

მნიშვნელოვანია ეკონომიკური ფაქტორიც და, ასევე, ტრადიციის მოფრთხილება-შენარჩუნება. საერთაშორისო გამოცდილებაც გვიჩვენებს, რომ ისეთი უძველესი ისტორიის ქვეყნები, როგორიც საქართველოა, ამას დიდ ყურადღებას უთმობენ. პირველ რიგში ევროპის ქვეყნებს ვგულისხმობ. მათ ძალიან მოწესრიგებული აქვთ ეს სისტემა. ეს მათ ცნობიერებაში ეროვნული იდენტიფიცირების საშუალებაა. ნაციონალური ბრენდები ხომ ძალიან დიდი აქტივია. ესაა არამატერიალური სიკეთე, რომელიც შესაძლოა ძალიან კონკრეტულ შემოსავალში გადაიზარდოს. სამწუხაროდ, საქართველოში აქამდე არ არსებობდა შესაბამისი არც ცნობიერება და არც ცნობადობა, ასე ვთქვათ, ზოგადად კულტურა ამ სფეროში. არ დაგიმალავთ, ამ საკითხს დიდად არ ექცეოდა ყურადღება. „საქპატენტი“ პრაქტიკულად მხოლოდ წამლებს აპატენტებდა.

გულს კერიოდში საგრძნობლად გაიზარდა საავტორო უფლებების ლიცენზიების რაოდენობა...

RECENTLY, THE NUMBER OF COPYRIGHT LICENSES HAS INCREASED SIGNIFICANTLY...

Protection of copyright and, generally, the protection of intellectual property rights are currently hot issues in Georgia. Why is the state so active in the field?

I agree that society is interested in these issues. I might not seem very modest, however, but I will say that our agency has contributed to this interest, too. Mass media is also intensively highlighting these issues. Concrete individuals and organisations are more and more aware of the necessity of protecting their intellectual property rights and copyright. Perhaps, it is because we have previously and practically not had this experience. It might have been conditioned by the past reality when the most widespread and ideologically justified form of property was collective property. Accordingly, the notion of the market was neither popular nor appropriately understood. It is both a great responsibility and a pleasure when our government team had to facilitate the work in this field and , in fact, put these activities into a civilised framework.

I would like to explain the name of our agency – National Intellectual Property Centre. We protect all kinds of intellectual property objects such as trademarks, geographical indications, designs and patents. Another important priority is deposit of work by the copyright holder. On the one hand, legal and economic aspects are very important and, on the other hand, the spiritual substance that we have is as well. It is not a regular product. It is our historical and cultural heritage and, therefore, it is beyond any concrete material benefit. There is a notion of being unique. Perhaps you have heard the following saying: It is possible to replace an individual person in any fields of his activity except art and love. When we deal with not only a concrete author but national tradition and folklore and everything that is by all means unique and all that we inherit today and in which we take pride, we will protect it.

The economic factor is also as important as is the protection of tradition. The international experience shows that countries with a long-standing history, such as Georgia, pay a lot of attention to these aspects. I mean, European countries in the first place.

ხელმძღვანელობის შეცვლისა და საერთაშორისო გამოცდილების გაცნობის შემდეგ აღმოვაჩინეთ, რომ სერიოზული ხარვეზები გვქონდა. დავიწყეთ მუშაობა ამ ჩამორჩენის გადასალახავად და პროცესები ძალიან სწრაფი ტემპით წარიმართა. ერთ-ერთი ძირითადი თემა გახდა ზოგადად ამ უწყების ცნობადობის გაზრდა, ის, თუ რას აკეთებს საქპატენტი, რატომ არის აუცილებელი ინტელექტუალური საკუთრების დაცვა? რატომ არის საჭირო სასაქონლო ნიშნის დაცვა? რა სიკეთე მოაქვს იმას, რომ ჩვენი ხვანჭკარა ან სხვა ნაციონალური ბრენდები დაცულია და, საერთოდ, როგორ ხდება მათი დაცვა. საზოგადოებამაც დაგვიჭირა მხარი. უპირველესად კი სახელმწიფოს ინიციატივა, ინტერესი იყო ამაში ჩადებული. შედეგიც სახეზეა. იმავე დსთ-ს სივრცეში საქართველოს საპატენტო უწყება განიხილება, როგორც რეფორმების თვალსაზრისით ერთ-ერთი მოწინავე. უცხოელი ექსპერტები საერთაშორისო კონფერენციებზე პირდაპირ ამბობენ, თუ რაიმე სიახლე გინდათ შეისწავლოთ ან ნახოთ, უნდა ჩახვიდეთ საქართველოშიო. მათი აზრი, ვფიქრობ, რეალურ სიტუაციას შეესაბამება და ჩვენც ოპტიმიზმის საფუძველს გვაძლევს.

ალბათ, ჩვენთვის, ჩვეულებრივ მოკვდავთათვისაც, ჯერჯერობით უცხოა იმ აზრის გათავისება, რომ უფასო ყველი მხოლოდ სათაგურშია. იმავე პერსონალურ კომპიუტერებში, თუკი ეს MacBook-ი ან iPad-ი არ არის, არალიცენზირებულ პროგრამებს ვიყენებთ. ხშირად მსოფლიო პრემიერამდე ვეცნობით უახლეს ფილმებს. ვართ ეგრეთ წოდებული ტორენტ-საიტების აქტიური მომხმარებლები. ყველა საჭირო წიგნი, ფილმი თუ პროგრამა ჩვენს ხელთაა. უფრო მეტიც, BIAFF-ი (ბათუმის საერთაშორისო კინოფესტივალი), ყოველგვარი უხერხულობის გარეშე, საკონკურსო თუ არასაკონკურსო ფილმების მეკობრულ ვერსიებს აჩვენებს. პრობლემა ისევ ჩვენს მენტალობასა და დამკვიდრებულ ჩვევებშია. უპირველეს ყოვლისა, ჩვენი ცნობიერება უნდა შეიცვალოს და გავიაზროთ, რომ ყოველივე ეს ისეთივე სიამოვნებაა, როგორიც ნებისმიერი ნივთი თუ გართობის საშუალება. სიამოვნება კი ფული ღირს.

© რა მექანიზმები არსებობს, რომ სამართლებრივ ჩარჩოებში მოექცეს ეს პროცესი, როგორ დავიცვათ ჩვენი თუ უცხოელი ავტორების ინტერესები, უფლებები? ვფიქრობთ, ეს თემა არანაკლებ აქტუალურია, ვიდრე ზოგადად ინტელექტუალური საკუთრების დაცვა და რას ფიქრობს ირაკლი ღვალაძე?

საავტორო უფლებების დაცვა ვრცელი და საინტერესო თემაა. საბედნიეროდ, საქართველოში შემოქმედი ხალხის ნაკლებობა არაა. ერთია მათი აღიარება და დაფასება, მეორე კი – მათ მიერ შექმნილი ნაწარმოებების სამართლებრივი დაცვა და სათანადო მატერიალური კომპენსირება. მას შემდეგ, რაც საქართველო გახდა დამოუკიდებელი და მოხდა პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის ძირეული ტრანსფორმაცია, მართლაც, ერის ეს ელიტა ფაქტობრივად დაუცველი აღმოჩნდა. წინა რეჟიმის დროს ამ ადამიანების უფლებების დაცვას და, საერთოდ, ამ საქმის კოორდინაცია-დარეგულირებას სახელმწიფო უზრუნველყოფდა.

They have this system very well organised. It is a means of their national identity. National brands are very big assets. This is non-material benefit that might be translated into concrete benefit. Unfortunately, there was neither respective consciousness nor awareness, so to say, as a general culture in this sphere. Needless to say, this issue was not paid great attention. Sakpatenti actually only issued patents for medicines. After a change of management and studying the international experience, we found out that we had serious shortcomings. We started work aimed at covering this lag and the processes went very quickly. One of the basic issues was generally to raise the awareness on the activities of Sakpatenti.

Why is it necessary to protect intellectual property rights? One of the basic topics was to raise the awareness on the work of Sakpatenti: what does it do? Why is it necessary to protect intellectual property rights? Why is it necessary to protect trademarks? What is the benefit of our Khvanchkara or other national brands being protected and how are they protected?

Society has supported our work. First of all, it was the initiative and the interest of the state to do so. We can see the results. The Georgian Patent Agency is considered as one of the most advanced in the field of reform. International experts say, at the international conferences, if you want to learn about or see anything new, you should go to Georgia. I think their opinions reflect the real situation and support our optimism.

Perhaps for us, the mere mortals, it is still not entirely clear that cheese is available for free only in the mouse-trap. Even in the PC, if it is not a Mac Book or iPad, we are using unlicensed software. Very often, we view the newest movies before they have been first shown worldwide. We are active users of the so-called torrent web-sites. All the books, movies or shows are easily accessible for us. Moreover, during the BIAFF (Batumi International Film Festival), pirate versions of both those movies that participated in the competition, and those that did not, were shown without any reservation. The problem lies in our mentality and the practices that we are used to. First of all, our mentality should change and we should become aware that all these are pleasures in the same way as is any other thing or means of entertainment. And pleasure is to be paid for.

What mechanisms are there that would serve as legal framework for this process? How should we protect our rights or the rights and interests of foreign authors? I think that this issue is generally as hot as the issue of the protection of intellectual property rights. And what does Irakli Gvaladze think?

Protection of copyright is a large and interesting issue. Happily, we do not lack creative people in Georgia. One thing is to acknowledge and value their merit and another thing is to legally protect the work they create and ensure they receive appropriate material compensation.

დღეს კი, თანამედროვე მსოფლიო და ევროპული სტანდარტებიდან გამომდინარე, სახელმწიფო განსაზღვრავს მხოლოდ ზოგად პოლიტიკას და ახორციელებს უშუალოდ მის აღსრულებასთან დაკავშირებულ საქმეს, უშუალოდ დაცვა კი კოლექტიური მართვის ორგანიზაციის, საავტორო უფლებათა ასოციაციის პრეროგატივაა. მართალია, ეს ორგანიზაცია არსებობდა საქართველოში, მისი საქმიანობის ხელშესახები ცვლილებები და კონკრეტული ეფექტი ბოლო თვეებში გამოვლინდა. ამის მიზეზია ამ სტრუქტურაში ახალი ხელმძღვანელობის მოსვლა, მათი გააქტიურება და ახალი დასავლური მენეჯმენტის დანერგვა. ცოდნა, კომპეტენცია, პროფესიონალიზმი დაეტყო ამ სფეროს მართვას. მათ მოინდომეს და მოახერხეს კიდეც, დაინტერესებულ ადამიანებთან და სხვადასხვა ორგანიზაციასთან უშუალოდ დაემყარებინათ კონტაქტი, თანამშრომლობენ და ეს თანამშრომლობა ორმხრივად საინტერესოა. მათ არა მხოლოდ დააინტერესეს ხელოვანები და შემოქმედებითი ინტელიგენცია, არამედ მათ მისცეს რეალური შანსი, მიეღოთ საკუთარი შრომის მატერიალური კომპენსირება. ბუნებრივია, როცა პიროვნება ხედავს შედეგს, ის ითავისებს სიახლეს და ერთვება შეთავაზებული ურთიერთობის წესებში. ცოტა ხნის წინ საქართველოში ჩამოსული იყო ავტორთა და კომპოზიტორთა საზოგადოებების საერთაშორისო კონფედერაციის, CISAC-ის ევროპის ოფისის, დირექტორი მიტკო ჩატალბაშევი, რომელმაც განაცხადა, რომ საავტორო უფლებების დაცვის სფეროში გატარებული რეფორმები უდავოდ ხელშესახებია და ეფექტური. მათი აზრით, საქართველოს სულ მალე ექნება რეალური შანსი, გახდეს ევროპის სრულფასოვანი წევრი ამ კუთხით, ანუ დააკმაყოფილოს ის მოთხოვნები, რომლებიც ცივილიზებულ ქვეყნებში უკვე დიდი ხანია არსებობს.

მე პირადად ეს ძალიან მახარებს და ამ სფეროს განვითარების დიდ პერსპექტივას ვხედავ საქართველოში. ეს არ ნიშნავს, რომ არ გვაქვს პრობლემები, მაგრამ უნდა ვაღიაროთ, რომ ბევრი რამ გაკეთდა. თუნდაც ის, რომ ავტორმა არ იცოდა, რა ქონებრივი უფლებები ჰქონდა და მით უმეტეს ის, რომ საჭირო იყო ამ უფლებების დაცვა. დღეს უკვე ეს ასე აღარ არის. მათ გაიგეს, რომ სხვას არ აქვს მათი შემოქმედების უნებართვოდ გამოყენების უფლება. გახშირდა მედიაში საავტორო უფლებების შესახებ საკითხების გაშუქება. სხვათა შორის, მალე წამყვანი ტელევიზიების ეთერში გავა ჩვენი და საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ გადაღებული ვიდეორგოლი და, ცხადია, ეს აქციაც წაადგება საავტორო უფლებების დაცვის საქმეს – რეკლამა ხომ ძალაუნებურად მოქმედებს მაყურებლის ფსიქიკაზე. უკვე საკმაოდ ბევრ რესტორანს აქვს შეძენილი საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებებით სარგებლობის ლიცენზია და სხვებსაც აქვთ მისი შეძენის სურვილი. ორგანიზატორებმა თბილისის საერთაშორისო ჯაზფესტივალისა, რომელიც წლების განმავლობაში იმართება და არაერთ მსოფლიო დონის მუსიკოსს უმასპინძლა, საავტორო უფლებათა ასოციაციასთან ხელშეკრულება გააფორმეს. ყველა მაგალითის მოყვანა ძალიან შორს წაგვიყვანს. ვიტყვი მხოლოდ ერთს, ფაქტია, რომ ეს კულტურა საქართველოში მკვიდრდება. სახელისუფლებო სექტორის მხრიდანაც არის ინიციატივები.

After Georgia gained independence and profound political and economic transformation took place, the creative elite of the nation appeared, in fact, unprotected. During the previous regime, protection of the rights of these people and, generally, co-ordination and regulation of this field, were ensured by the state. Today, however, proceeding from the world and European standards, the state defines only the general policy and implements its enforcement whereas the protection itself is a prerogative of the Collective Management Organisation, of the Georgian Copyright Association. This Organisation existed in Georgia although amendments to its activities and concrete effects were highlighted during recent months. The reason for this was a change in the management of the Organisation, its active work and the introduction of new Western-style management practices. The management of this sphere became visibly characterised by new knowledge, competence and professionalism. They initiated and succeeded in establishing contacts with interested individuals and various organisations, they co-operate and this co-operation is mutually interesting. They not only made the people working in the field of arts and those engaged in creative work interested, but they also offered these people a real chance of getting material compensation for their work. Having a visible result, it is natural that a person welcomes the novelty and joins the relations according to the rules offered.

Recently, Mitko Chatalbashev, Director for European Affairs of CISAC (the International Confederation of Authors and Composers Societies) visited Georgia. He stated that the reforms undertaken in the field of copyright protection were significant and effective. In his opinion, Georgia will soon have a real chance of becoming a full-fledged member of Europe in this field; that is, meeting the requirements that have been in existence in civilised countries since long ago. Personally, I am very glad to hear this and, in my opinion, the development of this sphere in Georgia is highly promising. It does not mean that we do not have problems, however; we should acknowledge that a lot has been done. For example, an author did not know, that he or she had property rights let alone that it was necessary to protect these rights. Today, it is no more so. They realised that another party was not entitled to use their creative works without permission. The issues related to copyright are more and more often highlighted in the media.

By the way, an advertisement, which was produced jointly by our organisation and the Georgian Copyright Association, is soon to be broadcast by the leading TV channels and, of course, this will contribute to copyright protection – the advertisement subconsciously affects the viewer's psyche. Quite a few restaurants have already purchased the license for using music protected by copyright and others have the desire to do so. The organisers of the Tbilisi International Jazz Festival, which has been held for many years and brought many musicians of world standing, signed an agreement with the Georgian Copyright Association.

თბილისის მერიამ გამოთქვა სურვილი, რომ საავტორო უფლებების დაცვის მხრივ დედაქალაქი გახდეს ერთ-ერთი ლიდერი ქალაქი მთელ კავკასიასა და დსთ-ს სივრცეში. მართალია, ჩვენმა ქმედებებმა შედეგი მოიტანა, ამ ეტაპზე შეიძლება ითქვას, მოსალოდნელსაც გადააჭარბა, მაგრამ ეს არ გვაძლევს მოდუნების საშუალებას.

© ჩვენ ვესაუბრეთ ქალბატონ ვირჯინ კოსულს, ევროკავშირის წარმომადგენელს. მან პოზიტიურად შეაფასა საავტორო უფლებების დაცვის სფეროში გაწეული მუშაობა. აღნიშნა, რომ აუცილებელია სამთავრობო სექტორის, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ევროკავშირის კოორდინირებული მუშაობა, რათა საქართველო მიუახლოვდეს ევროსტანდარტებს. რა მონაწილეობას იღებს სახელმწიფო და, კერძოდ საქპატენტი, საავტორო უფლებების დაცვის სფეროში მიმდინარე პროცესებში? რა პროექტები ხორციელდება ამ მხრივ?

სახელმწიფო დონეზე კოორდინაციის საჭიროებას ჩვენც კარგად ვაცნობიერებდით. ჩვენი ინიციატივით პრემიერ-მინისტრთან შეიქმნა მუდმივმოქმედი საბჭო, რომელშიც გაერთიანდნენ ამ საკითხით დაინტერესებული სახელმწიფო სტრუქტურები, რომლებიც ამავე დროს არიან ამ სფეროს სახელმწიფო რეგულაციასთან დაკავშირებული უწყებები. ასე რომ, მუდმივმოქმედი საბჭო არსებობს. ხოლო რაც შეეხება არასამთავრობო სექტორს, იმავე საავტორო უფლებათა დაცვის ასოციაციას, იგი ასრულებს ერთ-ერთ წამყვან როლს ამ საქმეში. ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა საავტორო უფლებების ლიცენზიების რაოდენობა. თუნდაც ის, რომ ყველა ტელევიზია და რადიო ცდილობს დაამყაროს ურთიერთობა საავტორო უფლებათა ასოციაციასთან და სამართლებრივი კუთხით მოაწესრიგოს ეს საკითხი, ამ ასოციაციის გავლენის ზრდასა და მის ავტორიტეტზე მიგვანიშნებს. გახსოვთ, ალბათ, ახლო წარსულში ზოგიერთი წამყვანი ტელევიზიაც არ ერიდებოდა არალიცენზირებული ფილმებისა და პროგრამების ტრანსლაციას. დღეს სულ სხვა მდგომარეობაა. მართალია, ეს მათთვის დიდ ხარჯებთანაა დაკავშირებული, მაგრამ კონტროლირებადია. ევროკავშირთანაც ინტენსიურად ვთანამშრომლობთ. საერთაშორისო გამოცდილების გაზიარების მიზნით მათი ექსპერტები მართავენ აქტიურ კონსულტაციებს. ევროკავშირის დახმარებით ჩვენ ვიღებთ ინფორმაციას, თუ რა სიახლეებია წამყვან ქვეყნებში ამ სფეროში. ვფიქრობ, გვაქვს საქმიანი და კონკრეტული ურთიერთობები, რომლებიც მომავალში აუცილებლად გაგრძელდება.

© რა გზა მიგაჩნიათ ეფექტურად საავტორო უფლებების უკანონო გამოყენების წინააღმდეგ ბრძოლისთვის? როგორია საკანონმდებლო შეზღუდვები ამ მხრივ და როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს როლი ამ საქმეში? ხომ არ არის ეს „სიღარიბის“ სინდრომი?

საერთოდ, ამ პრობლემების ერთბაშად გადაწყვეტა ვერ მოხერხდება, რადგან დიდ ფინანსურ ხარჯებთანაა დაკავშირებული. მე გეტყვით, რომ საქპატენტიც კი, რომელიც უნდა ყოფილიყო ნიმუში ლეგალური პროგრამებით სარგებლობის თვალსაზრისით, ამ დრომდე არალიცენზირებულ პროდუქციას იყენებდა.

It is hardly possible to talk about all the examples here. I will only say one thing. It is a fact that this culture is being introduced in Georgia. There are also initiatives on the part of the state. The Tbilisi Municipality stated that it would be desirable for the capital to become one of the leader cities throughout the Caucasus and the CIS in terms of copyright protection. Although our activities have yielded results — and it could be said that they surpassed our expectations at the current stage — it does not give us the possibility to relax or slow down.

We talked to Virginie Cossoul, an EU representative. She positively assessed the work done in the field of copyright protection. She noted that it was necessary that the governmental sector, NGOs and the EU work in a co-ordinated manner in order to facilitate Georgia's approximation to the European standards. How does the state and, particularly, Sakpatenti, contribute to the processes taking place in the field of copyright protection? What projects have been carried out?

We, too, are well aware of the necessity of co-ordination at the state level. At our initiative, a permanent council was established under the Prime Minister. The council integrated the state stakeholders that are at the same time the agencies related to the state regulation in the field. The permanent council, therefore, is in place. And as far as the non-governmental sector is concerned, particularly the Copyright Association, it plays a leading role in this process.

საქართველოს მალე ექნება რეალური შანსი, გახდეს ევროპის სრულფასოვანი წევრი საავტორო უფლებების დაცვის კუთხით...

GEORGIA WILL SOON HAVE A REAL CHANCE OF BECOMING A FULL-FLEDGED MEMBER OF EUROPE IN THE FIELD OF COPYRIGHT PROTECTION...

მხოლოდ წელს გადავედით ლეგალურ პროდუქციაზე და მე კარგად ვიცი, ეს რა მატერიალურ დანახარჯებს მოითხოვს. იმის მტკიცება, რომ ყველა სახელმწიფო სტრუქტურა ერთიანად გახდება ლიცენზირებული პროგრამების მომხმარებელი, არ იქნება მართალი. ეტაპობრივად ჩანაცვლება კი აუცილებლად მოხდება. ნებისმიერი ახალი პროგრამა, რომელიც დღეს ინერგება, უკვე ლიცენზირებულია, იქნება ეს პირველი კომპიუტერული პროგრამები, რომლებიც სკოლებში დარიგდა თუ სხვა ნებისმიერი აქტივობა სახელმწიფოს მხრიდან. არსებობს საერთაშორისო ორგანიზაცია BSA (Business Software Alliance), რომელიც ქვეყნების რეიტინგებს სწავლობს. მათ მიერ დადებული შედეგების მიხედვით საქართველოს მსოფლიოს მასშტაბით ერთ-ერთი ბოლო პოზიცია ეკავა არალეგალური კომპიუტერული პროგრამების გამოყენების კუთხით. მათთან ერთად ჩვენ შევადგინეთ გეგმა, რათა სახელმწიფო ეტაპობრივად გამოვიდეს ამ სიტუაციიდან. მე ვფიქრობ, ორ-სამ წელიწადში საბოლოოდ ამ პრობლემას მოვაგვარებთ.

© როგორია საავტორო უფლებების დაცვის როლი არა მხოლოდ მორალური კომპენსირების თვალსაზრისით, არამედ ეკონომიკური კუთხითაც. როგორ შეიცვალა სიტუაცია ამ მხრივ საქართველოში? რა მიღწევები გვაქვს და რა სირთულეები?

საავტორო უფლება ზოგადად მოიცავს ქონებრივ და პირად არაქონებრივ უფლებებს. ქონებრივ უფლებაში ძირითადად მოიაზრება ავტორის მიერ ჰონორარის მიღების უფლება, ხოლო პირად არაქონებრივ უფლებაში – სახელისა და პატივის უფლება. შესაბამისად, ქონებრივი უფლება დაკავშირებულია კონკრეტულ შემოსავალთან – ჰონორართან. ამ უფლების მოქმედების ვადაა 70 წელი ავტორის გარდაცვალებიდან. ავტორმა ნაწარმოების შექმნის შემდეგ შემოსავალი უნდა მიიღოს მისი გაყიდვით. ამ ნაწარმოებს იყენებს ტელევიზია, რადიო თუ სხვა და ავტორს უნდება რეალური შემოსავალი. გარდა ამისა, აქ სახელმწიფოს დაინტერესებაც დიდია, რადგან ჰონორარიდან ავტორი იხდის გადასახადს ბიუჯეტში.

რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანია ამ სფეროს მოწესრიგება. ამ საქმეში ერთ-ერთი სერიოზული რგოლი არის საავტორო უფლებათა ასოციაცია, რომელიც აერთიანებს ყველა ავტორს და წარმოადგენს მათ მოსარგებლებთან ურთიერთობისას. შესაბამისად, თუკი სისტემა გამართულია და მოსარგებლეები (ტელევიზიები, კინოთეატრები, რესტორნები და სხვა) იძენენ ლიცენზიებს, ავტორებიც იღებენ ჰონორარს. რაც უფრო მეტი ლიცენზია გაიცემა, მით უფრო მეტ ჰონორარს მიიღებენ ავტორები. ბოლო ექვსი თვის განმავლობაში მნიშვნელოვნად გაზრდილია ლიცენზიებისა და მათგან გამომდინარე გადახდების რაოდენობა.

სერიოზული პრობლემა იყო ასევე ამ სფეროს გამჭვირვალობა. დღეს უკვე შესაძლებელია, ავტორმა ონლაინრეჟიმში საკუთარი სამომხმარებლო პაროლის საშუალებით ადევნოს თვალყური მისთვის განკუთვნილი ჰონორარის მოძრაობას. ეს სისტემა მეტ-ნაკლებად უკვე მოწესრიგდა და კიდევ უფრო გაიმართება.

Recently, the number of copyright licenses grew substantially. The fact that all the TV and radio companies try to establish relations with the Copyright Association and have these issues legally regulated is a reflection of the growing influence and authority of this organisation. Perhaps you remember that in the recent past even certain leading TV companies did not abstain from broadcasting non-licensed films and TV programmes. Today, the situation is totally different. True, it is associated with high expenses for them but this is under control. We also co-operate intensively with the EU. With the view of sharing international experience, their experts hold active consultations. With the assistance of the EU, we get the information on what is new in the field in the leading countries. I think that we have business and concrete relations that will continue in future.

In your opinion, what is an effective way of fighting the illegal use of copyright? What are the legal limitations and what should be the role of the state? Is it not a "poverty" syndrome?

Actually, solving all of these problems at once is not going to be possible since it is associated with high financial expenses. I will tell you that even Sakpatenti, which should have been an example from the point of view of using legal software, was up-to-now using non-licensed products. It is only this year that we switched to the use of legal products and I know well what material expenses this requires. It would not be right to prove that all the state agencies will immediately become users of licensed products. However, stage-by-stage replacement of the non-licensed products by the licensed ones will happen by all means. Any new software that is currently being introduced has already been licensed, be it the first computer software distributed in schools or any other activity on the part of the state. There is an international organisation that studies countries' ratings – BSA (Business Software Alliance).

According to their studies, Georgia is one of the last on the list of the countries of the world as far as the use of illegal computer software is concerned. Together with the organisation, we worked out a plan according to which the situation in the country is to improve stage-by-stage. I think we will overcome this problem in two-or-three years.

What is the role of the copyright protection, not only from the point of view of moral compensation but also in economic terms? How has the situation changed in this aspect in Georgia? What achievements and what challenges do we have?

Copyright generally covers property and personal non-property rights. Property rights basically imply the authors' right to receive a fee whereas personal non-property rights imply the right to the name and dignity. Accordingly, property right is associated with concrete income – a fee. The copyright runs for the life of the author and for 70 years after his or her death. The author gains income from his or her work by selling it.

მთავარი ისაა, რომ ხელოვან ადამიანს თავისი ნიჭის დაფასებასა და აღიარებასთან ერთად გაუჩნდა მატერიალური მოტივაცია, გაჩნდა რა რეალურად მისი უფლებების დაცვის სამართლებრივი საფუძველი და ორგანიზაციაც, რომელიც ამას განახორციელებს.

© რა მიგაჩნიათ თქვენს ყველაზე დიდ მიღწევად, როგორც საქპატენტის ხელმძღვანელისა? რა არის ახლო მომავალში თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი, რის გაკეთებასაც აპირებთ?

როდესაც ამ უწყებაში მოვედი, ნამდვილად არ ვიცოდი, თუ ამდენად ფართო და ეროვნული საქმიანობის სფერო იყო. დასაცავი ობიექტების ნაწილი დაკავშირებულია უძველეს ეროვნულ ტრადიციებსა და კულტურასთან. მათი დაცვის აუცილებლობა უდავოა, მეტიც, ეროვნული საქმეა. მაგალითად, ქვევრის ღვინო, ხვანჭკარა ან ქინძმარაული – ყოველივე ეს ჩვენი მამა-პაპისგან მოდის. ჩვენ უნდა დავიცვათ ამ ღვინის დაყენების წესი. შევქმნათ სამართლებრივი ბაზა, რომლის მიხედვითაც ეს უდავოდ ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება იქნება და ვერავინ ვერ შეძლებს მის წართმევას. სხვათა მიერ მითვისების მცდელობა იყო და რეალურად უცხოელებს ეკუთვნოდათ იგივე ხვანჭკარა. ამერიკაში მიაჩნდათ, რომ ხვანჭკარა არ არის ქართული ღვინო. ასეთი ფაქტები ხშირია. უპირველესად ჩვენი ამოცანა იყო სამართლებრივი ბაზის შექმნა და ამ სფეროს მიმართ ინტერესის გაზრდა. დღეს ყველა აცნობიერებს, რამდენად დიდ მატერიალურ თუ არამატერიალურ ღირებულებებთან გვაქვს საქმე. ძალიან გაიზარდა განაცხადებების რაოდენობა სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციაზე. ქართულმა კომპანიებმა გაიაზრეს ის გარემოება, რომ ვიდრე ბაზარზე გავლენ, მით უფრო უცხოურ ბაზარზე, საჭიროა, საკუთარი ბრენდი დაარეგისტრირონ.

ასევე, საგრძნობლად გაიზარდა დეპონირებული ნაწარმოებების რაოდენობა, იქნება ეს ლექსი, სცენარი, კომპოზიცია თუ სხვა. ეს იყო ჩვენი მიზანი და შეიძლება ითქვას, რომ ეს მიზანი მიღწეულია.

დიდი გეგმები გვაქვს მომავალშიც. აუცილებლად უნდა გაიზარდოს გეოგრაფიული აღნიშვნებისა და ადგილწარმოშობის დასახელებების რაოდენობა. გარდა თვრამეტი ღვინისა, რომლებიც ადგილწარმოშობის დასახელებებად რამდენიმე წლის წინ დარეგისტრირდა, სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ წარმოდგენილ ახალ განაცხადებში არის ყველის სხვადასხვა სახეობა. ამასთან, სოფლის მეურნეობისა და სხვა საკვები პროდუქტების გარდა, გეოგრაფიულ აღნიშვნად და ადგილწარმოშობის დასახელებად გარკვეულ შემთხვევაში შეიძლება დარეგისტრირდეს ფოლკლორისა და ხალხური რეწვის ნიმუშები. ყოველივე ეს სამართლებრივი დაცვის მექანიზმის შექმნას საჭიროებს. უამრავი ტურისტი ჩამოდის საქართველოში და ყოველთვის არის იმის საშიშროება, რომ მითვისონ ჩვენი ინტელექტუალური საკუთრება. მაგალითად, დღეს მომაწოდეს ინფორმაცია, რომ კანადაში იყიდება ქვევრის ღვინო. მთელ მსოფლიოში ცნობილია, რომ ქვევრის წესით ღვინის დაყენება ქართული წარმოშობისაა.

The work is used by TV, radio or any other party and the author is gaining real income. Moreover, the state is also interested in this since the author pays taxes to the budget. Needless to say, it is important to bring this sphere into order. One of the serious actors in the field is the Copyright Association which integrates all the authors and maintains relations with those who pay fees. Respectively, if the system is well organised and the payers (TV companies, cinemas, restaurants, etc.) purchase licenses, the authors receive fees. The more licenses are granted, the the greater amount of fees will go to the authors. During the last six months, the number of licenses and the number of fees resulting from the licenses has grown substantially. Another serious problem in the field has been transparency. Today, an author can follow the movement of his fees online by a user password. This system has been brought into order, more or less, and is going to improve further. It is important that people engaged in art professions, in line with acknowledgement of their talent, have material motivation as a legal basis for the protection of their rights and that an organisation implementing the protection has emerged.

What do you think is your biggest achievement, as the head of Sakpatenti? What is the most important for you to be done in the near future?

When I came to this agency, I did not know how vast the sphere of the activity was. Parts of the objects that are subject to protection are connected with a very old national tradition and culture. The necessity of their protection is indisputable; moreover, it is an issue of national importance. For example, jug wine, Khvanchkara and Kindzmarauli, has come to us from our ancestors. We should protect the procedure of wine making for these kinds of wine. We should create a legal framework according to which it will be undoubtedly our intellectual property and nobody will be able to take it from us. There have been such cases, when foreigners have actually owned Khvanchkara. In the United States, for example, they thought that it was not a Georgian wine. Such facts are frequent.

First of all, our task was to create a legal framework and raise interest in this sphere. Today, everybody is aware of the fact that it all concerns great material and non-material values. The number of applications for trademark registration has grown immensely. Georgian companies came to understand that before they enter the market — more so, a foreign market — it is necessary that they register their brand name. The number of deposited works — be it a poem, a scenario, a composition or something else — has also grown significantly. It was our aim, and we can say that it was reached.

We do have big plans in future as well. The number of geographical indications and appellations of origin is to grow by all means. Besides twelve wines, whose appellations of origin were registered several years ago, there are various types of cheese in the new application for registration submitted by the Ministry of Agriculture.

თუ შესაბამის სამართლებრივ საფუძველსა და მექანიზმს არ შევქმნით, ჩვენ დავკარგავთ ნაციონალურ ბრენდს. შესაბამისი სამართლებრივი ბაზის შექმნის შემდეგ ამ ყველაფრის კონტროლი ადვილია.

არსებობს ასეთი პრაქტიკა, რომ კონკრეტული ქვეყნის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დასახელებას წარუდგენ ამ ქვეყნის საბაჟოს, რომელიც მონაცემთა ბაზების მეშვეობით იწყებს რეგისტრირებული დასახელებით წარმოებული პროდუქციის ექსპორტ-იმპორტის კონტროლს. შესაბამისად, რეგისტრირებული დასახელებით ნიშანდებული პროდუქციის გამოყენების უფლება ეძლევა მხოლოდ იმ კომპანიებს, რომლებიც ლეგალურად მოიპოვებენ ამ უფლებას და დაფიქსირდებიან სპეციალურ რეესტრში. ამ კონკრეტული პროცედურების ასამოქმედებლად საჭიროა შეიქმნას სამართლებრივი საფუძველი – დარეგისტრირდეს დასახელება, გაფორმდეს საერთაშორისო შეთანხმებები და ამის შემდგომ მოხდეს აღსრულება. თუკი ჯერ სამართლებრივი საფუძველი არ გაქვს, მაშინ დაცვაც შეუძლებელია. ევროკავშირის ქვეყნებში ეს სამართლებრივი საფუძველი არსებობს. დსთ-ს სივრცეში ეს პროცესი ახლა მიმდინარეობს და ამჟამად საკმაოდ ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებთ სხვადასხვა ქვეყანასთან. საბოლოოდ ეს მოგვცემს საშუალებას, რომ დავიცვათ ქართული პროდუქცია. სამომავლოდ ეს სერიოზულ ეკონომიკურ ეფექტს მოგვცემს და, ამავდროულად, ნამდვილად ეროვნული საქმეა.

ბატონ ირაკლის აქვს ერთი უჩვეულო „კოლექცია“ – უცხოური წარმოების აჯიკა, ტყემალი, ჩახოხბილის კონცენტრატი, სულგუნი, ქართული ღვინოები. არც ერთ მათგანზე მითითებულიც არ არის მათი ქართული წარმომავლობა, ხოლო ხარისხსა და იმაზე, თუ რამდენად შეესაბამება ეს ნაწარმი ორიგინალს, საუბარიც არ ღირს. ეს არაა მხოლოდ მატერიალური ზარალი. უხარისხო და ფალსიფიცირებული ეროვნული პროდუქტი ზოგადად ქვეყნის იმიჯზეც უარყოფითად მოქმედებს. ოთარ იოსელიანის ფილმში „გიორგობისთვე“ ფალსიფიცირებული ღვინო ერის სულიერი განვითარების სტაგნაციად აღიქმებოდა. ეს იყო საბჭოური იდეოლოგიისა და სისტემის მეტაფორა, ღვინო და ვაზის კულტი კი – ერის ისტორიული მეხსიერების სიმბოლო. გამოდის, რომ დღეს ეს კულტურული სიმბოლოები კვლავ დასაცავია.

At the same time, in addition to agricultural produce and other food products, items of folklore and folklore applied art and handicraft, in certain instances, can be registered as geographical indications and appellations of origin. All of this requires the establishment of legal protection mechanisms.

A great number of tourists visit Georgia and there is always the danger of our intellectual property being abused. For example, I have been informed today that jug wine is sold in Canada. It is well known all over the world that making wine in the jug originates from Georgia. If we do not establish a legal base and mechanism, we are going to lose the national brands. Once the legal base has been created, controlling everything will become easy.

There is such practice, whereby a brand name registered on the territory of a concrete country is submitted to the tax authority of that country and the latter, by the way of data bases, starts to control export and import of products produced under the registered names. Respectively, the right to use the products produced under the registered names is granted only to those companies that would gain such right legally and which would become registered in the specialised register. In order to have these concrete procedures work, it is necessary that a legal framework be created – the name should be registered, the international agreement signed and, after that, enforcement should be executed. If you still do not have a legal basis, then protection is impossible to enforce. This legal basis does exist in the EU states. This process is currently underway in the CIS and we are negotiating these issues with various countries. In the long run, it will enable us to protect Georgian products. In future, it is going to yield serious economic effect and, at the same time, it is really an issue of national importance.

Mr Gvaladze has an unusual collection – ajika, tkemali, chakhokhbili concentrate, sulguni and Georgian wines produced outside Georgia. None of them has any indication of the brand's Georgian origin let alone the indication of quality and a statement of its conformity to the original product. It is not only a material loss. Low quality and counterfeit national product generally undermines the image of the country. In Giorgobistve, a movie by Otar Ioseliani, counterfeit wine was perceived as stagnation of spiritual development. It was a metaphor of the Soviet ideology and Soviet system and the cult of wine and vine is a symbol of historical memory. It appears that today these cultural symbols need protection again.

ვირჯინი კოსული: „კიდევ ერთი ფინგალდგმული ნაბიჯი ევროპისაკენ. საქართველო მხარს უჭერს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას, როგორც მიმდინარე რეფორმის ერთ-ერთ ნაწილს"...

VIRGINIE COSSOUL: "ANOTHER STEP TOWARDS EUROPE. GEORGIA SUPPORTS INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS AS A PART OF ITS REFORMS PROCESS"...

ევროკავშირთან ინტეგრაციის პროცესში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა. მოცემული სეგმენტის სამართლებრივ ჩარჩოებში მოქცევა და ეფექტური დაცვა მნიშვნელოვანია როგორც ინტელექტუალური საკუთრების უფლების მფლობელებისათვის, ასევე უცხოელი ინვესტორებისათვის, რათა მათ ჰქონდეთ თავიანთი ტექნოლოგიური თუ სხვა სახის ინოვაციების დაცულობის გარანტია. ბოლო პერიოდში საქართველომ საგრძნობ წარმატებებს მიაღწია საავტორო უფლებების დაცვის სფეროში. გატარდა მთელი რიგი რეფორმები. როგორია ევროკავშირის ჩართულობა – კოორდინაცია ამ პროცესში? ჩვენ გავესაუბრეთ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის ვაჭრობის ატაშეს, ქალბატონ ვირჯინი კოსულს.

WITHIN AND ALONG THE PROCESS OF APPROXIMATION WITH THE EUROPEAN UNION THE ISSUES OF INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS (IPR) PROTECTION ARE CRUCIAL. PROVIDING A LEGAL FRAMEWORK FOR AND AN EFFECTIVE PROTECTION OF IPR IS IMPORTANT FOR IP OWNERS AND FOREIGN INVESTORS ALIKE IN ORDER TO HAVE THEIR TECHNOLOGY OR INNOVATION PROTECTED. GEORGIA HAS RECENTLY ACHIEVED SIGNIFICANT SUCCESS IN THE FIELD OF INTELLECTUAL PROPERTY RIGHTS PROTECTION WITH A NUMBER OF REFORMS HAVING BEEN CARRIED OUT. HOW DOES THE EUROPEAN UNION PARTICIPATE IN THIS PROCESS? WE SPOKE WITH MS. VIRGINIE COSSOUL, TRADE ATTACHÉ AT THE EU DELEGATION TO GEORGIA.

© ინტელექტუალური საკუთრების უფლება არის ევროკავშირის პრიორიტეტი. რატომ არის ის ასე მნიშვნელოვანი?

ვფიქრობთ, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ინვესტიციების, შემოქმედებისა და ტექნოლოგიური პროგრესისათვის ხელშეწყობა. ინტელექტუალური საკუთრება (რომელიც მოიცავს საავტორო უფლებებსა და ინდუსტრიულ საკუთრებას) ასოცირდება მნიშვნელოვან კულტურულ, სოციალურ და ინოვაციურ ასპექტებთან. მოკლედ რომ ვთქვათ, ის მჭიდროდაა დაკავშირებული თანამედროვე საზოგადოების განვითარებასთან.

Protection of intellectual property rights is one of the priorities for the European Union. What is your view on this issue?

We believe it is an incentive to promote investments, creativity and technological progress. Intellectual property rights (which include copyright and industrial property) are associated with important cultural, social and innovation aspects. In short, this is closely linked to the development of a modern society.

ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ხალხმა, რომელმაც შექმნა პროდუქტი – იქნება ეს ფილმი, მუსიკალური ნაწარმოები თუ სხვა – მიიღოს ადეკვატური ანაზღაურება და იყოს უფლებების დარღვევისაგან დაცული.

მუდმივი ადაპტირება სიახლეებთან წარმოადგენს გამოწვევას არა მხოლოდ ინდივიდებისათვის, არამედ ქვეყნისათვისაც. ყველაფერი ვითარდება და იცვლება ძალიან სწრაფად და ოდნავი შეფერხებაც კი უკვე ჩამორჩენას იწვევს. ამიტომ ადგილობრივ ბაზარზე ახალი ინოვაციური ტექნოლოგიების შემოსასვლელად და დასამკვიდრებლად აუცილებელია ქმედითი სამართლებრივი მექანიზმის არსებობა.

ტექნოლოგიების გარდა მნიშვნელოვანია ის შემოქმედებითი პოტენციალი, რომლითაც ერის კულტურა და ხელოვნება საზრდოობს. იგივე მწერლები, კომპოზიტორები, რეჟისორები საჭიროებენ, რომ მორალურად და ეკონომიკურად იყვნენ დაცულნი. მათი საავტორო უფლებების დაცვა და ამ გზით მიღებული შემოსავალი ერთგვარი წამახალისებელი ფაქტორია, თან შესაძლოა სერიოზული წვლილი შეიტანოს ქვეყნის ბიუჯეტში.

სხვადასხვა არსებული ინსტრუმენტის მეშვეობით ევროკავშირი მონიტორინგს უწევს ამ სფეროში საქართველოს მიერ განხორციელებულ პროგრესს და უნდა ითქვას, რომ ევროკავშირის დაინტერესება დიდია. უფრო სწორად, დაინტერესება ორმხრივია. საქართველო ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმების (DCFTA) მომზადების პროცესშია. ამ შეთანხმების ფარგლებში, მყარი სამართლებრივი ბაზის შემუშავებასთან ერთად, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პუნქტი სწორედ ინტელექტუალური საკუთრების დაცვაა. ჩვენ, რა თქმა უნდა, ვიღწვით ინტელექტუალური საკუთრების მაღალი დონის მიღწევისათვის და უზრუნველვყოფთ ამ უფლებების განხორციელების, ადეკვატური ღონისძიებების, პროცედურებისა და ანაზღურების შესაბამისი მექანიზმების არსებობას.

© გადავიდეთ საავტორო უფლებებზე. როგორ შეაფასებდით საქართველოში ამ მხრივ არსებულ მდგომარეობას?
პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ საავტორო უფლებებს ვუწოდოთ ინტელექტუალური საკუთრების ერთ-ერთი კატეგორია. როცა ინტელექტუალურ საკუთრებაზე ვსაუბრობთ, უნდა გამოვყოთ ორი კატეგორია: პირველი, საავტორო უფლებები, რომლებიც იცავს ლიტერატურის, ხელოვნებისა და მეცნიერების ნაწარმოებს (წიგნი, ფილმი, მუსიკალური ნაწარმოები, სახვითი ხელოვნება, ფოტოგრაფია, სამეცნიერო ნაშრომი და სხვ.). საავტორო უფლებები ასევე მოიცავს მომიჯნავე უფლებებსაც, როგორებიცაა: შემსრულებლების, პროდიუსერების, მაუწყებლების უფლებები. მეორე, ინდუსტრიული საკუთრება, რომელიც მოიცავს უფლებათა მრავალსახეობას, როგორებიცაა: პატენტები, სასაქონლო ნიშნები, დიზაინი და გეოგრაფიული აღნიშვნები.

საქართველოში საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა არსებობს, რომელიც საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება...

IN GEORGIA, WE CAN SAY THAT THE BASIC LAWS ARE IN PLACE AND ARE MOSTLY COMPLIANT WITH INTERNATIONAL AND EUROPEAN STANDARDS.

It is essential that people creating something — be it a film, a piece of music or a performance — get an incentive for their work and that they are protected against people infringing upon their rights of ownership.

Permanent adaptation to novelties is a challenge not only for individual persons but also for the country. Everything develops and changes extremely rapidly and even a minor hindrance causes a lag in development. That is why in order to have new innovation technology enter and take root at the local market, it is indispensable to have an effective legal mechanism of protection.

Apart from technology, the creative potential that facilitates the development of the national culture and arts is also important. Writers, composers and film directors need to be protected both morally and economically. Protection of their copyright and payment of fees is a stimulating factor and, at the same time, it can seriously contribute to the budget of the country.

Through various instruments, the EU is monitoring the progress made by Georgia in this field and, it can be said, the interest of the EU in these issues is big. To be more precise, the interest is mutual. As you are aware, the EU and Georgia will soon start negotiations for a Deep and Comprehensive Free Trade Area (DCFTA). IPR issues will be an important component of the DCFTA and, in addition to putting in place a solid legal framework, it will focus upon protection and enforcement of IPR. We will indeed seek for a high level of IPR protection and ensure that mechanisms to effectively enforce those rights, though adequate measures, procedures and remedies, are in place.

ჩვენი აზრით, საქართველოში საკმაოდ კარგი საკანონმდებლო ბაზა არსებობს, რომელიც საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებს შეესაბამება. საქართველო არის ინტელექტუალური საკუთრების სფეროში მოქმედი ძირითადი კონვენციების მონაწილე და ევროკავშირთან მიახლოების პროგრესი ამ მხრივ შესამჩნევია, თუმცა, მთავარი გამოწვევა ამ საკანონმდებლო აქტების აღსრულებაა. საქართველო და ევროკავშირი იმუშავებენ ერთად, რათა გააუმჯობესონ სიტუაცია, კერძოდ, DCFTA-ს კონტექსტში.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე „ინტელექტუალური საკუთრების დაცვის კულტურის“ შექმნა და მეკობრეობასთან დაკავშირებით მენტალობის შეცვლა. პრობლემაა ისიც, რომ არ არსებობს სათანადო კულტურა, ეს კი უკვე მენტალობასა და ცნობიერებას უკავშირდება. უნდა გავიაზროთ, რომ რაიმე ნივთის მოპარვა თუ ფილმის უკანონოდ ჩამოტვირთვა ორივე ქურდობაა და ერთნაირად ისჯება კანონით. რეალური პრობლემა, უპირველეს ყოვლისა, საზოგადოებრივი ცნობიერების ნაკლებობაა. უფრო მეტიც, თავად საავტორო უფლების მფლობელებმა არ იციან, თუ რას ფლობენ და როგორ დაიცვან საკუთარი ქონებრივი უფლებები. მეორე დიდი პრობლემაა საზოგადოების განწყობა-დამოკიდებულება ინტელექტუალური და საავტორო უფლებებისადმი. არ არსებობს საკმარისი ინფორმაცია და მით უფრო ცოდნა. ამ მხრივ საქპატენტისა და საავტორო უფლებათა ასოციაციის მუშაობას ძალიან დადებითად ვაფასებთ. ისინი საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით მასობრივ კამპანიებს მართავენ. ვფიქრობთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ნაბიჯებია საზოგადოების ცნობიერებაზე გავლენის მოსახდენად.

მეტსაც ვიტყოდი, აუცილებელია აღსრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოებისა და მოსამართლეების სათანადო ტრენინგები. მარტივად რომ ვთქვათ, თუ ვიღაცამ მოიპარა ჩემი სასაქონლო ნიშანი და დაარღვია საავტორო უფლება, მე მჭირდება, რომ ამის შესახებ ინფორმაციას ფლობდნენ და რეაგირებდნენ სამთავრობო სტრუქტურები. შემოსავლების სამსახურს უნდა შეეძლოს, შეაჩეროს მეკობრული პროდუქციის იმპორტი, შესაბამის სამსახურებს უნდა შეეძლოთ ამ ფაქტების გამოძიება და მოსამართლე კი ამ საკითხებთან დაკავშირებით იყოს ინფორმირებული. ამ დროისთვის მოსამართლეებს არ აქვთ სათანადო მომზადება და არც პრაქტიკული გამოცდილება, ასევე – სხვა ინსტიტუციებსა თუ უწყებებს, რომელთაც მსგავსი პრეცენდენტების გამოძიება ევალებათ. ამ მიმართულებით საჭიროა, გადაიდგას ქმედითი ნაბიჯები.

დაუსჯელობის სინდრომი ღრმად იყო გამჯდარი ჩვენს ცნობიერებაში. კანონმორჩილება თითქოს მენტალობასაც ეწინააღმდეგებოდა. ისტორიული პრეცენდენტებიდან გამომდინარე, სოციალური თუ იმავე სამართლებრივი სისტემის არასრულფასოვნების კომპენსირებას საერო კანონები ახდენდა. სულ რაღაც ორი საუკუნის წინ ყაჩაღობა უფრო სამართლიანად ითვლებოდა, ვიდრე კანონი და ხელისუფლება. შესაძლოა, სამართლიანადაც. საბჭოთა პერიოდში ყაჩაღები ქურდის ინსტიტუტმა ჩაანაცვლა. ესეც კანონზომიერი იყო. მეტიც, თავად სისტემის მიერ იყო ინსპირირებული.

Let us talk about copyright. How would you assess the situation in this sphere in Georgia?
It is first important to recall that copyright is one category of IPR. When speaking about Intellectual property, we distinguish between two categories: the first one is copyright, which aims to protect literacy and artistic works (books, film, music, painting, photographs, etc.). Copyright also includes related or neighbouring rights such as those of performers, producers and broadcasters.

The second one is industrial property which includes a diversity of rights such as patents, trade marks, designs and geographical indications.

In Georgia, we can say that the basic laws are in place and are mostly compliant with international and European standards. Georgia is a party to major IPR Conventions and progress has been made with regard to legal approximation with the EU. However, the major concern lies with enforcement. The EU and Georgia will work together to improve the situation; in particular, in the context of the DCFTA.

What is also very important is to create an "IPR culture" in the country and change the mental attitude towards piracy. The problem is that there is no appropriate culture associated with a mentality and consciousness of intellectual property rights and, as well, their protection. We should understand that stealing something or the illegal downloading of a film are both theft and are equally prosecuted by the law. The real problem, first of all, is the lack of awareness. Moreover, IPR owners themselves do not know what their rights are and how they should protect their property rights. Another big problem is the society's attitude towards intellectual property rights and copyright, in particular. The level of information and knowledge should be increased. Linked to this, I must say that Sakpatenti and the Georgian Copyright Association are doing a very good job through a massive campaign of awareness raising events. I would say this is a crucial step to undertake to impact people's knowledge. Furthermore, this will be important to train the enforcement bodies and judges. To put it simply, if someone steals my trademark or copyright, I need the governmental agencies being aware and knowledgeable to help me stop the infringement. This requires for the Revenue Service to be able to stop importation of counterfeited goods, for the proper agencies to investigate the case and conduct necessary investigations and for the judges to be familiar with the subject. For the time being, judges have not had enough training or practical experience nor have other institutions and agencies that are charged with the investigation of such precedents. It is very important to improve the situation.

The syndrome of impunity was deeply rooted in our consciousness. Abiding by the law was somewhat at variance with our mentality. Proceeding from historical precedent, the deficiencies of the socialist or legal systems were compensated by common law.

თბილისში უბნური და ძველბიჭური გაგებაც იყო აქტუალური. ამ მოვლენასაც არ აკლდა გარკვეული ხიბლი. დღეს კი, ვხდებით რა ცივილიზებული სამყაროს ნაწილი, ორმაგი სტანდარტები აღარ გამოგვადგება. ევროპულად უნდა დავიწყოთ ცხოვრება და, რაც მთავარია, აზროვნება.

© ევროკავშირის ხედვით რა როლი აკისრია საავტორო უფლებების დაცვას ქვეყნის ეკონომიკისთვის?
მე, სამწუხაროდ, ხელთ არ მაქვს ევროპულ ქვეყნებში არსებული მდგომარეობის კონკრეტული სტატისტიკა, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ათწლეულის განმავლობაში ევროკავშირის ტერიტორიაზე არსებული ახალი სამუშაო ადგილების შექმნა დაკავშირებულია ინტელექტუალური შრომის ბაზართან. ევროპაში საავტორო უფლებების დაცვის სფერო მოიცავს იმავე განათლების, მასმედიისა თუ სხვა მსხვილ სეგმენტებს, ანუ ესაა დიდი ინდუსტრია, ბიზნესი. ევროპის კონკურენტუნარიანობის 2010 წლის ანგარიშის მიხედვით, შემოქმედებითი ინდუსტრია ევროკავშირის ფარგლებში ითვლის დასაქმების 3%-ს და 2008 წელს 6.7 მილიონი ადამიანის დასაქმებას.

უნდა აღინიშნოს ინტელექტუალური საკუთრების დარღვევის შედეგებიც. ანგარიში მიუთითებს, რომ 2.5 მილიონი სამუშაო ადგილი განადგურდა მეკობრეობის მიზეზით 2009 წელს ეკონომიკური დანაკარგის გარდა, ინტელექტუალური საკუთრების დარღვევას აქვს უარყოფითი სოციალური ეფექტი და გავლენა ქვეყნის „რეპუტაციაზე“.

გარდა ამისა, ევროპისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ინფორმირებული საზოგადოების განვითარება და ხელშეწყობა, ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა და ადაპტაცია. აქედან გამომდინარე, არსებული შემოქმედებითი პოტენციალი უნდა რეალიზდეს და კონკრეტული მატერიალურ-ეკონომიკური ეფექტი გამოიღოს.

© რა პროექტები ხორციელდება ევროკავშირის მიერ საქართველოში საავტორო უფლებების დაცვის სფეროში?
რადგან ეს საკითხი პრიორიტეტულია, ევროკავშირმა გადაწყვიტა მხარი დაუჭიროს საქართველოს სიტუაციის გაუმჯობესებაში. ამისთვის ჩვენ გვაქვს ტაიექსის (TAIEX) პროგრამა, რომლის მიზანია ტექნიკური დახმარება და ინფორმაციის გაცვლა.

ეს ძალიან მოქნილი სისტემაა და იძლევა ევროკავშირის წევრ და პარტნიორ ქვეყნებთან გამოცდილებისა და საუკეთესო პრაქტიკის გაზიარების საშუალებას. მაგალითად, ცოტა ხნის წინ ჩვენი მხარდაჭერით საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა ესტონეთის საავტორო უფლებათა ასოციაციის ხელმძღვანელი, რომელმაც ესტონეთის გამოცდილება გაუზიარა ქართველ კოლეგებს. ვფიქრობ, არაა ინტერესმოკლებული საქართველოსთვის, გაეცნოს ამ ტიპის ქვეყნების გამოცდილებას, გაიგოს, თუ როგორ მოახერხეს მათ მორგებოდნენ ევროკავშირის კანონმდებლობასა და სტანდარტებს.

Just some two centuries ago robbery was considered more justified than the rule of law or State authority. Maybe, it was right. During the Soviet period, robbers were replaced by the so-called “lawful thieves.” It was also natural. Moreover, it was inspired by the system itself. There was also the rule of district groups and their leaders in Tbilisi. That phenomenon had some attraction, too. Today, however, when we are becoming part of the civilised world, we cannot live by double standards any more. We should start living and, what is important, thinking by European standards.

In the opinion of the European Union, what is the role of copyright protection for the national economy?
It is difficult to provide exact figures but one can say that most of the new job across the EU created over the past decade arose in the knowledge-based industry. Copyright industries in Europe involve a large spectrum, such as media, cultural and knowledge industry.

According to the European Competitiveness report from 2010, creative industries account for 3% of the EU27 employment and employed 6.7 million people in 2008. Information society development and promotion, and introducing and adaptation of innovation technologies are very important for Europe. Proceeding from the above, the existing creative potential should be realised and yield concrete material and economic effect.

The impact of IP abuse is also important to keep in mind: a report reveals that 2.5 millions jobs were destroyed by counterfeiting and piracy in 2009 in the G20 countries. Besides economic losses, IP violations have a social impact and affect the "reputation" of a country.

What projects in the field of copyright protection does the European Union implement in Georgia?
This issue being a priority, the EU is committed to assist Georgia in improving the situation. In this regard, the TAIEX Programme (technical assistance and information exchange) is very useful since it allows the sharing of experience and best practices between an EU Member State and a partner country.

For example, through TAIEX, we recently organised the visit of the head of the Estonian Copyright Association to Georgia who shared his experience with his Georgian colleagues. I think it is interesting for Georgia to study the experience of such countries and learn how they managed to adjust to the legislation and standards to those of the European Union.

ჩვენთვის, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია უშუალო დახმარება – თანამშრომლობა „საქპატენტთან“ და საავტორო უფლებათა ასოციაციასთან. ჩვენ რეგულარულად ვაფინანსებთ ღონისძიებებს საავტორო უფლებების სფეროში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების მიზნით. შემოსავლების სამსახურში მიმდინარე ევროკავშირის ტრენინგის პროექტის ფარგლებში 2012 წელს ვგეგმავთ ტრენინგებს საბაჟოს თანამშრომლებისთვის, კონკრეტულად, საზღვრებზე ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებზე. ევროკავშირს სურს, ხელი შეუწყოს და დაეხმაროს „საქპატენტს“ თავის საქმიანობაში და აგრეთვე – ამ სფეროში მოღვაწე ყველა სხვა ასოციაციასა თუ ორგანიზაციას.

© თქვენი აზრით, საავტორო უფლებების დაცვის მხრივ რომელ სფეროებშია უფრო რთულად დასაძლევი პრობლემები?
ცალსახად აუცილებელია დიალოგის უზრუნველყოფა სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეს შორის. ამასთან დაკავშირებით, ჩვენ მივესალმებით, რომ ახლახან საქართველოს ხელისუფლების მიერ შეიქმნა უწყებათშორისი საბჭო საავტორო უფლებების დაცვის სფეროში.

The EU Delegation also closely co-operates with Sakpatenti and the Georgian Copyright Association and we managed to set up a very good collaboration. We regularly finance seminars to raise awareness of copyright protection. Through an EU Twinning project with the Revenue Service of Georgia, we intend to organise a series of trainings for customs officers in 2012, concretely on intellectual property rights protection at the borders.

The European Union fully supports Sakpatenti in its activity and also all other associations or organisations that work in this sphere.

In your opinion, what are the spheres where the copyright protection related problems are more difficult to solve?
By all means, ensuring dialogue amongst the stakeholders is indispensable. Creating a good co-ordination between those playing a key role in this field is essential. Linked to this, we very much welcome the recent creation of the Inter-Agency Council on Copyright Protection.

საბჭო აერთიანებს მაღალი დონის თანამდებობის პირებს (მთავრობის წარმომადგენლებს, აღსრულების ორგანოებს, საქპატენტსა და საავტორო უფლებათა ასოციაციას, ბიზნესსექტორს, ევროკავშირის დელეგაციას). ამ საბჭოს მიზანია სწორი სტრატეგიის შემუშავება ამ მიმართულებით.

ამავდროულად, მნიშვნელოვანია გავიაზროთ, რომ თუ ნამდვილად გვსურს, ვიბრძოლოთ საავტორო უფლებების დასაცავად, ამისთვის საჭიროა პოლიტიკური ნება მაღალ დონეზე. ვინაიდან, როცა საქმე ეხება საავტორო უფლებების დაცვას, იგივე ხელისუფლება და არასამთავრობო სექტორი რეალურად დგება მრავალი გამოწვევის წინაშე. საუბარია თუნდაც ინტერნეტიდან უკანონოდ ჩამოტვირთულ პროგრამებსა და ფილმებზე. ეს ძირითადი პრობლემაა მრავალი განვითარებული ქვეყნისთვისაც. ინტერნეტი ყველაზე რთული სეგმენტია საავტორო უფლებების დაცვის სფეროში. საქართველოში, მით უფრო, ძალიან ადვილია უკანონოდ ნებისმიერი პროგრამის ჩამოტვირთვა. თითქმის არ არსებობს არანაირი დამსჯელი მექანიზმი. მოქალაქეები არ აგებენ პასუხს მსგავს კანონსაწინააღმდეგო ქმედებაზე და თუ დანაშაული არ ისჯება, ვერც მისი აღკვეთა მოხდება. ერთია, რომ ზარალდება თქვენი მოქალაქეების საავტორო უფლებები, მაგრამ უფრო მნიშვნელოვანია აქ უცხოელთა ინტერესების დაუცველობა. ახალ ქვეყანაში შესვლისას ინვესტორები ირჩევენ ისეთ გარემოს, სადაც დარწმუნებული იქნებიან საკუთარი ტექნოლოგიისა თუ ნოვატორული მიდგომის უსაფრთხოებაში. ეს საკითხი მნიშვნელოვანია ზოგადად ქვეყნის იმიჯისთვის. თუ გსურთ ინვესტორების მოზიდვა, შესაბამისად, მათი უფლებებიც უნდა დაიცვათ.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, მთლიანობაში ევროკავშირი დადებითად აფასებს საქართველოში განხორციელებულ რეფორმებს. საზოგადოებაში შემეცნების კუთხით გააქტიურდა მუშაობა. კმაყოფილები ვართ „საქპატენტისა“ და საავტორო უფლებათა ასოციაციის მუშაობით. ისინი, მართლაც, ზრდიან საავტორო უფლებების დაცვის კულტურას. საავტორო უფლებების დარღვევის პრეცედენტები დიდ რეზონანს იწვევს საზოგადოებაში, მასმედიაში. საავტორო უფლებათა ასოციაცია სულ უფრო მეტ ლიცენზიას აფორმებს საავტორო უფლებების გამოყენებაზე.

ვირჯინი კოსული საფრანგეთიდანაა. მას აქვს დახვეწილი გემოვნება, მინიმალიზმი და ძალიან ელეგანტურია. ასევე, იგი ძალიან კორექტული და უშუალოა, რაც მხოლოდ მისი დიპლომატიური სტატუსით არ აიხსნება. როგორია მისი თვალით დანახული ქართველები და საქართველო?

© რამდენი ხანია, რაც საქართველოში იმყოფებით და რა პოზიცია გიკავიათ ევროკავშირის წარმომადგენლობაში?
უკვე ორი წელია, რაც საქართველოში ვარ. მე ვარ ატაშე ვაჭრობის საკითხებში. ჩემი საქმიანობის სფეროა სავაჭრო საკითხები და განსაკუთრებით, ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო შეთანხმების (DCFTA) პროცესის კოორდინაცია.

საქართველოს აქვს უნიკალური კულტურა და ისტორია... ეს საუკუნოვანი კულტურული ტრადიცია დღესაც ცოცხალია და აქტუალური...

GEORGIA HAS A UNIQUE CULTURE AND HISTORY AND THIS AGE OLD CULTURAL TRADITION IS ALIVE AND TOPICAL TODAY...

This platform, created at a high level, gathers the main players (government including enforcement bodies, Sakpatenti, Georgian Copyright Association, business sector, the EU Delegation) and will develop a common strategy to improve copyright protection. It is important to be aware of the fact that if we really want to ensure IPR protection, political will at the high level is necessary since State authorities and the non-governmental sector really encounter a lot of challenges associated with copyright protection. We talk, for example, about illegally downloaded software and films from the internet. It is a nightmare for most countries.

The internet is the most complicated segment in the field of copyright protection and the copyright industry is particularly vulnerable to this problem. In Georgia, it is very easy to illegally download any software. There is almost no punitive mechanism. Citizens are not responsible for such illegal action and if crime is not subject to punishment, it is impossible to prevent it. What is more important, however, is that the interests of foreign citizens are unprotected. Whilst entering a new country, investors choose the environment where they would be sure that their technology or innovative approach will be protected. It is very important, generally, for the country's image. If you wish to attract investors, you should protect their rights accordingly.

Overall, we are happy to see things moving and momentum in this field. Work aimed at raising public awareness has been intensified.

ეს საკმაოდ ფართო სფეროა და ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხებსაც მოიცავს. აღნიშნულით მე ძალიან ბედნიერი ვარ, რადგან ჩემი ერთ-ერთი ყველაზე საყვარელი საკითხია.

© როგორია თქვენი თვალით დანახული საქართველო? რა მოგწონთ და რა არა ჩვენს ქვეყანაში?
საქართველო საოცრად საინტერესო და თვითმყოფადი ქვეყანაა. დღეს განსაკუთრებით რთული და მით უფრო საინტერესო პერიოდია. ძალიან სწრაფად ვითარდება მოვლენები და რეფორმა-გარდაქმნის პროცესი. მთლიანობაში ეს მოდერნიზაციის კურსი თავისი ტემპით უდავოდ შთამბეჭდავია ჩემთვის. არის პრობლემებიც. ეს ხომ ბუნებრივია. მთავარი მაინც იმ სირთულეების დაძლევაა, რომლებიც ევროკავშირთან ქვეყნის სრულფასოვან ინტეგრაციას უშლის ხელს.

მე ძალიან კარგად ვგრძნობ თავს საქართველოში და არასდროს არ მბეზრდება აქ ყოფნა. ერთი კია, რომ ქართველების რიტმს უნდა აჰყვე.

© რა აზრის ხართ ქართულ კულტურაზე და რაიმე თვისობრივ მსგავსებას თუ პოულობთ თქვენს ქვეყანასთან?
საქართველოს აქვს უნიკალური კულტურა და ისტორია და ეს საუკუნოვანი კულტურული ტრადიცია დღესაც ცოცხალი და აქტუალურია. მე ვგულისხმობ თქვენს უძველეს ძეგლებსა და სულიერ საგანძურს. თითოეულ კუთხეს თავისი ხიბლი და თავისებურება აქვს.

სწორედ ეს გარემოება მაგონებს საფრანგეთს. თქვენი მუსიკა, ქორეოგრაფია, კინემატოგრაფია მეტად საინტერესო მოვლენაა. ყველაზე ღირებული კი მაინც ფოლკლორი და ხალხური შემოქმედებაა, განსაკუთრებით – ქართული პოლიფონია. საქართველომ უნდა შეინარჩუნოს და განავითაროს თავისი კულტურული მემკვიდრეობა. ეს არაა მხოლოდ საგანძური, არამედ ქვეყნის სამომავლო განვითარებასაც წაადგება.

ჩვენ მადლობას ვუხდით ქალბატონ ვირჯინი კოსულს საქართველოს რეფორმირების პროცესთან დაკავშირებით თავისი ხედვის გაზიარებისთვის. მისი კრიტიკული შენიშვნები თუ რჩევები მით უფრო საყურადღებოა, რომ ვითარების ობიექტურ ანალიზს გვთავაზობს და, რაც მთავარია – არსებული პრობლემების გადაჭრის რეალურ გზებს.

We should praise the work being done by Sakpatenti and the Copyright Association both of which are really raising the culture of copyright. Precedents of breach of copyright are highlighted in the society and in the mass media. The Copyright Association grants more and more licenses on the use of work reserved by copyright. I believe we are on the right track but it will take time.

Virginie Cossoul is from France. Upon first meeting, we see she is a woman of fine taste and elegant style and tends towards minimalism. Clearly, it is a natural comportment and it is not only her diplomatic status that is responsible. How does she perceive Georgia and Georgians?

How long have you been in Georgia and what is your position at the EU Delegation?
I have been in Georgia for two years already. I am the Trade Attaché at the EU Delegation to Georgia. I am responsible for trade issues and, in particular, I closely follow the DCFTA process. It is quite a wide sphere and includes IPR issues as well which makes me very happy since it is one of my favorite topics.

What is Georgia like as you see it? What is there that you like and that you do not like in our country?
Georgia is a very interesting country. This is a very challenging period of time to be here. Things are moving ahead and the country is transforming very quickly. The country has been through a high speed reform course and its modernisation has been impressive. Of course, challenges remain ahead; in particular, with regard to closer integration with the EU.

I enjoy being here and never get bored but one does have to follow the Georgian rhythm!

What do you think about the Georgian culture and whether or not there is any resemblance to your country?
Georgia has a unique culture and history and this age old cultural tradition is alive and topical today. By this, I mean your ancient monuments and cultural heritage. Each region has its own charm and unique features. This is exactly what reminds me of France. Your music, choreography and cinematography are extremely interesting phenomena. And the most valuable is folklore and folk art; particularly, Georgian polyphony. Georgia must maintain and develop its cultural heritage. It is not only heritage but is necessary for the future development of the country.

We are grateful to Ms Cossoul for sharing her views on the reforms being made and pursued in the country. Her remarks and recommendations, based upon her factual understanding of the role and importance of protecting intellectual property rights, are extremely valuable as they offer both an objective analysis of the current situation in the sphere and, as important, real ways towards solving the existing problems and shortcomings.

პრეცედენტი PRECEDENTS

საავტორო უფლებაში დარღვევაში ეძება ბრალი...

ACCUSED OF COPYRIGHT INFRINGEMENT

THE DAILY MAIL-ს საავტორო უფლებების დარღვევაში ედება ბრალი
DAILY MAIL SUED FOR COPYRIGHT INFRINGEMENT

The Daily Mail-ი და მისი ონლაინფოტორედაქტორი საავტორო უფლებების დარღვევაში 2010 წელს დაადანაშაულეს. სააგენტოს მტკიცებით, ლოს ანჯელესში არსებული „სელებრითების“ ფოტოებიდან სააგენტოს კუთვნილი 10 ფოტო ბრიტანულმა გაზეთმა შეგნებულად გამოიყენა, გამოაქვეყნა ისინი ყოველგვარი ნებართვისა და ანაზღაურების გარეშე.

The Daily Mail and its online picture editor are being sued for copyright infringement in 2010 after a Los Angeles-based celebrity picture agency claims the UK newspaper deliberately used ten of its images without authorisation or compensation.

სასამართლო დოკუმენტაციაში მითითებულია, რომ Daily Mail-სა და მის ფოტორედაქტორს უკვე აქვთ საავტორო უფლებების დარღვევის გამოცდილება. ისინი არ ითვალისწინებენ სააგენტოების მოთხოვნებს სურათების განთავსებისა და ფასების წინასწარ შეთანხმების შესახებ და იყენებენ მათ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე.

Court documents say that the Daily Mail and its picture editor have “a history of copyright piracy conduct. Indeed, the pattern and practice of the defendants is to ignore the demand of photo agencies or photographers to agree to rates before use and to simply take the pictures and use them without compensation or to then offer token compensation”.

მავრიქსი – ფოტორეპორტიორი აცხადებს, რომ გაზეთმა უნებართვოდ გამოიყენა ისეთი ცნობილი ადამიანების ფოტოები, როგორებიც არიან: პამელა ანდერსონი, რობი ვილიამსი, დევონ ჯეიმსი, როჯერ დალტრი, ჰოლი ბერი, ოლივერ მარტინესი და კეით ჰადსონი. მავრიქსის განცხადებით, ეს ფოტოები დაცული იყო საავტორო უფლებებით.

Mavrix – the photo reporter alleges that the Daily Mail has used images of Pamela Anderson, Robbie Williams, Devon James, Roger Daltrey, Halle Berry, Olivier Martinez and Kate Hudson on several occasions without authorisation. For all its images, Mavrix claims it has registered its copyright.

მავრიქსმა სასამართლოს მიმართა სარჩელით, რომლითაც ითხოვდა, რომ გაზეთს მისთვის კომპენსაციის სახით გადაეხადა თითო ფოტოზე 150 000 ამერიკული დოლარის ეკვივალენტი, რაც ჯამში 10 ფოტოზე უდრის 1 500 000 აშშ დოლარს და ამას ემატება ადვოკატის ხარჯებიც.

Mavrix is now requesting a trial by jury and statutory damages equal to $150 000 per infringement equalling to $1 500 000 in total for ten images as well as attorneys’ fees.

ვაგლანდი, Daily Mail-ის ფოტორედაქტორი, ერთხელ უკვე იყო დაჯარიმებული 1170 ფუნტით ემილი ჯეიმსის ფოტოების უნებართვოდ გამოყენებისთვის, მაშინ, როდესაც ეროვნული ჟურნალისტური გაერთიანების ტარიფების მიხედვით თითოეული სურათის გამოქვეყნების ფასი 130 ფუნტი სტერლინგია, ხოლო უნებართვოდ ფოტოების გამოყენების დროს ღირებულება სამმაგდება.

Wagland, the Daily Mail photo editor, has already been penalized once with £1 170 for unauthorized use of Emily James’ photos. Standard rate per picture recommended by the National Union of Journalists is £130 and in the case of unauthorized use of images the rate is multiplied by three.

ჯორჯ ჰარისონი BRIGHT TUNES MUSIC CORP-ის წინააღმდეგ
GEORGE HARRISON VS. BRIGHT TUNES MUSIC CORP.

ჯორჯ ჰარისონის პირველი სოლო სინგლი My Sweet Lord გამოვიდა 1971 წლის 15 იანვარს და 23 იანვარს უკვე ჩარტებში ლიდერობდა. სინგლი გამოვიდა Apple ლეიბლით და 2002 წელსაც კი რამდენიმე კვირის განმავლობაში ჰიტად ითვლებოდა. ამ სასიამოვნო ფაქტს ჩრდილი მიაყენა იმან, რომ ჰარისონს ბრალად დაედო 1962 წელს The Chiffon-ის მიერ ჩაწერილი სიმღერის მითვისება. 5-წლიანი დავის მიუხედავად, ჰარისონმა ვერ დაამტკიცა თავისი სიმღერის უნიკალურობა. Bright Tunes Music Corp-ის მიერ წამოწყებულ სასამართლო დავაში ჰარისონის გარდა ჩართულნი იყვნენ Apple და ამერიკის მუსიკალურ საზოგადოება BMI.

George Harrison’s “My Sweet Lord” was released on 15 January 1971 and hit the charts on 23 January 1971 as Harrison’s first solo single. It was released under the Apple label and enjoyed the number-one spot originally for five weeks, then in 2002, again for one week. The not-so-good news involves the fact of accusing Harrison for appropriation of the song recorded by The Chiffons in 1962. The case waited to be heard for five years during which time Harrison’s attorneys continued to try to settle out of court. The suit also included Apple Records, BMI.

საბოლოოდ, ჰარისონი პლაგიატიზმში დაადანაშაულეს და მას 587 000 ამერიკული დოლარის გადახდა დაეკისრა, რომლის სრულად გადახდაც მხოლოდ 10 წლის შემდეგ, 1981 წელს მოხერხდა.

George Harrison was found guilty of “plagiarism” and a judgment was filed against him in the amount of $587 000 00 of which the full amount was paid and the judgment dismissed in 1981.

ISLEY BROTHERS-ი მიშელ ბოლტონის წინააღმდეგ
THE ISLEY BROTHERS VS. MICHAEL BOLTON

Isley Brothers მიშელი ბოლტონივით ცნობილი სახელი არ გახლავთ, თუმცა, მათ ორივეს ერთი და იმავე სახელწოდებისა და ტექსტის მქონე სიმღერა აერთიანებთ. Isley Brothers-ის სიმღერა Love Is a Wonderful Thing-ი 1966 წელს გამოვიდა, ხოლო მიშელ ბოლტონის სიმღერა – 1991-ში.

სასამართლო საქმე Isley Brothers-ის მიერ შეტანილი სარჩელის საფუძველზე აღიძრა. Isley Brothers-ის მტკიცებით, ბოლტონმა მათი სიმღერის სათაური და სიმღერის ორიგინალური ტექსტი გამოიყენა. ბოლტონი და მისი სიმღერის თანაავტორი ირწმუნებოდნენ, რომ მსჯულებს არასაკმარისი მტკიცებულება ექნებოდათ საქმის მოწინააღმდეგის სასარგებლოდ გადასაწყვეტად. თუმცა ეს საქმე მსოფლიო პლაგიატიზმის ისტორიაში ცნობილია, როგორც ყველაზე დიდი კომპენსაციის პრეცედენტი მუსიკის სამყაროში. Isley Brothers-ის კომპენსაციამ 5,4 მილიონი დოლარი შეადგინა. დაანგარიშება მოხდა წარსული და მომავალი ჰონორარების 66%-ის დაჯამების საფუძველზე. ასევე გათვალისწინებული იქნა ალბომის Time, Love and Tenderness-ის გაყიდვებიდან შემოსული ჰონორარების 28%, რადგან სწორედ ამ ალბომში შედის სიმღერა Love Is a Wonderful Thing-ი.

The Isley Brothers is not as well known a name as Michael Bolton but, unfortunately for Mr Bolton, they share a song with the same name and some of the same lyrics. The Isley Brothers song was released in 1966 under the name “Love is a Wonderful Thing” and Michael Bolton’s song was released in 1991.

A suit was brought against Bolton by the Isley Brothers for allegedly lifting parts from their original song of the same name. I In 1991, despite Bolton’s and the co-author of the song’s argument that there was insufficient evidence supporting the jury’s findings, the district court found in favor of the Isley Brothers and left the largest award in history for plagiarism in the music industry intact. The Isley Brothers were awarded $5,4 million whose calculation was based on sixty-six percent of past and future royalties. Also taken into account was twenty-eight percent of the past and future royalties of the album Time, Love and Tenderness as “Love is a Wonderful Thing” is contained within that album.

GCA VS. პოლიტიკური პარტია
GCA VS. POLITICAL PARTY

2011 წელს ერთ-ერთ პოლიტიკურ პარტიას საავტორო უფლებების დარღვევაში დაედო ბრალი. პოლიტიკურმა პარტიამ წინასაარჩევნო კამპანიისათვის დამზადებულ ვიდეორგოლში უფლების მფლობელის ნებართვის გარეშე გამოიყენა მუსიკალური ნაწარმოები “სიმღერა თბილისზე”. ამის საფუძველზე წარმოქმნილი ხანგრძლივი სასამართლო დავა საბოლოოდ საავტორო უფლებათა ასოციაციის სასარგებლოდ დასრულდა. პოლიტიკურ პარტიას აეკრძალა სარეკლამო რგოლის გავრცელება, ამასთან, მას დაეკისრა კომპენსაციის გადახდა 20 000 ლარის ოდენობით.

In 2011, one of the political parties was sued for copyright infringement. The political party used a musical work, “A Song about Tbilisi”, without the right holder’s authorisation in its video made for its pre-election campaign. A suit was brought forward on this very basis with the court finally finding in favor of the Copyright Association. The political party was prohibited to use the video and imposed the payment of compensation in the amount of GEL 20 000.

„ნაპსტერსაიტის" დახურვა 26 მლნ დოლარის სანაცვლოდ
TO CLOSE NAPSTER DOWN IN EXCHANGE FOR USD 26 MILLION

სან ფრანცისკოს ფედერალურმა სამსახურმა Napster Inc-ს სასამართლოშიუჩივლა.მისიმტკიცებით,ინტერნეტპროვაიდერმა, ტექნოლოგიური კანონმდებლობიდან გამომდინარე, საავტორო უფლებები დაარღვია.

Napster-ი უზრუნველყოფს ფართოდ გავრცელებული კომპიუტერული პროგრამების მიწოდებას შემდგომში მუსიკალური ფაილების გასავრცელებლად, რომლებიც იოლად იწერება სხვადასხვა კომპიუტერიდან.

სასამართლო დავა გამოიწვია ვებგვერდის მიერ ისეთი კომპიუტერული პროგრამების გავრცელებამ, რაც თავისთავად ხელს უწყობს მილიონობით ციფრული ფაილის, ასევე, არალეგალური მუსიკისა და სხვა საავტორო უფლებით დაცული მასალის გადმოწერასა და გავრცელებას.

Napster-ის მოსარჩელე მხარე მოითხოვდა საიტის დახურვას, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც იგი სრულად დაფარავდა 26 მლნ აშშ დოლარს, რა ოდენობის ზარალიც მიადგა iTune-ს Napster-ის მხრიდან.

San Francisco Federal Service sued Napster Inc. in court. It alleged that the internet provider, based on the technological legislation, infringed the copyrights.

Napster is supplying widely available software for further dissemination of music files to be easily downloaded from various computers.

The court suit was caused by the dissemination of software by the website which encourages download and dissemination of millions of digital files as well as illegal music and other copyright protected material.

The plaintiff in the Napster case claims to close the site down only after fully compensating $26 million, the amount of damage that was caused by Napster to iTunes.

ქართველები უცხოეთში GEORGIANS ABROAD

Copyright

ვალერიან შიუკაშვილი, მუსიკოსი

VALERIAN SHIUKASHVILI, MUSICIAN

ვალერიან შიუკაშვილი, მუსიკოსი
VALERIAN SHIUKASHVILI, MUSICIAN

მუსიკას ეროვნება არ აქვს. რასაკვირველია, გერმანელს უფრო ესმის კლასიკა – ბრამსი, ბახი, ბეთჰოვენი... ეს მათთვის იგივეა, რაც ჩვენთვის ქართული მუსიკალური ტრადიცია. უცხოელი შემსრულებელი საკმაოდ არატრადიციულად ასრულებს ქართულ მუსიკას, ვინაიდან ეს ჩვენს გენშია დამკვიდრებული და უკეთ ვერავინ გაიგებს. კარგი მუსიკოსი კითხულობს არა ნოტებს, არამედ იმას, რაც ნოტებს შორისაა – ქვეტექსტს. ამის გარეშე ვერც ჩვენ, ვერც გერმანელები ვერ გავიაზრებთ, რას გულისხმობდა თავად ავტორი, კომპოზიტორი.

MUSIC HAS NO NATIONALITY. A GERMAN CERTAINLY UNDERSTANDS CLASSICS BETTER – BRAHMS, BACH, BEETHOVEN. IT IS THE SAME FOR THEM AS GEORGIAN MUSICAL TRADITION IS FOR US. A FOREIGN PERFORMER PLAYS GEORGIAN MUSIC IN QUITE A NON-TRADITIONAL WAY BECAUSE IT IS IN OUR GENES AND NO ONE CAN UNDERSTAND IT BETTER THAN WE CAN. A GOOD MUSICIAN READS NOT FROM SHEET MUSIC BUT WHAT IS BETWEEN THE LINES – THE UNDERLYING IMPLICATION. WITHOUT THIS, NONE OF US — NEITHER WE NOR THE GERMANS AS IN THE ABOVE EXAMPLE WOULD BE ABLE TO SHARE WHAT THE AUTHOR,THE COMPOSER HIMSELF, HAS IMPLIED.

ბახი ერთ-ერთი გენიალური კომპოზიტორია. ის ახერხებს, რამდენიმე ხმა ერთ მთლიანობაში შეკრიბოს. 5-6 ხმა, ცალ-ცალკე აღებული, ძალიან ლამაზია. ის ამ ხმებისგან ქმნის ერთს. ხმები ხაზებად მოდის ჩვენამდე, თუმცა რეალურად ეს ერთი ხმაა. მუსიკალური ენა კანონზომიერად ვითარდებოდა. ერთი ეპოქა მეორეში გრძელდებოდა და ვითარდებოდა. დიატონალური სისტემა ატონალურმა ჩაანაცვლა. ეს უკანასკნელი უკვე ბრამსის, მალერისა და იმპრესიონისტების მუსიკაში ჩაისახა. საოცარია და ძალიან მიყვარს შუბერტი, მალერი. არ მომწონს პროკოფიევი, რატომ ითვლება გენიოსად, არ მესმის? შუბერტის ყველა ნაწარმოებში იგრძნობა სიკვდილის წინათგრძნობა,—ძალიან კარგად თქვა ნოდარ გაბუნიამ შუბერტზე. შუბერტი უგენიალურესი კომპოზიტორია. მის ნებისმიერ ნაწარმოებში სიკვდილის წინათგრძნობა ჩანს, მაჟორულ თემაშიც კი.

Bach is one of the genius composers. He manages to unite several sounds into one voice. Taken separately, five-to-six sounds are very beautiful. He creates one voice out of them. The sounds reach us in lines although it is actually only one voice. Musical language has had a natural development. One epoch continued and developed into another. The diatonic system was replaced by the atonic one. The latter was born in the music of Brahms, Mahler and the impressionists. Schubert and Mahler are amazing and I love them. I don't like Prokofiev. Why is he considered a genius? I don't understand. In all of his works, one can feel a premonition of death – very well said about Shubert by Nodar Gabunia. Schubert is the most genius of all composers. Each of his works expresses a premonition of death even in its major theme.

ეს ხომ რეალურადაც ასეა? ჩვენ ხომ ნებისმიერ წუთს შეიძლება დაგვიდგეს ეს მდგომარეობა?. მე ორი თვის წინ კლინიკური სიკვდილი მქონდა. სიკვდილის წინათგრძნობა ჩანს იმ ნაწარმოებშიც, ბოლო კონცერტზე რომ შევასრულე (შუბერტი, მუსიკალური მომენტი ოპ. 94, №3). ამ კონცერტზე მხოლოდ შუბერტს ვერ დავუკრავდი. ხალხს გაუჭირდებოდა მისი მიღება არა ჩემი შესრულების გამო, არამედ სწორედ სიკვდილის წინათგრძნობიდან გამომდინარე. დღეს საქართველოში რთული ცხოვრებაა და ხალხს აღარ სჭირდება მუსიკით დამძიმება.

ჩემი პირველი პედაგოგი დოდო ცინცაძე იყო. 12 წლის ასაკში დავიწყე დაკვრა. 6 თვის შემდეგ სიმფონიურ ორკესტრთან ერთად მოცარტის ძალიან რთული, №23 კონცერტი შევასრულე... 12 საათს ვატარებდი ინსტრუმენტთან. დაკვრის ძლიერი სურვილი, ჟინი, მქონდა. სხვისთვის არა, საკუთარი თავისთვის უნდა დამემტკიცებინა. არასოდეს არავის გავჯიბრებივარ. ნოდარ გაბუნიას ძალიან ძლიერი კლასი ჰყავდა. 6 ერთიმეორეზე უკეთესი პიანისტი – ნატო წვერელი, ქეთი ბადრიძე (შოპენს მასავით ვერავინ ასრულებს), ნუცა კასრაძე, თათა სანიკიძე და ასე შემდეგ. ერთმანეთის წარმატება მხოლოდ გვახარებს.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მრავალი გენიალური პიანისტი აღმოვაჩინეთ, რომელთა შესახებ არც არაფერი გვსმენოდა, თუნდაც Georges Cziffra, სრულიად ფენომენალური პიანისტი, ასევე, იოზეფ ჰოფმანი (20-იან წლებში ცხოვრობდა, მეტრონომის პრინციპით გამოიგონა მანქანის მინის საწმენდები) – მისნაირად შოპენის I და II კონცერტი არავის დაუკრავს. საბჭოთა კავშირის დროს ერთ სივრცეში ვიყავით ჩაკეტილი. რუსული სკოლა – ეს ცნება საერთოდ უნდა დავივიწყოთ. სკოლა ერთია – მუსიკის სკოლა, ხელოვნების სკოლა. მას ეროვნება და ადგილი არ აქვს. უცხოელი პიანისტების მოსმენის შემდეგ საბჭოთა პიანისტებზე შეიძლება შეგეცვალოთ აზრი. მათი სიდიადე მითი იყო. დავასახელებ რიხტერს. მე იგი არ მიყვარს. მის კონცერტებზეც ვყოფილვარ და პირადადაც მქონია ურთიერთობა. როსტროპოვიჩის დამ მიმიყვანა მასთან. ჩემი აზრით, ყველაზე ძლიერი რუსი პიანისტი ვლადიმირ სოფრონიცკია. თავის დროზე რიხტერის გამო მიზანმიმართულად დაჩრდილულ ემილ გილელსაც კი უშლიდნენ ხელს, რათა რიხტერი ვარსკვლავად დარჩენილიყო. ეს იყო იდეოლოგია, საბჭოური დოგმატური აზროვნება.

მსოფლიო პიანიზმი გადასულია ეფექტებზე. ეს ხომ კატასტროფაა. ახლახან ვარშავაში შოპენის კონკურსზე ჟიურის წევრი ვიყავი. მთელი მსოფლიო გადასულია ჩქარ დაკვრაზე... ვის აოცებენ ამით, არ მესმის? მსგავსი მოვლენა უკვე იყო მუსიკის ისტორიაში – ლისტი! შოპენი ფიზიკურად დასუსტებული და სნეული იყო. მას არ ჰქონდა დაკვრის ძალა. მის ნაწარმოებებს ლისტი ასრულებდა. საერთოდ გენიალურია მათი სასიყვარულო ისტორია ერთი ქალის მიმართ. ჟორჟ სანდი და ავრორა დუპორი კარგა ხანს სხვადასხვა ადამიანი ეგონათ. საოცარია, როგორ უფრთხილდებოდა ავრორა შოპენს და როგორ უყვარდა ლისტს ეს ქალი. არ იცოდნენ, რომ ერთ ქალზე იყვნენ შეყვარებული. ამ ქალმა პირველმა ჩაიცვა შარვალი და სიგარეტის მოწევა გაბედა.

Isn't it so in reality, too? Aren't we facing the chance of its occurrence at any minute? Two months ago, I experienced a clinical death. The premonition of death is felt in the piece which I played at my last recital (Schubert, Moments Musicaux Opus 94, No 3). I couldn't play only Schubert at that recital. People couldn't bear to accept this, not due to my performance but because of this very premonition of death. Life in Georgia is difficult today and people don't need to encumber themselves more with music.

My first professor was Dodo Tsintsadze. I began playing at the age of twelve. After six months, I played Mozart's very difficult Concerto No 23 with the symphony orchestra. I spent 12 hours at the piano. I had a strong desire, a passion to play. I wanted to prove not to others but to myself. I have never competed against anyone. Nodar Gabunia's class was very strong. The top six best pianists – Nato Tsvereli, Kedi Badridze (the best Chopin player), Nutsa Kasraze, Tata Sanikidze. We're only happy to hear about each other's success.

After the breakup of the Soviet Union we discovered many genius pianists who we never heard of before. For example, Georges Cziffra, an absolutely phenomenal pianist, or Josef Hoffman (who lived in the 1920s and invented the windshield wiper using metronome mechanism) – no one has ever played Chopin's Piano Concertos Nos 1 and 2 like him. During the Soviet Union, we were locked in one zone. Russian school – we should forget about this notion as such. There is only one school – music school, art school. It doesn't have a nationality or a place. After hearing foreign pianists you might change your impression of Soviet pianists. Their fame was a myth. For example, Richter. I don't like him. I've been to his recitals and have had personal contact with him. Rostropovich's sister put me through to him. In my opinion, the greatest Russian pianist is Vladimir Sofronitsky. Even Emil Gilels, hormically eclipsed because of Richter, was obstructed in order to have Richter remain a star. Such was the ideology, the Soviet dogmatic thinking.

Today, effects are what matter in pianism worldwide. It is a disaster. Recently, I've been in the jury of the Chopin Competition in Warsaw. The whole world is keen on playing fast. Who are they surprising, I can't understand? The history of music has already witnessed a similar phenomenon – it was Liszt! Chopin was physically weak and ill. He didn't have enough strength to play. Liszt played his works. The story of their love of one woman is especially wonderful. George Sand and Aurora Dupin were considered to be the two different persons for quite a while. It is amazing how Chopin cared about Aurora and how Liszt loved her. They didn't know that they were in love with one and the same woman. She was the first woman to wear pants and dare to smoke a cigarette. Today it is called emancipation. These are very beautiful stories. You probably guessed that I have my own world which I live in. I feel very well in this surrounding. Otherwise, had I tied myself to the reality, I would see that I have nothing to do here in these times and it is so true because today, the only thing that matters to Georgia is the effects.



დღეს ამას ემანსიპაციას უწოდებენ. ძალიან ლამაზი ისტორიებია. მიხვდით, ალბათ, მე ჩემი სამყარო მაქვს, იქ ვცხოვრობ. ძალიან კარგად ვგრძნობ თავს მათ გარემოცვაში. აბა, რეალობას რომ მივეჯაჭვო, ვნახავ, რომ აქ, ამ დროში, არაფერი მესაქმება და მართლაც ასეა, დღეს ხომ საქართველოს მხოლოდ ეფექტი სჭირდება.ჩვენი ყველაზე დიდი ტრაგედია ისაა, რომ ყველაზე საუკეთესო რამ თუ გვაქვს, მასზე ვამბობთ, „რა უცხოაო“. ამაზე მეტად საშინელი რა უნდა იყოს? ჩვენსავე კარგს, ღირებულს ვეძახით უცხოს. გუშინ, სანამ სცენაზე გავიდოდი, კულისებში ვფიქრობდი – რატომაა ეს თეატრი რუსთაველის სახელობისა? რა კავშირშია თეატრი და რუსთაველი ერთმანეთთან? რა, საქართველოში სახელოვანი მსახიობები არ გვყოლია? მე პირადად ლოგიკას ვერ ვხედავ..

Copyright-ს რაც შეეხება, სანკტ-პეტერბურგში ჩემი შესრულებით ბრამსის ინტერმეცოების ჩანაწერი გამოიყენეს ფილმში, რომელმაც ბერლინში ოქროს დათვი მიიღო. მე მთავაზობდნენ ჰონორარს, მაგრამ მე ამ ჰონორარზე უარი ვთქვი. ფულზე უფრო მეტად ფილმის წარმატებამ და იმ ფაქტმა გამახარა, რომ ჩემი მუსიკა მოიწონეს და გამოიყენეს. ჰონორარზე უარი მხოლოდ ჩემი არჩევანი იყო. საავტორო უფლებების დაცვა სტიმულია ნებისმიერი ხელოვანი ადამიანისთვის. მნიშვნელოვანია ის, რომ მათი შრომა ფუჭად არ იკარგება და ამ მხრივ მდგომარეობა საქართველოში თუ მოწესრიგდება, მხოლოდ მისასალმებელია. „მედალს ორი მხარე აქვს“ – ეს ხატოვანი გამოთქმა ამ შემთხვევასაც ძალიან კარგად ერგება. მაგალითად, ახლა ახალ ალბომს ვუშვებ და თუ ეს ალბომი მეკობრული წარმოებისგან და ინტერნეტში დაუკითხავად გავრცელებისაგან დაცული იქნება, ეს ძალიან კარგია, მაგრამ, მეორე მხრივ, ამ ალბომს, სავარაუდოდ, მსმენელთა რაოდენობა მოაკლდება, ანუ მომისმენენ მხოლოდ ისინი, ვინც მას შეიძენს. შეიძლება სუბიექტური ვარ, მაგრამ ეს დანაკარგი ჩემთვის ძალიან დასანანია. ხშირია ისეთი შემთხვევა, როცა ჩანაწერს არასაკადრისად იყენებენ ხოლმე და ამ მხრივ ძალიან ბევრი პრეტენზია მაქვს. საავტორო უფლებების დაცვაზე უფრო დიდი პრობლემა ისაა, რომ კლასიკურ მუსიკაში იმპრესარიოს ვერ ვხედავ. საქართველოში ჯერ კიდევ უამრავი პრობლემაა. თაობებია აღსაზრდელი. მანქანიდან რომ არ უნდა ისროდნენ ნაჯამ ვაშლს, ეს ხომ ელემენტარულია. საქართველოში ამის დამკვიდრებასაც დრო სჭირდება.

მე ინფარქტი მივიღე, იმდენად დიდი ზეწოლა მქონდა ზოგიერთი ადამიანისგან. ვისთან რა მაქვს გასაყოფი? მე მხოლოდ ყველას მადლობელი ვარ, უწმინდესით დაწყებული და სამთავრობო სტრუქტურებითა და კერძო სექტორით დამთავრებული. ყველა გვერდში მიდგას. ჩემთვის არ არსებობს პოზიცია – ოპოზიცია, არსებობს მხოლოდ ცუდი და კარგი. მე სურვილი მაქვს, მომავალი თაობა აღვზარდო. სულაც არ მინდა, მათშიც გაგრძელდეს ის დაყოფა-დაპირისპირება, რომელიც დღეს საქართველოშია და, საერთოდ – მსოფლიოში. ამით რას მოიგებთ? დღეს ხართ, ხვალ შეიძლება აღარ იყოთ. ვინმეს თავი სხვაზე უკეთესი რატომ უნდა ეგონოს?

Our biggest tragedy is that for the best thing we might have, we say “Oh, it is so extraordinary!” What could be worse? We call our own advantage, our own value – extraordinary. Before coming out on the stage yesterday, I was thinking backstage “Why is this theatre named after Rustaveli? What does the theatre have to do with Rustaveli? Haven’t we ever had prominent artists in Georgia? I see no logic in this.

As for copyright, in Saint Petersburg they have used my performance of Brahms intermezzos for their movie which became the Golden Bear Award winner in Berlin. I was offered a fee but I refused. I was happier with the success of the movie and with the fact that they liked and used my music than I would be with the money given. Refusal of the fees was absolutely my choice. Protection of copyrights is an incentive for any artist. It is significant that their work is not wasted and if this situation gets organised in Georgia, it only deserves appreciation. A figurate expression about the two sides of a coin is appropriate in this situation.

For example, I’m releasing a new album now and if this album is protected against piracy and unauthorised circulation on the internet, it would be very good. However, on the other hand, this album will probably lose a potential number of listeners. In other words, I will only be heard by those who buy it. I might sound subjective but this kind of loss is very regrettable for me. Often recordings are inappropriately used and I do have many concerns about this. A more serious problem than copyright protection is that I don’t see impresarios in classical music. There are still many problems remaining in Georgia. Generations need to be raised. It is such a basic thing that people shouldn’t be throwing apple cores out of their car windows. Even this practice needs time to be established in Georgia.

I had a heart attack because of the degree of pressure I was put under by some people. Do I have something to divide to others? I am only grateful to everyone, starting from the Patriarch down to the governmental bodies and the private sector. Everybody’s supporting me. There is no position or opposition for me, there is only bad and good. My only ambition is to raise a future generation. I don’t want to see them carrying on with the separation and conflict prevailing now in Georgia and worldwide, in general. What do you gain from it? You exist today but tomorrow you might not. Why should one consider himself better than others?

კარიერა უცხოეთში დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორი იმპრესარიო გყავს. საშუალო შესაძლებლობების ადამიანსაც შეუძლია გაიკეთოს კარიერა. მე ერთხანს თვითმფრინავში ვცხოვრობდი. სად და ვისთან არ დამიკრავს – პრეზიდენტებთან, მეფეებთან თუ ინგლისის დედოფალთან. ეს არაა მთავარი. დღეს ტელევიზორს ჩართავ და ყველა გენიოსია – მინიმუმ, ბეთჰოვენია ან ლისტი. ჩემთვის უპირველესი მაინც ადამიანობაა. საქართველოში უცხოეთში წასული ადამიანის ზრდის პროცესს ყველა ხედავს. აქ რომ ჩამოდიხარ და ისევ ისე დაუკრავ, როგორც უცხოეთში წასვლამდე უკრავდი, ესე იგი, არ გაზრდილხარ და ესაა სანერვიულო. მე ამით იმას არ ვამბობ, რომ გერმანიაში დაკვრა უფრო იოლია, პირიქით, ბევრად რთულია. ზოგიერთი პედაგოგი თავის სახელს იხვეჭს ბავშვით. ასეთი პედაგოგი უნდა დაისაჯოს, იმიტომ, რომ თავად უნიჭოა.

ყველაფერი ოქრო არ არის, რაც ბრწყინავს. ჩემს კონცერტზე დღეს არ შემიძლია საუბარი. დრო უნდა გავიდეს და შემდეგ უნდა გავიაზრო, ჩემს თავს რომ ვუთხრა სიმართლე. რაც დაგრჩება, ის არის ოქრო და არა ის, რაც იმ წუთას ბრწყინავს. ეს ეფექტია, როგორც აბრჭყვიალდება, ისევე ჩაქრება. მე ეს ჩემმა პედაგოგებმა მასწავლეს (დოდო ცინცაძე, ნოდარ გაბუნია, ნანა ხუბუტია). მე მათი უზომოდ მადლიერი ვარ. გერმანელი პიანისტი არტურ შნაბელი ბეთჰოვენს ასრულებს. ძალიან ჩქარა უკრავს. როცა უსმენ, იმ წუთას არ მოგწონს და შემდეგ კი რამდენიმე დღე ფიქრობ მის შესრულებაზე. უსმენ და ფიქრობ, რა ჩქარია! რა უბედურებაა! მერე ხვდები, რომ ის გენიალურად უკრავს.

მოცარტი სალიერიმ კი არა, ბახის გენიამ მოწამლა. სალიერი სრულიად გენიალური კომპოზიტორია. ვინმემ იცის ეს? მან 40 ოპერა დაწერა, მრავალი სონეტა და კონცერტი. ერთი მეორეზე უკეთესებია. რა მოხდა სინამდვილეში? მოცარტს შეუკვეთეს რეკვიემი. მოცარტი ჩვეულებრივი ადამიანი იყო, ზუსტად ჩემი ხნისა. მან არ იცოდა, თუ რა იყო მესა და სალიერის დაეკითხა. სალიერიმ მოცარტს ბახის „მათეს ვნებანი“ და „იოანეს ვნებანი“ მიუტანა, რათა ეჩვენებინა, თუ რა არის მესა. მოცარტი ბახის გენიალურმა მუსიკამ გახადა ავად. ნახა რა, რომ ბახი გენიალური კომპოზიტორია. მოცარტი თავის უკვე გაშორებულ მეუღლეს წერილში სწერდა: ვინმე ბახი, რომელიც 2 საუკუნის წინ ცხოვრობდა, გენიოსია და მე ვინ ვარ მასთან შედარებით? ერთი უბედური ადამიანი. გთხოვ შემირიგდე. აი, როგორ მოწამლა სალიერიმ მოცარტი. ბახის მუსიკამ მოკლა მოცარტი. ძალიან ქედმაღალი პიროვნება იყო. ისე, საბაბი უდავოდ ჰქონდა. ეს ცნობილი ფაქტია. მე არ ვამბობ, რომ სალიერი მოცარტზე გენიალური კომპოზიტორია. სალიერი სხვა ეპოქაში რომ დაბადებულიყო, ისიც გენიოსთა ჩამონათვალში იქნებოდა, როგორც შოპენი, ლისტი, ბრამსი, ჩაიკოვსკი.

A career abroad depends upon what kind of impresario one has. Even a person with average skills can make a career. In one of the episodes in my life, I lived on a plane. I can’t even remember where and for whom I have played – presidents, kings or Her Majesty. It is not the main point. When you turn on the TV, it seems like everybody’s a genius, at least Beethoven or Liszt. For me, humanness is fundamental. In Georgia, everyone can see the developing process of a person having been abroad. When you come back and play the same way as you did before leaving, it means that you haven’t grown and this is something to worry about. I’m not saying that it is easier to play in Germany, not at all, it is much more difficult. Some professors gain their fame with their students. Such professors deserve punishment because they are untalented themselves.

All that glitters is not gold. I can’t talk about my concert today. I need time to contemplate and tell myself the truth. What remains is the gold and not that which glitters in the moment. That’s just an effect. It can fade away just as easily as it can glitter. This was taught to me by my professors (Dodo Tsintsadze, Nodar Gabunia, Nana Khubutia). I am extremely thankful to them. The German pianist, Artur Schnabel, plays Beethoven. He plays very fast. When you listen to him, you don’t like it that particular minute but then you think over it for several days. You listen to it and think “Oh gosh, it is so fast, what a disaster! Then you realise that his performance is outstanding.

Mozart was poisoned not by Salieri but by Bach’s brilliance. Salieri was an absolutely genius composer. Does anyone know that? He wrote 40 operas, many sonatas and concertos. One better than the other. What happened really? Mozart was commissioned for the Requiem. He was an ordinary man, exactly my age. He didn’t know what Mass was and asked Salieri. Salieri brought Bach’s the St Matthew Passion and the St John Passion to Mozart to show him what Mass was. Mozart fell ill with Bach’s fascinating music, having seen that Bach is a genius composer. In his letter to his ex-wife: “Some Bach who lived two centuries ago is a genius and who am I compared to him? Just a poor man. Please, come back to me!” This is how Salieri poisoned Mozart. The music of Bach killed him. He was a very arrogant person. He did have the reason to be, though. It is a well known fact. I’m not saying that Salieri is a greater composer than Mozart. If Salieri were born in a different epoch, he’d appear in the list of geniuses, like Chopin, Liszt, Brahms, Tchaikovsky.

უჭკუო ქალი საშიშია ისევე, როგორც ცუდი მუსიკოსი. იცით რა, საშიშია ცუდი მუსიკოსი. ნებისმიერ პროფესიაში ცუდი, არაპროფესიონალი საშიში მოვლენაა. განსაკუთრებით ხელოვნებაში. თან ისინი მერე წინ მიიწევენ და ნიჭიერი ინაგრება. ძალიან არ მომწონს, როდესაც ხელოვანი ადამიანი პოლიტიკაში მიდის. ამას პირდაპირ ვამბობ. ერთია, რომ არაკომპეტენტური და არაპროფესიონალია პოლიტიკაში, მეორე, თავის საქმეს, ხელოვნებას ღალატობს მხოლოდ კარიერის გამო. საქართველო მე მათზე ნაკლებ არ მიყვარს. პირიქით, მე უფრო მეტად მიყვარს. ხელოვნება არის ჩემთვის პოლიტიკა და ჩემი ქვეყნის სახე.

ადამიანის გარეგნობა არაფერს ნიშნავს. მე ვარ უბედნიერესი კაცი მარტო იმიტომ, რომ საქართველოში დავიბადე. ძალიან ბევრ ქვეყანაში ვმოღვაწეობდი. ჩემთვის არ არსებობს რასა, არ არსებობს ეროვნება. ჩვენ ყველანი ერთნი ვართ. რატომ? მე ღმერთმა მითხრა ეს და ეს მართლაც ასეა. მე ვარ ერთი სრულიად ჩვეულებრივი ადამიანი, ვალერიან შიუკაშვილი, რომელიც სცენაზე დგას. ესაა ჩემი როლი, რომელიც უკვე ჩემგან დამოუკიდებლად არსებობს და მე მხოლოდ ვალდებული ვარ, ეს ნიშა შევინარჩუნო. განსაკუთრებულნი და განუმეორებელნი მარტო წმინდანები არიან. ის, რომ მე მუსიკოსი ვარ, ღმერთით ბოძებული ნიჭია. რა ფასი აქვს ნიჭს, თუ ვერ გამოიყენე? და მინდა გითხრათ, რომ ვერ ვიყენებ. ის, რაც რუსთაველის თეატრში გამართულ კონცერტზე გავაკეთე, არ დავმალავ, მესიამოვნა. ეს ძალიან ცოტაა. ეს კარგი იყო ინფარქტის მერე და არა იმისთვის, რაც მე მსურს. მე მინდა, რომ კარნეგი – ჰოლში უკეთესად დავუკრა.

A stupid woman is as dangerous as a bad musician. Do you know how dangerous a bad musician is? In any profession, an unprofessional is a dangerous phenomenon, especially in art. And they move forward and oppress talented people. I don't like when an artist goes into politics. I'm saying this very openly. One thing is when an incompetent and unprofessional is engaged in politics but besides that, this person betrays his own job, the art, for the sake of a mere career. My love of Georgia is no less than theirs. On the contrary, I love it more than they do. For me, art is the politics and my country's image.

A person's appearance means nothing. I'm the happiest man just because I was born in Georgia. I have worked in many countries. I don't care about race or nationality. We all are the same. Why? Because God told me that and it is true. I'm just an ordinary man, Valerian Shiukashvili, standing on the stage. It is my role existing independently from me and my duty is to keep this niche. Only saints are unique and exceptional. The fact that I'm a musician is a talent given by God. Unused talent has no value. And to tell you the truth, I'm not using it. What I did at the recital in the Rustaveli Theatre, I definitely enjoyed it. It is very little. It was good after the heart attack but not for something that I want. I want to play better at Carnegie Hall.

საქართველოს სახელმწიფო უფლებათა / GCA

საქმიანობა, ფუნქციები
ACTIVITIES

ავტორთა მოტივაციის ასამაღლებლად, საავტორო უფლებათა არალეგალური გამოყენების აღკვეთისა და პრევენციისათვის, საავტორო უფლებებით სარგებლობის ხელშეწყობისა და ამ სფეროში ეფექტური მარეგულირებელი გარემოს ჩამოყალიბებისათვის ისევე, როგორც მსოფლიოს ყველა განვითარებულ ქვეყანაში, საქართველოშიც არსებობს საავტორო უფლებათა ასოციაცია.

IN ORDER TO RAISE THE LEVEL OF MOTIVATION OF AUTHORS, PREVENT ILLEGAL USE OF COPYRIGHTS, ENCOURAGE THE EXERCISE OF COPYRIGHTS AND ESTABLISH EFFECTIVE REGULATORY ENVIRONMENT IN THIS FIELD, LIKE ALL OTHER DEVELOPED COUNTRIES THROUGHOUT THE WORLD, GEORGIA TOO HAS ITS COPYRIGHT ASSOCIATION (GCA).

დაარსებიდან რეფორმებამდე

არცთუ ისე შორეულ წარსულს თუ გადავავლებთ თვალს, დავინახავთ, რომ საბჭოთა წყობის დაშლის შემდგომ, 90-იანი წლების საქართველოში, საავტორო უფლებების დაცვის ხარისხი უაღრესად დაბალი იყო. არ არსებობდა არც საკანონმდებლო ბაზა და არც ამ სფეროს დაცვაზე პასუხისმგებელი ორგანო.

1995 წელს საქართველო საავტორო უფლებათა შესახებ საერთაშორისო კონვენციებს მიუერთდა და სახელმწიფომ ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე საავტორო უფლებების დაცვის ვალდებულება იკისრა.

1999 წლამდე საავტორო უფლებებს საქართველოში მხოლოდ სამოქალაქო კოდექსი არეგულირებდა. 1999 წელს მიღებული იქნა „საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ“ კანონი, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ქვეყანაში საავტორო და მომიჯნავე უფლებების სფეროს განვითარებას.

FROM THE ESTABLISHMENT UNTIL THE REFORMATION

Retrospect of recent past, shows that in 90th after the collapse of Soviet system, the degree of protection of copyrights in Georgia was extremely low. Neither legislative framework nor the body responsible for the protection of this sector was then available.

In 1995 Georgia accessed international conventions related to copyrights and the State assumed the obligation to protect copyrights nationwide.

Until 1999, only the Civil Code regulated the copyright issues in Georgia. The Law on Copyrights and Related Rights was adopted in 1999 paving the way to the development of copyright and related rights in the country.

„ისინი ყოველთვის ლამაზად საუბრობენ „ძველის" ლიტერატურაზე... მაგრამ ენთუზიაზმით გატაცებულნი, შუა გზაში მოხრუწდებიან და ყველაფერს აკეთებენ მის „ჩასაკლავად"...

კონგრესში მარკ ტვენის მიერ წარმოთქმული სიტყვა, 1906წ.

"THEY ALWAYS TALK HANDSOMELY ABOUT THE LITERATURE OF THE LAND... AND IN THE MIDST OF THEIR ENTHUSIASM THEY TURN AROUND AND DO WHAT THEY CAN TO DISCOURAGE IT"...

MARC TWAIN SPEECH IN CONGRESS, 1906

იმავე წელს ავტორთა და შემსრულებელთა მიერ, კანონის შესაბამისად, დაარსდა ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაცია – „საქართველოს ავტორთა და შემსრულებელთა ასოციაცია“ (GESAP), რომლის მიზანსაც საავტორო და მომიჯნავე უფლებების დაცვა და რეალიზაცია წარმოადგენდა.

2006 წელს GESAP-მა ხელახალი რეგისტრაცია გაიარა და დარეგისტრირდა, როგორც „საქართველოს ავტორთა საზოგადოება“ (SAS).

ამ დროიდან დაიწყო უცხოეთის ქვეყნების მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან ურთიერთობების დამყარება და ურთიერთწარმომადგენლობის ხელშეკრულებების გაფორმება.

The same year, authors and performers, as per the law, established the collective management organization of property rights “Georgian Society of Authors and Performers” (GESAP) aiming at protecting and enforcing the copyrights and related rights.

In 2006 GESAP reregistered under the name of Georgian Authors Society (SAS).

Since then the contacts with similar type organizations in foreign countries had been established and reciprocal representation agreements concluded.

საზოგადოებაში გაწევრიანდნენ საქართველოში მოღვაწე ხელოვნების სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლები: კომპოზიტორები, მწერლები, პოეტები, მხატვრები, რეჟისორები და სხვ. პარალელურად გაიცემოდა საავტორო უფლებებით სარგებლობისათვის ნებართვები (ლიცენზიები), თუმცა მათი რიცხვი უმნიშვნელო იყო. საზოგადოების არაეფექტური მართვა გახდა მისი კომპეტენციის შემცირების საფუძველი, რაც 2005 წელს საზოგადოების რეგულირების სფეროდან მომიჯნავე უფლებების გამოყოფასა და მხოლოდ საავტორო უფლებების დაცვის ფუნქციის დატოვებაში გამოიხატა.

The representatives of various fields of art engaged in Georgia joined the membership of the Society: composers, writers, poets, painters, film directors etc. Simultaneously, the permissions (licenses) for the exercise of copyrights had been issued, but their number was very insignificant. Ineffective management of the Society became the reason for reducing its scope causing separation of related rights from the Society’s scope of activity in 2005 and leaving it only with copyrights.

რეფორმირების პროცესი

ქვეყანაში მიმდინარე რეფორმების ტალღა საავტორო უფლებათა დაცვასაც შეეხო. 2011 წელს სახელმწიფომ ქვეყნის ერთ-ერთ პრიორიტეტად ინტელექტალური საკუთრების დაცვა გამოაცხადა. საავტორო უფლებების მართვის უფრო ეფექტური და ქმედითი მექანიზმების ამოქმედების აუცილებლობამ 2011 წლის 11 მაისს ავტორთა საზოგადოების საერთო კრების მოწვევა და ახალი მენეჯმენტის არჩევა განაპირობა.

THE REFORMING PROCESS

The wave of the reforms ongoing in the country has reached the area of copyright protection too. In 2011 the government announced intellectual property protection as one of its priorities. The need for the enactment of more effective and efficient mechanisms of copyrights management caused the calling of general assambly meeting of authors’ society and electing the new management on May 11, 2011.

2011 წლის 9 ივლისს, საზოგადოების რიგგარეშე საერთო კრების გადაწყვეტილებით, საავტორო უფლებებთან ერთად ორგანიზაციამ კვლავ იკისრა მომიჯნავე უფლებების დაცვის ვალდებულებაც. ამასთან, შეიცვალა მისი სახელწოდება. ორგანიზაციას ეწოდა „საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია“ და მისი რეფორმირების აქტიური პროცესი დაიწყო.

On July 9, 2011, as decided by the extraordinary General Assembly meeting of the Society, the organization has reassumed the obligation to protect related rights together with copyrights. Furthermore, its name changed into “Georgian Copyrights Association (GCA)” and thus its reformation process actively began.

ასოციაცია არის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია ასოციაციაში ერთობლივი საქმიანობის მიზნით გაწევრიანებული საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების და/ან მათი მემკვიდრეების/უფლებამონაცვლეების საერთო ინტერესების განხორციელებისა და დაცვისათვის. ამ მიზნით ასოციაცია აწარმოებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა გამოყენების (სარგებლობის) მონიტორინგს, ებრძვის დარღვევებს ამ სფეროში, გასცემს საქართველოს ტერიტორიაზე საავტორო და მომიჯნავე უფლებათა გამოყენებისათვის ნებართვებს (ლიცენზიებს), აგროვებს საავტორო და მომიჯნავე უფლებათა მფლობელების კუთვნილ ჰონორარებს და ანაწილებს მათ. ასევე, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ საავტორო და მომიჯნავე უფლებათა სფეროში სამართლებრივი რეგულირების მექანიზმების გაუმჯობესების მიზნით შეიმუშავებს საკანონმდებლო წინადადებებს. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ ასოციაციას მინიჭებული აქვს ქონებრივი უფლებების კოლექტიურ საფუძველზე მმართველი ორგანიზაციის სპეციალური სტატუსი და იგი ამ სტატუსის მქონე ერთადერთი ორგანიზაციაა საქართველოში.

საქმიანობა დღეს

საავტორო და მომიჯნავე უფლებების ეფექტური დაცვისა და ორგანიზაციის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით ასოციაციამ მჭიდრო ურთიერთობები დაამყარა სახელმწიფო-ადმინისტრაციულ ორგანოებთან და საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან.

ფუნქციების სისტემატიზებულად განხორციელების მიზნით დაზუსტდა ავტორთა და მათი ნაწარმოებების შესახებ არსებული მონაცემები, განახლდა ასოციაციის წევრებთან არსებული ხელშეკრულებები და შეიქმნა დეტალური ელექტრონული ბაზები. დღევანდელი მდგომარეობით GCA-ის ჰყავს 500–ზე მეტი წევრი, რომელთა რიცხვიც ყოველდღიურად იზრდება. ასევე, მიმდინარეობს ასოციაციაში მომიჯნავე უფლებათა მფლობელების გაწევრიანება.

საქმიანობის სრული გამჭვირვალობის მიზნით დაინერგა საავტორო ჰონორარების შეგროვება-განაწილების თანამედროვე მექანიზმები. შეიქმნა სპეციალური კომპიუტერული პროგრამა, (software) რომლის მეშვეობითაც პერსონალური კოდების საფუძველზე ავტორებს მიეცათ საკუთარი ჰონორარების შეკრების პროცესის ონლაინრეჟიმში კონტროლის შესაძლებლობა. შემუშავდა ჰონორარების განაწილების საბარათე სისტემა. ავტორებს უსასყიდლოდ გადაეცათ პერსონალური საბანკო ბარათები, რომლებზეც ერიცხებათ შეგროვებული ჰონორარები.

The Association is a non-for-profit legal entity set up for the exercise and protection of common interests of holders of related rights and copyrights and/or their successors who have become the members of the Association for joint activity. To this end, the Association monitors the use (exercise) of copyrights and related rights, fights against infringements in this field, issues permissions (licenses) for the use of copyrights and related rights on the Georgian territory, collects and distributes royalties to the holders of copyrights and related rights. In addition, to improve the mechanisms of legal regulation in the field of copyrights and related rights by the legislative and executive authorities, it drafts legislative proposals. The Ministry of Justice of Georgia has awarded the Association with a special status of a collective management organization and it is the only organization holding this status in Georgia.

CURRENT ACTIVITIES

For the effective protection of copyrights and related rights and for the capacity building of the Association, the Association has established close contacts with the state-administrative bodies and international donor organizations.

In order to systematize the functions, the data available about the authors and their works has been upgraded, the agreements with the Association's members updated and detailed electronic database created. At present, GCA counts over 500 members with their number increasing on a daily basis. Membership process of holders of related rights is also underway.

For full transparency of its activities, the GCA has introduced state-of-art tools for the collection and distribution of authors' honoraria. Special software was developed, which allows the authors by using their personal unique codes to have online access to the process of collection and distribution of their own honorarias. Card system of distribution of fees has been developed and authors have been provided with free personal bank cards to which the collected fees are transferred.

One of the priorities of the Association's new leadership is to change the negative climate in the relations with its users.

ასოციაციის ახალი ხელმძღვანელობის ერთ-ერთი პრიორიტეტი მოსარგებლეებთან ურთიერთობებში არსებული უარყოფითი კლიმატის შეცვლა იყო. ამ მიზნით მოსარგებლეების ყველა სეგმენტის წარმომადგენლებთან გაიმართა ინდივიდუალური შეხვედრები. შესწავლილი იქნა საერთაშორისო გამოცდილება და ადგილობრივი ბაზარი, რომლის მიხედვითაც, მოსარგებლეების მონაწილეობით, შემუშავდა და დამტკიცდა საავტორო უფლებებით სარგებლობის ახალი განაკვეთები, რის შედეგადაც დაახლოებით 10–ჯერ გაიზარდა გაცემული ლიცენზიების რიცხვი. მოსარგებლეებთან მიმდინარე სასამართლო დავების უმრავლესობა დამთავდა მორიგებით და შეთანხმებებით საავტორო ჰონორარების გადახდის შესახებ.

საავტორო უფლებათა დარღვევების აღკვეთისა და მათი შემდგომი პრევენციისთვის ასოციაციის შემადგენლობაში შეიქმნა მონიტორინგის ჯგუფი, რომლის მეშვეობითაც მიმდინარეობს სისტემატური კონტროლი და დარღვევათა აქტიური გამოვლენა. ასოციაცია შეყვანილი იქნა საავტორო უფლებათა დაცვის უწყებათაშორის საკოორდინაციო საბჭოში, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ძალოვანი და სხვა სამინისტროები და რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. ასოციაცია ჩართულია „საქპატენტის“ მიერ შემუშავებული საავტორო უფლებათა დაცვის სტრატეგიის განხორციელებაში და დარღვევათა ეფექტური აღკვეთის მიზნით გასატარებელი საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების პროცესში.განახლდა უხოეთის ქვეყნების მსგავსი ტიპის ორგანიზაციებთან არსებული ურთიერთობები და გაფორმდა ურთიერთწარმომადგენლობის ახალი ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც დღესდღეობით ასოციაცია წარმოადგენს და იცავს 150-ზე მეტი ქვეყნისა და ტერიტორიის ორ მილიონზე მეტ ავტორს მსოფლიოს მასშტაბით და ახორციელებს საქართველოს ტერიტორიაზე მათი უფლებების მართვას.

საავტორო უფლებათა შესახებ საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებისა და ინტელექტუალური საკუთრების ლეგალური მოხმარების კულტურის დამკვიდრების მიზნით დაიწყო ფართომასშტაბიანი კამპანია სახელწოდებით – „ნუ დაარღვევ საავტორო უფლებას!“ კამპანიის ფარგლებში ჩატარდა არაერთი აქცია, მათ შორის: დამზადდა საინფორმაციო-სოციალური ვიდეორგოლი, გამოიცა მუსიკალური ალბომი, გაიმართა აქციები კინოპროდუქციის დაცვის მიზნით და სხვ. საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, საქართველოში მოწვეული უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით შედგა სამუშაო შეხვედრები და სემინარები.

რეფორმირების პროცესი აქტიურად მიმდინარეობს. ასოციაცია აგრძელებს მუშაობას საქართველოში საავტორო უფლებათა დაცვისა და განხორციელების ქმედითი, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი მოდელის ჩამოყალიბებისათვის. ინფორმაციას პროცესის მიმდინარეობის შესახებ ყველა დაინტერესებული პირი ჟურნალ Copyright-ის ფურცლებიდანაც შეიტყობს.

To this end individual meetings have been held with the representatives of all user segments. International experience and local market has been studied and, with the involvement of users, new rates for use of copyrights were developed and approved, thus, the number of licenses issued has increased approximately 10 times. Majority of court cases with users have been resolved through out-of-court settlement and agreements on payment of authors' fees drafted.

For the prevention of copyright infringement, the Association has created a monitoring group within its staff which systematically controls and detects infringements. The Association was included in the inte-agency copyright protection coordination council composed of law-enforcement and other ministries with the leadership of the Prime Minister of Georgia. GCA is involved in the implementation of copyright protection strategy developed by SAKPATENTI and in the process of drafting of legislative changes to be made for the purposes of effective prevention of infringements.

Contacts with similar organizations of foreign countries have been updated and new agreements of reciprocal representation concluded, based on which GCA represents and protects over 2 million authors of over 150 countries worldwide and manages their rights throughout Georgia.

In order to raise public awareness on copyrights and establish the culture of legal use of intellectual property, large-scale campaign named "Do not Infringe Copyright!" has been launched, within the framework of which numberless actions have held, including production of the social video, release of musical album, the movement on protection of film products etc. With the support of international donor organizations and involvement of invited foreign experts, different workshops and seminars have been held.

The process of reformation is actively underway. GCA is continuously working on the establishment of an effective model complying with international standards of protection and enforcement of copyrights in Georgia. Interested persons may familiarize themselves with the information on the progress of reformation from the pages of Copyright Magazine.

2020 DEBUT

Copyright

THE WINDOW

ყველა ფანჯრის ხედი უნდა განსხვავდებოდეს...

THE OUTLOOK OF EVERY WINDOW SHOULD BE DIFFERENT...

დათო თავაძე, მარიამ წიბახაშვილი, ნინო ისაკაძე, თამარ ახალკაცი, ანუ ჯგუფი WINDOW. მათ მიერ შესრულებული კომპოზიციები პოლიშანრულია და არაორდინალური. მუსიკა მათთვის სამყაროს შეცნობის ხერხია იმ სარკმლით WINDOW, რომლის შეღება მხოლოდ მათ შეუძლიათ. ჩვენც, მსმენელსა და მკითხველს, სწორედ აქ გვიხმობენ.

DATO TAVADZE, MARIAM TSIBAKHASHVILI, NINO ISAKADZE, TAMAR AKHALKATSI – THE GROUP “WINDOW”. THEIR PERFORMANCE OF COMPOSITIONS IS UNUSUAL AND EXTRAORDINARY. MUSIC FOR THEM MEANS TO ACKNOWLEDGE THE WORLD BY THE “WINDOW”, OPENING OF WHICH IS POSSIBLE ONLY FOR THEM. WE, THE READERS AND THE LISTENERS ARE INVITED PRECISELY HERE.

რეპეტიცია ძირითადად ინსტრუმენტების აწყობით იწყება. ეს დიდხანს გრძელდება.
– შეიძლება მოვწიო?...
– აი... ასეც იწყება ხოლმე რეპეტიციები, – ამბობს „ფლეიტა“. ოთახში თბილა. რეპეტიცია სახლში აქვთ. უყვართ აქ ყოფნა. ოთახში სიმყუდროვეა, ისეთი, ბავშვობას რომ გაგახსენებს.. შემდეგ უცაბედად კინოკადრივით ჩნდება ფინჯანი ჩაი, ნამცხვარი, ალუბლის არომატით... ჩემი მასპინძელი ნინო ისაკაძეა (გიტარა). „ფლეიტაც“ და „ვიოლინოც“ აქ არიან... „ჩელოს“ ელოდებიან... ის ყოველთვის იგვიანებს, უჭირს გადაადგილება, სამარშუტო ტაქსიშიც თავისი ინსტრუმენტით ვერ ეტევა.

– რა არის კარგი გემოვნება?... (ამ კითხვას ახლა ვსვამ, მათთვის არ მიკითხავს). კარგი გემოვნება, ალბათ, არის ის, რაც ჭეშმარიტ ემოციას იწვევს. მე ეს განვიცადე, როცა მათ „პურ-პურში“ ვუსმენდი. მიყვარს, როცა მუსიკა მაღელვებს.

ამ ქალაქს ვერაფრით გააკვირვებ, ვერც კარგით, ვერც ცუდით... მით უმეტეს, მუსიკით. თუმცა, გემოვნებიანი მუსიკის მოსმენა დიდი სიამოვნებაა და, მიუხედავად იმისა, რომ ყველა უკრავს, მაინც დეფიციტია და ასე, შეუმჩნევლად და მოულოდნელად გაჩნდა „ფანჯარა“, რომელშიც შევიხედე. აი, ახლაც ვზივარ და ვიყურები ამ ფანჯარაში, თუმცა ყველა სარკმელს ერთდროულად ვერ გამოაღებ... ვეცდები, რომ შევაღო მაინც.

A rehearsal usually starts with tuning the instruments. This takes quite a long time.
— Can I smoke?...
— Yes, the rehearsals sometimes start this way too, says “Flute.” It is warm in the room. They are rehearsing at home. They love to be here. The room is very cozy, like a place which reminds you of your childhood. Then, suddenly, a cup of tea and cherry-flavoured cakes appear like film-stills. My hostess is Nino Isakadze (Guitar). “Flute” and “Violin” are also here. They are waiting for “Cello.” She is always late. She finds it difficult to move. There is not enough room for her instrument in a minibus.

— What is good taste? (I have not asked them this question. I’m asking this question now). Good taste is probably something that creates real emotions. I experienced that when I listened to them at Pur-Pur. I like it when music excites me.

Nothing can surprise this city, neither good nor bad... This includes the music. However, it’s a real pleasure to listen to some tasteful music and, despite the fact that everybody plays, we still lack good music. And, now quite unexpectedly and imperceptibly, the “Window” has shown up and I am looking into it. I am sitting here now, and looking into this window, but you can never open up all the panes at once. I will, at least, try to open it slightly.

კედელზე გიტარაა ჩამოკიდებული. ეს ძველი გიტარაა და თავისი ისტორია აქვს... ნინო ისაკაძემ დაკვრა მერვე კლასში დაიწყო. მეგობარი Pink Floyd-ის მელოდიას უკრავდა და ამ მელოდიამ ნინოს გიტარაზე დაკვრის სურვილი აღუძრა. დაკვრა მეგობარმა ასწავლა, მანვე აჩუქა ეს გიტარა. მერე უკვე მუსიკის გარდა არაფერი აღარ აინტერესებდა, თუმცა ამ გატაცებას სერიოზულად არც უყურებდა. მეგობრების წრეში უკრავდა მხოლოდ. ერთი ამხანაგი თავის ახლობელზე უყვებოდა, ვიოლინოზე უკრავსო... ნინო უკვე დაუსწრებლად იცნობდა იმ გოგონას, ხანდახან მოიკითხავდა ხოლმე, „როგორ არის „ვიოლინო“? ერთხელაც გაიცნო ეს „ვიოლინო“. „სარკეში რომ ჩაიხედავ და საკუთარ თავს დაინახავ, ასე მოხდა ზუსტად,“ – ამბობს ნინო. „მეც იგივე განცდა მქონდა “ – ამბობს „ვიოლინო“. ისიც აქვეა.

ჩაცმულობით, საუბრის მანერით, ერთი სიტყვით, ყველანაირად ერთმანეთს ვგავდით. იოლად გავუგეთ ერთმანეთს, და, რაც მთავარია, ყველაზე მეტად ის მახარებს, რომ ჩვენი ურთიერთობა აისახა ჩვენს შემოქმედებით თანამშრომლობაზე. არ არსებობს რაღაცის დაკვრა წამოვიწყო, შევხედო „ამის“ (ამის ეძახის, „ამიგოს“) თვალებში და არ გამომყვეს ან პირიქით არ მოხდეს...

„ვიოლინო“ – თამარ ახალკაცი – კონსერვატორია დავამთავრე. ეს ინსტრუმენტი 12 წელი შემოდებული მქონდა კარადის თავზე. შემდეგ... ოჯახი, ყოფა... ტრამვაც მქონდა – თითები დავიზიანე და დიდხანს არ დამიკრავს. სულ მქონდა ოცნება, რომ მეპოვა გიტარისტი, აუცილებლად გოგონა, რომელთან ერთადაც დავუკრავდი. მეგობართან ნინო გავიცანი. დანახვისთანავე ისეთი გრძნობა დამეუფლა, თითქოს ჩემს ორეულს ვხედავდი. როცა ინსტრუმენტი აიღო ხელში, მაშინვე გავიფიქრე, ჩვენ ერთ მუსიკას ვუკრავდით. ამ ადამიანმა მთლიანად შეცვალა ჩემი ცხოვრება. ისევ დავუბრუნდი ინსტრუმენტს. ჩვენი პირველი დუეტი Radiohead-ის ერთ-ერთი კომპოზიცია იყო.

ჯგუფს Window დაერქვა. თავიდან „13“ უნდოდათ ეწოდებინათ. ნინოს ცხოვრებაში ყველაფერი ცამეტ რიცხვს უკავშირდება. ჯგუფის სხვა წევრებისთვისაც 13 იღბლიანი რიცხვია. ამ დროს გამოვიდა გახმაურებული ფილმი „13“ და ისე აიტაცა ხალხმა, ჯგუფის სახელის გადარქმევა მოუწიათ.

არის ასეთი არქიტექტორი, ჰუნდერტ ვასერი, რომელიც საინტერესო შენობებსა და სახლებს აგებს. ევროპაში ცნობილი არქიტექტორია... მას აქვს საკუთარი შეხედულებები არქიტექტურაზე, მხატვრობაზე... მისი აზრით, მდინარეს თუ კალაპოტს გაუკეთებ, ის მდინარე გაქრება, ანუ ბუნებას უნდა მიჰყვე, როგორც არის, ისე უნდა მოერგო... ლანდშაფტი არ უნდა დაარღვიო, ასე ვთქვათ, არ უნდა შეიჭრა, მის სამფლობელოში... ყველა ფანჯრის ხედი უნდა განსხვავდებოდეს. თუ გარე ხედი განსხვავებულია, მაშინ გარედან დანახული შიდა ხედიც განსხვავებული იქნება, ანუ ფანჯარაც შეიძლება იყოს განსხვავებული... ამ მიზეზით დავარქვით ჯგუფს ეს სახელი. ეს არის ჩვენი საკუთარი ფანჯარა, რომელიც განსხვავება სხვა დანარჩენისგან.

There is a guitar on the wall. it is an old guitar with its history. Nino Isakadze started to play when she was an eighth-grade pupil. A friend of hers was playing a Pink Floyd melody and this inspired her to study the guitar. A friend taught her how to play and gave this guitar to her. Since then, nothing has mattered for her except music although she did not take this passion seriously. She played only for her friends. Another friend used to tell her about a girl who played the violin. Nino knew this girl even without meeting her. Sometimes she would ask: “How is “Violin?” Once she met this “Violin.” “It was just like looking into a mirror and seeing myself,” says Nino. “I also had the same feeling,” says “Violin.” She is also here.

We looked like each other in almost everything — our style of dress, our verbiage... We easily understood each other. And the best thing is that our relationship influenced our creative co-operation. Every time I start playing and look into Ami’s (she calls her Ami – Amigo) eyes, she just follows immediately, or vice versa.

“Violin” is Tamar Akhalkatsi. I graduated from the Tbilisi Conservatory. This instrument was resting on the top of the dresser for 12 years. Then – family, everyday life.. I also had a trauma when my fingers were damaged and I did not play for quite a long time. I always had a dream to find a guitarist — it had to be a girl — with whom I would play. I met Nino at my friend’s place. As soon as I saw her I had the feeling that I was looking at my double. When she took the instrument, I understood, immediately, that we were playing the same music. This person changed my whole life. I got back to the instrument. Our first duet was one of Radiohead’s compositions.

The group was named “Window.” At first, they wanted to call it “13.” Everything in Nino’s life is related to number thirteen. It is also a lucky number for the other group members. Just then, the well-known film, “13,” was released and its name became so popular that the group had to be renamed.

There is an architect, Hundertwasser, who builds interesting buildings and houses. He is a renowned architect in Europe. He has his own vision of architecture and painting. He believes that a river will disappear if you try and make a river-bed for it; that is, one should follow nature and fit into it as it is. The landscape should not be upset; one should not intervene into its sovereignty. The outlook of every window should be different. When the exterior is different, the interior will also be different from the outside; that is, the window can also be different. That’s why we called our group “Window.” This is our own window which is different from all the others.

მათ „ქავერებში“ ბუნებრიობა და დახვეწილობა იგრძნობა. ის მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებსაც ამა თუ იმ კომპოზიციაში იყენებენ, ამ მუსიკისთვის არ არის გათვლილი.

ONE CAN FEEL A NATURAL AND PERFECT QUALITY FROM THEIR COVERS. THE MUSICAL INSTRUMENTS WHICH THEY USE FOR SOME COMPOSITIONS ARE NOT DESIGNED FOR THIS TYPE OF MUSIC.

Their music is really extraordinary. One can feel a natural and perfect quality from their covers. The musical instruments which they use for some compositions are not designed for this type of music.

“This is our understanding and interpretation. We convey whatever we feel in these compositions. None of us is a professional musician; however, inwardly we all are musicians: Dato, Tamuna, Tsiba and me. Dato works at a bank... Tamuna is also a busy person... So is Tsiba. And me? I am in PR at the Metekhi Palace Hotel.”

The group was created three years ago. They have already had several concerts at Atoneli Theatre and participated in a festival and played at charity events.

“The main point is that one should not play just for one’s own self and be the only one to enjoy the music. Some musicians come out on the stage and play for themselves. We enjoy the music we play and we want to convey our emotions to our audience.”

“Flute” – Dato Tavadze is Inola Gurgulia’s grandson. He grew up in a musical family. He enrolled in flute class at his music school. He participated in many concerts and played in various groups. Then these groups would split up. Dato believes that the diversity of opinions is absolutely necessary for creation. Ultimately, they always arrive to the same conclusion. “As Nino said, these musical compositions are not intended for these instruments. In this context, it is a bit difficult to distribute parts in a way to have the “spirit” of the composition kept and, at the same time, have its original sound. We do not try to make exact copies. And it is up to our audience to judge how well we cope with this task.

მათი მუსიკა მართლაც განსხვავებულია. მათ „ქავერებში“ ბუნებრიობა და დახვეწილობა იგრძნობა. ის მუსიკალური ინსტრუმენტები, რომლებსაც ამა თუ იმ კომპოზიციაში იყენებენ, ამ მუსიკისთვის არ არის გათვლილი.

„აქ არის ჩვენეული აღქმა და ინტერპრეტაცია. ჩვენ რასაც ვგრძნობთ ამ კომპოზიციებში, ის მოგვაქვს თქვენამდე. ჩვენ არც ერთი არ ვართ პროფესიონალი მუსიკოსი, თუმცა, შინაგანად, დათოც, თამუნაც, წიბაც, მეც მუსიკოსები ვართ. დათო ბანკში მუშაობს... თამუნაც დაკავებულია... წიბაც... მეც... მე P.R.-ი ვარ სასტუმრო „მეტეხი პალასში...“

ჯგუფი სულ სამი წელია, რაც არსებობს. უკვე რამდენიმე კონცერტი ჩაატარეს ათონელის თეატრში, ფესტივალზეც მიიღეს მონაწილეობა. საქველმოქმედო საღამოებზეც დაუკრეს.

„მთავარი ის არ არის, რომ შენ დაუკრა და შენვე მიიღო სიამოვნება... ზოგი მუსიკოსი გამოდის და უკრავს თავისთვის. ის მუსიკა, რომელსაც ვასრულებთ, გვსიამოვნებს და გვინდა ჩვენი ემოციები მივიტანოთ მსმენელამდე“.

„ფლეიტა“ – დათო თავაძე, ინოლა გურგულიას შვილიშვილია. მუსიკალურ ოჯახშია გაზრდილი. მუსიკალურ სკოლაში ფლეიტის კლასში შეიყვანეს. მრავალ კონცერტში მონაწილეობდა. უკრავდა სხვადასხვა ჯგუფში. მერე ეს ჯგუფები იშლებოდა. თვლის, რომ აზრთა სხვადასხვაობა აუცილებელია შემოქმედებით პროცესში. საბოლოოდ მაინც ერთ დასკვნამდე მიდიან ხოლმე. „როგორც ნინომ აღნიშნა, ეს ნაწარმოებები არ არის ამ ინსტრუმენტებზე გათვლილი. ამ მხრივ ცოტა რთულიცაა, ისე გადაანაწილო პარტიები, რომ ნაწარმოების „სული“ არ დაიკარგოს და ამავდროულად, საინტერესოც იყოს. ჩვენ არ ვაკეთებთ ზუსტ კოპირებას. ის თუ, რამდენად გამოგვდის, მსმენელმა უნდა განსაჯოს.

Nino asked me to join the group. We are cousins. Nino’s aim was to create a group. She knew that I played flute from my early childhood. “Let’s try... and see what will come out of this” and we “tried.” That’s how our group started. Initially, it was us: Nino, Tamuna and me. Then the music itself dictated which instruments were needed. Although we were a perfect trio, we still needed a bass. After a long search, we found it – we found Mariam. To be short, “Cello” justified our hopes.

ჯგუფში ნინოს თხოვნით მოვედი. ბიძაშვილები ვართ. ნინოს მიზანი ჯგუფის შექმნა იყო. იცოდა, რომ ბავშვობიდან ფლეიტაზე ვუკრავდი. „ვცადოთ, რა გამოვა“... და ჩვენც „ვცადეთ.“ ასე დაიწყო ჩვენმა ჯგუფმა არსებობა. პირველად ვიყავით მე, ნინო და თამუნა. მუსიკამ თავად გვიჩვენა, რომ სხვა ინსტრუმენტსაც ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ მშვენიერი „ტრიო“ ვიყავით, ბასი გვესაჭიროებოდა. ბევრი ვეძებეთ და საბოლოოდ მივაგენით, მარიამის სახით. მოკლედ, „ჩელომ“ გაამართლა.“

„გიტარა“ და „ვიოლინო“ ჩელოს მოსასმენად ერთ-ერთ კონცერტზე საგანგებოდ წავიდნენ. მუსიკოსი, რომელიც სცენაზე ნახეს და მოუსმინეს, ვერ აღიქვეს თავიანთი ჯგუფის წევრად. სრულიად შემთხვევით ნინომ დარბაზში დაინახა გოგო, რომელსაც კოჭებამდე გრძელი თმები ჰქონდა და ჩელოს დიდი ყუთი ეჭირა. ნინო არც დაფიქრებულა, პირდაპირ მივიდა და ჰკითხა: „უკაცრავად, თქვენ ჩელოზე უკრავთ?“... მეორე დღესვე დაურეკა და „ჩელოც“ მათი „ოჯახის“ წევრი გახდა.

„ჩელო“ მარიამ წიბახაშვილი – კონცერტზე ჩემი ჯგუფელი უკრავდა, ნინო რომ მოვიდა, გული გამისკდა. მერე დავინტერესდი, რა მუსიკას უკრავდნენ თუ თვითონ ახსენა, აღარც მახსოვს – პინქ ფლოიდი, ზემფირა... მოკლედ, შევთანხმდით და მეც მივედი მათთან. ადრე სხვადასხვა ჯგუფში ვუკრავდი... ჩემს პარტიას ვასრულებდი... აქ კი თავიდან დავიბენი... რთული იყო... ყველაფერი თავდაყირა იყო, რაღაც ახალი უნდა მომეფიქრებინა. ძნელია, თან ზუსტად არ უნდა მიჰყვე კომპოზიციას, ამავე დროს არც უნდა დაგეკარგოს ან ძალიან არ უნდა გასცდე ორიგინალს და სხვაგან გადაუხვიო.

ჯგუფი განსხვავებულ კომპოზიციებს ასრულებს. ჯაზი, ეთნო, ჰარდ-როკი, რომანსი... ეს ყველაფერი ისე ერწყმის ერთმანეთს, ფიქრობ, ერთ ტალღას მიჰყვები.

„ჩვენ დინებას მივყვებოდით. რაღაც მომენტში აუცილებლად სჭირდება მუსიკოსს მიმართულების მიმცემი. პროდიუსერს სათუთი რამ აქვს ჩაბარებული... თინა მენაბდე ზუსტად ის ადამიანია, რომელიც ჩვენ გვჭირდება. ხანდახან ჩვენთან ერთად მღერის კიდეც და ეს ძალიან გვახარებს,“ – ამბობს ნინო ისაკაძე.

ჯგუფის პროდიუსერი – კინორეჟისორი თინა მენაბდე – პირველად ყველა ერთად არ მინახავს. სრულიად შემთხვევით მოვისმინე. ახალი წელი იყო, მახსოვს, მოვედით ამ სახლში და მოვისმინე ნინოსა და „ვიოლინოს“ დუეტი. მოვიხიბლე შეთანწყობით, ერთმანეთის აბსოლუტური გაგებით. მერე უფრო ახლოს გავიცანით ერთმანეთი. მათზე უფროსი ვარ. ყველაფერს რომ თავი გავანებოთ, ამ საქმეში ძალიან დიდი გამოცდილება მაქვს, თუმცა რომელიმე ჯგუფის პროდიუსერი ნამდვილად არ ვყოფილვარ. დამაინტერესა მათმა შესრულებულმა თითოეულმა კომპოზიციამ. უჩვეულო შეთანწყობით უკრავენ. ყველა სიმღერა მრავალი შემსრულებლის მიერ იკვრება და სრულდება ისე, როგორც უნდა ისმოდეს ფორტეპიანოს, ბარაბანის ან სხვა ინსტრუმენტის ხმა... აქ არის გიტარა, ჩელო, ფლეიტა და ვიოლინო. სხვანაირად აკეთებენ ყველაფერს... და ესაა ყველაზე მთავარი, რამაც გადამაწყვეტინა, გავხდე მათი პროდიუსერი...

“Guitar” and “Violin” specially went to a concert to listen to “Cello.” They could not see the musician but listened to her as a member of the group. Quite by chance, they saw a girl in the auditorium with very long hair, down to her ankles, and a huge cello case. Without thinking twice, Nino approached her and asked: “Sorry, do you play cello?” The very next day she called her and “Cello” became a new member of their “family.”

“Cello” – Mariam Tsibakhashvili – it was my classmate who played at that concert. My heart sank when Nino came up to me. Then I asked what music they played, or was it her to say – I don’t remember – Pink Floyd, Zemphira. In short, we agreed and I went to join them. Before that, I played for various groups. I just played my part. And here... I was at a loss at first... It was difficult... Everything was upside down. I had to think about some new things. It is difficult not to strictly follow the composition and, at the same time, not to lose it, not to draw away too far from the original and to move into quite a different direction.

The group plays quite different compositions from each other: jazz, ethno, hard-rock, romance... Everything fits in so perfectly that you think you are following a single wave.

“We drifted with the current. At some moment, a musician needs someone who to directs him. A producer is a person in charge of a very vulnerable thing. Tina Menabde is the person we need. Sometimes, she even sings with us and we are very happy with this,” says Nino Isakadze.

მე მირჩევნია, დავუკრა და ვიმღერო გემოვნებიანი მუსიკა, რომელსაც ჩემეულ არანჟირებას გავუკეთებ, ვიდრე მქონდეს ჩემი „ვეშჩები“ და არ იყოს ის „ვეშჩი“ კარგი...

I PREFER TO PLAY AND SING TASTEFUL MUSIC THAT I WILL BE ABLE TO ARRANGE IN A MANNER I LIKE RATHER THAN TO HAVE MY OWN “THINGS” AND FOR THEM TO BE GOOD...

საერთოდ ასეა ცხოვრებაში. ნიჭიერ ადამიანს ყოველთვის სჭირდება მეორე ადამიანი, რომელიც ღირსეულად შეაფასებს მას, მოიწონებს, რასაც ის აკეთებს და შეძლებს რაღაც ნაბიჯები გადადგას მის საკეთილდღეოდ. ეს ყველზე მთავარია. ამავდროულად, ჩემი და მათი გემოვნება დაემთხვა ერთმანეთს და სწორედ ეს გახდა იმის საფუძველი, რომ გავმხდარიყავი ჯგუფის პროდიუსერი.

რა უნდა მომხადარიყო, რომ მე სცენაზე გამოვსულიყავი და ვინმესთან ერთად მემღერა (რიგი მიზეზების გამო...). მე მომწონს ეს ადამიანები. სწორად არ მიმაჩნია, რომ თუ ადამიანი გამოდის საერთაშორისო ასპარეზზე, აუცილებელია, წერდეს საკუთარ მუსიკას. ჩემთვის ეს მცდარი შეხედულებაა. არ არის აუცილებელი, ადამიანი თვითონ იყოს კომპოზიტორი და თვითონვე მღეროდეს საკუთარ სიმღერებს. მაშინ მოცარტი აღარავის აღარ უნდა დაეკრა?... მოცარტს მილიონი ადამიანი უკრავს. მათ შორის გამორჩეულად დავასახელებ რიხტერს. ასე რომ, ეს ამბავი მე სულ არ მაწუხებს. პირიქით, მომწონს კიდეც. მათ რეპერტუარში არის განსხვავებული კომპოზიტორებისა და ჟანრის მუსიკა, ესეც მათ გემოვნებაზე მეტყველებს. ჯაზიდან, რეპიდან, კლასიკიდან, ნებისმიერი სხვა მიმდინარეობიდან ისინი ირჩევენ იმას, რაც მათთან ახლოსაა და რაც ჩემთვისაც მისაღებია, რაც მსმენელამდე მიაქვთ ლამაზად და კარგად, თუმცა ნინოს აქვს თავისი ორი კომპოზიცია, რომლებიც ახლო მომავალში აჟღერდება. დათოც წერს მუსიკას. არის ასეთი კომპოზიტორი – დავით მალაზონია. გვინდა, რომ ერთი „სეტი“ ჯგუფმა გააკეთოს ეთნოჯაზი. ერთი კომპოზიცია თითქმის დასრულებულია. იწერება სხვა სიმღერები. ეს კომპოზიტორი საგანგებოდ მათთვის წერს მუსიკას.

The group producer is film director Tina Menabde. Initially, I had not seen them all together. I listened to them quite by chance. It was the New Year. I remember, we came to this house and I heard Nino and “Violin’s” duet. I was fascinated with their unison, their absolute understanding of each other. Then, we took a closer look at each other. I am older. Above all, I have a greater experience in this field although I have never been a producer of some group. I became interested in each and every composition of theirs.

There was an unusual unison in their music. Each song is played by many artists and performed in a manner as for the piano, drums or some other instruments. Here, we have a guitar, cello, flute and violin. They do everything in a different manner... And this was the main thing for me to become their producer...

What would have made me stand on the stage and sing with someone else (for some reasons)!... I like these people. I don’t think that a person, who makes international appearances, should necessarily write his own music. This is a wrong opinion. It is not necessary for a person to be a composer and performer of own songs at the same time.

Does it mean that nobody should play Mozart, ever?... Millions of people play Mozart. I believe that the best one amongst them is Richter. So, this does not bother me. On the contrary, I like it. They play music of different composers and of different genres. This again speaks for their good taste. Of jazz, rap, classics, the other direction, they chose something that is very close to them and is also acceptable for me and which is beautifully and perfectly conveyed to the audience.

ნინო – როცა ჯგუფები იქმნება, არ ვიცი, რატომ, გეკითხებიან, „შენი „ვეშჩები“ გაქვს?“ მე მირჩევნია, დავუკრა და ვიმღერო გემოვნებიანი მუსიკა, რომელსაც ჩემეულ არანჟირებას გავუკეთებ, ვიდრე მქონდეს ჩემი „ვეშჩები“ და არ იყოს ის „ვეშჩი“ კარგი. ეს ყველაფერი მუშაობისას მოდის, ურთიერთობიდან, განწყობიდან. იმისთვის, რომ გაკეთდეს რამდენიმე ჩანაწერი, ჯგუფი „ბუქ ქორნერ კაფეში“ საღამოს გამართავს. არსებობს ჯგუფები, რომლებიც შემოსავლის გამო ბარებში უკრავენ და ამით კმაყოფილნი არიან. ჯგუფი Window-ს ამ საკითხზე განსხვავებული ხედვა აქვს. ეს არ არის მათთვის თვითმიზანი.

რეპეტიციაც დაიწყო. ეს მათი ენაა, მათ ესმით მხოლოდ.
– „ეს რომ დაამთავრებს... მერე ჩვენ ძალიან ჩუმად ვუკრავთ და თამუნას „პიტი-კატოები“ შემოვა“...
– „უფრო ჩავარდნილი რომ იყოს და მერე ამოწიო უკეთესი იქნება“...
– „არა... არა... ეგრე კი არა, შენ ისევ ისე უნდა დაუკრა“.
– „ერთხელ ვცადოთ“...
– „ეს რომ პიტი-კატოებს დაუკრავს, მაშინ მე ძალიან ჩუმად უნდა დავუკრა“...

მთელი დღის დაღლილები სარეპეტიციოდ ნინოსთან იკრიბებიან. მარიამს თავისი ადგილი აქვს. იატაკზე ჩელომ ხვრელი გააკეთა. მეზობლები არ ბრაზობენ, პირიქით, სიამოვნებით უსმენენ. რეპეტიციები კვირაში სამჯერ აქვთ. გვიანობამდე გრძელდება. დათოს ბანკში ურეკავენ, „ვიწყებთ, აღარ მოდიხარ?“... „ჰო, ახლა გადავაბარებ და მოვდივარ“. ასეთი გაწამაწია აქვთ. აქ ყოველთვის არაჩვეულებრივად უკრავენ, კარგად გამოსდით. იმპროვიზაციის ატმოსფეროა. ზოგჯერ უცბად იცვლება რეგისტრი. სასიამოვნოდ შემოდის ვიოლინო გიტარის ხმაზე... ნელა ჰყვება ჩელო, საქსაფონი... ახალი წელი გამახსენდა... ახალ წელს ჰგავს ეს მუსიკა...

დათო – ჩემი აზრით, ჩვენი მუსიკა ახალი წელია... მყუდრო მუსიკაა და ჩემში ასეთ განწყობას აღძრავს...

ნინო – ჩემთვის ყოველი ახალი კომპოზიცია ახალი წელია...

იმ დღეს ჩემი „ფანჯრიდან“ ასე დავინახე მათი ფანჯარა, შეიძლება სხვამ სხვაგვარად დაინახოს. თუმცა... გააჩნია, როგორ შეხედავ და სად შენიშნავ მთავარ ხაზს...

ჩემი მასპინძელი, როგორც გითხარით, ნინო ისაკაძეა.. ჯგუფიც მან შეკრა. ამ ფანჯარაშიც მან შეგვახედა... ამ გოგოს აქვს რაღაც ისეთი, რასაც ერთ სიტყვაში ვერ დაატევ... რაღაც ძალიან უბრალო, გასაგები და ამავდროულად, თავბრუდამხვევი, ამაფორიაქებელი და ბრძნულიც. თითქოს დიდი გამოცდილება აქვს და ძალიან ბევრს იტევს მისი გონება. არ შეიძლება, არ დაიმახსოვრო. წარმოუდგენელია, დაგავიწყდეს...

However, Nino has her own two compositions they are going to play in the nearest future. Dato also composes music. There is a composer – David Malazonia. We want the group to make a “set” of ethno-jazz. One composition is almost ready. The other songs are being composed. This composer creates music especially for them.

Nino – When a group is created, you are permanently asked, although I don’t know why: “Do you have your own “things?” I prefer to play and sing tasteful music that I will be able to arrange in a manner I like rather than to have my own “things” and for them to be good. All this comes from work, from relationships and from mood. The group will have an evening at Book Corner Coffee to make some recordings. There are groups which play at bars and make money and they are happy with this. The “Window” group has a different vision of this issue. This is not an end in itself for them.

The rehearsal started. This is their language and only they understand it.

— We will play very quietly when she finishes and Tamuna’s pizzicatos will enter...
— It will be better first to drop and then to raise...
— No... no... Not like that, you should play it again the same way...
— Let’s try once more...
— When she played pizzicatos, I would play very quietly...

Tired from the day, they gather at Nino’s place for rehearsal. Mariam has her own place. The cello made a hole in the floor. The neighbours do not object, just the other way round – they like it to listen to them. They have rehearsals three times a week and these rehearsals last until late at night. They call Dato at the bank. “We are starting. Are not you coming?”... “Yes, I will hand over and be right there.” They have such a fuss.

There is improvisation in the air. Sometimes, the register changes quite suddenly. Violin sounds pleasantly like a guitar... cello, saxophone join slowly... I remember the New Year. This music is like a New Year.

Dato – In my opinion, our music is the New Year... it’s cozy music and I feel it like that...
Nino – For me, every new composition is the New Year...

I saw such a “Window” from my window. Someone else may see something else. It depends upon how you look at it and where the mainline is drawn.

As I have already said, our hostess is Nino Isakadze. She made this group. She opened this window for us. She has something which cannot be explained in one word, something very simple, understandable and, at the same time, dizzying, exciting and wise. It is as if she has a great experience and there are so many things in her mind. It is impossible not to remember. It cannot be forgotten.

ფოტო: გურამ წიბახაშვილი / PHOTO: GURAM TSIBAKHASHVILI

დაიჯესტი

DIGEST

WWW.KAIA.GE

მას მერე, რაც ირაკლის მამის, გელა ჩარკვიანის, უნატიფესი წერილი „ირაკლი“ წავიკითხე, ყველაფერი, რაც შეიძლება ითქვას ან დაიწეროს, სიყალბედ მიმაჩნია. გავმეორდები და ვიტყვი, რომ ირაკლიმ არა მხოლოდ ქართულენოვანი როკი შექმნა, რომელიც იმდენად ორგანულია ჩვენი კულტურისათვის, რომ მეორადად და პლაგიატად არ აღიქმება, არამედ უახლეს ქართულ ლიტერატურასაც ძალიან მსუყე შტრიხი შემატა თავისი მოთხრობებითა და რომანით „მშვიდი ცურვა“. ის ინტუიცია და წინათგრძნობა, რომელიც მან გამოხატა, ნამდვილად ერთეულების ხვედრია. ასეთ ტექსტებს პროფეტულს უწოდებენ. მათი შემქმნელები, როგორც წესი, ასცდნენ საკუთარ დროს და თავად იქცნენ ეპოქად. მხოლოდ სიკვდილმა და მითმა არ აქცია ირაკლი ისტორიის კუთვნილებად. მეამბოხე დღეს კლასიკოსი გახდა, რაც არ ნიშნავს აკადემიზმს. ესაა ცოცხალი კულტურა მკვდარი კულტურისა და ნაცრისფერი რეალობის ანტითეზი.

KAIA.GE – შეგიძლიათ მოისმინოთ ირაკლი ჩარკვიანის ახალი ალბომი „თეთრი ღმერთი“. ალბომში შესულია ირაკლის ლექსებზე შექმნილი 14 კომპოზიცია. არანჟირებების ავტორია გიორგი ასანიშვილი, ვოკალი – ირაკლი ჩარკვიანი, ქეთათო. სხვათა შორის, ალბომის ეგრეთ წოდებული download-ი უფასოა. პროექტის მხარდამჭერები არიან „სილქნეტი“ და „სოლო სტუდიო“.

Ever since I read the most sophisticated letter, “Irakli,” by Irakli’s father, Gela Charkviani, I find everything that can be said or written a fake. Once again, I would like to say that Irakli created not only the Georgian-language rock, which has become so organic for our culture that isn’t deemed as something secondary and plagiarism, but also significantly enriched the modern Georgian literature with his stories and the novel, Silent Swim. The intuitions and presentiment that he has expressed is certainly the gift of a unique person. Such texts are called prophetic. Their authors usually passed their times and became epochs themselves. His death and myth has not made Irakli just a part of history. A riotous has become a classical today, which does not mean academism. This is the live culture, an antithesis of dead culture and gloomy reality.

KAIA.GE – you can listen to Irakli Charkviani’s new album White God. The album includes 14 compositions based on his original lyrics. Arrangements are made by Giorgi Asanishvili, singers – Irakli Charkviani, Ketato. By the way, album can be freely downloaded. The project was supported by Silknet and Solo Studio.

ფოტო: ქეთათოს არქივიდან / PHOTO: KETATO'S ARCHIEVE

მულტიტესტი MULTITEST

16 დეკემბერს „თბილისი ივენთ ჰოლში“ ჯგუფ „ზუმბალენდის“ სოლო კონცერტი და ახალი ალბომის, „მულტიტესტის“, პრეზენტაცია გაიმართა. პროექტი საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს ხელშეწყობით განხორციელდა – „ქართული ხელოვნების საღამოების“ ფარგლებში.

ალბომი „მულტიტესტი“ ვილნიუსის ერთ-ერთ პრესტიჟულ სტუდია Mama Studios-ში ჩაიწერა. ალბომში შესული ყველა კომპოზიცია ჟანრობრივად განსხვავებულია. ფოლკლორისა თუ ქალაქური სიმღერის ცნობილმა ნიმუშებმა („ციცინათელა“, „ნანა“, „მაყრული“ და სხვა) ეთნოჯაზის სახე მიიღო.

ზაზა კორინთელი, იგივე ზუმბა, იმ მუსიკას ქმნის, რომელშიც უცხოელების შეფასებით „კავკასიური სული“ ჩანს. აუცილებელი არაა, შექმნა ცალსახად ალტერნატიული ან სოციალური მუსიკა. ხელოვნება, რომელიც ახდენს გარკვეული იდეის, მით უფრო ნაციონალურის მანიფესტაციას, უკვე სოციალურია.

Tbilivi Event Hall hosted the solo concert of the group “ZumbaLand” and the presentation of its new album “Multitest” on December 16. The project was implemented with the support of the Ministry of Culture and Monument Protection of Georgia within the framework of the “Georgian Art Evenings”.

The album “Multitest” was recorded in one of the prestigious “Mama Studios” in Vilnius. All compositions included in the album are different by its genre. Famous samples of folk or urban songs (“Tsitsinatela”, “Nana”, “Makruli” etc.) have acquired an ethnic jazz form.

Zaza Korinteli i.e. Zumba creates the music which, as assessed by the foreigners, exposes “Caucasian soul”. It is not necessary to do pure alternative or social music. Art that is the manifestation of a certain idea, especially of something national, is already social.

ფოტო: ჯგუფი ზუმბალენდის არქივიდან / PHOTO: ARCHIEVE OF GROUP ZUMBALAND

ქართული კინოს საერთაშორისო აღიარება
GEORGIAN CINEMATOGRAPHY INTERNATIONALLY ACKNOWLEDGED

„ბახმარო“ / *BAKHMARO*

„ბახმარო“ / *BAKHMARO*

იჭლავას დოკუმენტური ფილმების ფესტივალზე „ბახმარო“ (რეჟისორი სალომე ჯაში; პროდიუსერი ანა ძიაპშიპა) დაჯილდოვდა პრიზით – 2011 წლის საუკეთესო დოკუმენტური ფილმი ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპიდან. კინემატოგრაფიულ წრეებში ამ ჯილდოს „აზიურ ოსკარს“ უწოდებენ. როგორც სალომე ჯაში აღნიშნავს, თავის დროზე მასზე დიდი გავლენა მოუხდენია სერგეი დვორცევოის, რომლის სტილსაც თუ „ბახმაროს“ მივუსადაგებთ, ვფიქრობთ, რომ ახალგაზრდა ქართველი დოკუმენტალისტი ასცდება იმ მანერულობას, რომელიც დვორცევოის ფილმებს ოდნავ მოსაწყენს ხდის.

"Bakhmaro" (director Salome Jashi, producer Ana Dziapshipa) was awarded the Best Documentary of 2011 from Central and Eastern Europe at the Jihlava International Documentary Film Festival. This award is called the "Asian Oscar" in cinematography circles. As Salome Jashi said, she was under the great influence of Sergei Dvortsevoy. If his style were applied to "Bakhmaro", we think that the young Georgian documentary director would go beyond what renders Dvortsevoy's films somehow boring.

„ნეტავ იქ თეატრი არის?!“ /
WILL THERE BE A THEATRE UP THERE?!


„ნეტავ იქ თეატრი არის?!“ /
WILL THERE BE A THEATRE UP THERE?!

The hero of Nana Janelidze's feature-documentary, "Will There Be A Theatre Up There?!", is a popular Georgian actor, Kakhi Kavsadze. No, to be more precise, it is the epoch itself—the Soviet realities — that is the focus of the author's attention. The film has been shot in the interior of the factory for railway car maintenance. The factory is a synonym of Stalin's epoch. The film was awarded at the Montpellier Film Festival.

The first full-lengh film by Keti Machavariani, "Salt White", was awarded for the best debut and for the best male actor performance (actor Gagi Svanidze) at the Cottbus Film Festival of Young East European Cinema in Germany. "Salt White" is a social drama, possibly an existentialist drama, where the way of life is defined for people, how they should live and how they should love.

ნანა ჯანელიძის მხატვრულ – დოკუმენტური ფილმის „ნეტავ იქ თეატრი არის?!“ გმირი პოპულარული ქართველი მსახიობი კახი კავსაძეა. არა, უფრო სწორად, ავტორის ყურადღების ცენტრში თავად ეპოქაა – საბჭოთა რეალიები. ფილმი ვაგონშემკეთებელი ქარხნის ინტერიერშია გადაღებული. ეს ქარხანა სტალინური ეპოქის ერთგვარი სინონიმია. ფილმი მონპელიეს საერთაშორისო კინოფესტივალზე დაჯილდოვდა.

გერმანიაში, კოტბუსის აღმოსავლეთ ევროპის კინოს საერთაშორისო ფესტივალზე, ქეთი მაჭავარიანის პირველი სრულმეტრაჟიანი სურათი „მარილივით თეთრი“ საუკეთესო დებიუტისა და მამაკაცის როლის საუკეთესო შესრულებისთვის (მსახიობი გაგი სვანიძე) დაჯილდოვდა. „მარილივით თეთრი“ სოციალური დრამაა, შესაძლოა ეგზისტენციალურიც, რომელშიც განმსაზღვრელი ადამიანებისათვის ყოფაა, როგორ იცხოვრონ ან როგორ უყვარდეთ.

„ნეტავ იქ თეატრი არის?!“ /
WILL THERE BE A THEATRE UP THERE?!


„მარილივით თეთრი“ /
SALT WHITE

„მარილივით თეთრი“ /
SALT WHITE

ქართული საგანძური რომში GEORGIAN TREASURE IN ROME

იტალიაში, რომში, ტრაიანეს ბაზრებში, ნოემბერში გაიხსნა და სამი თვე გრძელდება კოლხეთისა და იბერიის სამეფოთა არქეოლოგიური საგანძურის გამოფენა. გამოფენაზე სულ 185 ექსპონატია წარმოდგენილი. რომის მერიისა და იტალიის კულტურის სამინისტროს ერთობლივი პროექტი „აბრეშუმის გზის ბიენალე“ სხვა 11 ქვეყნის გამოფენასაც მასპინძლობს. ამ ფონზე საქართველოს, როგორც ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი კუთხის, წარმოჩენა არა მხოლოდ ქვეყნის კულტურული რესპექტაბელურობის ან ცნობადობის ზრდის ნიშანია, არამედ პოლიტიკური ჟესტიცაა. იმავე ოკუპირებულ ტერიტორიებზე აღმოჩენილი უძველესი ექსპონატები (მაგ. „ბრინჯაოს დათვი“ აფხაზეთიდან) ქვეყნის ისტორიულ და კულტურულ ერთიანობას უსვამს ხაზს.

ის, რომ მეღვინეობის ან დამუშავებული და შეღებილი სელის წარმოების სამშობლო საქართველოა, აღიარებული ფაქტია. რომის გამოფენა კი იძლევა საბაბს, რომ მეტალურგიის ჩასახვაც ჩვენს რეგიონს დაუკავშირდეს.

Exhibition of archeological treasures of Kolkhian and Iberian Kingdoms was opened in November in Trajan's markets, Rome, Italy and has been on for three months already. Only 185 exhibits are being presented at the exhibition. Joint project of the Mayor's Office of the city of Rome and Ministry of Culture of Italy "Silk Road" Biennale is hosting the exhibitions of other 11 countries too. Presenting Georgia as one of the ancient places of civilization is not only the sign of cultural respectability or eminence of the country, but a political gesture too. The ancient exhibits (e.g. "Bronze Bear" from Abkhazia) discovered on the occupied territories emphasizes the country's historical and cultural unity.

The fact that Georgia is the motherland of wine or processed and painted flax is already acknowledged. The exhibition in Rome gives grounds to link the origin of metallurgy to our region again.

ფოტო: კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო / PHOTO: MINISTRY OF CULTURE AND MONUMENT PROTECTIONARCHIEVE

საფერავი SAPERAVI

3 დეკემბერს „ქართული ხელოვნების საღამოების“ ფარგლებში ნიაზ დიასამიძისა და ჯგუფ „33ა“-ს კონცერტი და ახალი ალბომის, „საფერავის“, პრეზენტაცია გაიმართა. კონცერტში მონაწილეობდნენ ნიაზის მეგობრები – ჯგუფი Lo'Jo (საფრანგეთი) და VOLOSI (პოლონეთი).

შოთა, ვაჟა, გალაკტიონი, ქართული ვაზის ჯიშები, მრავალჟამიერი – ეს და სხვა კულტურული არქეტიპები ალბომში შესული კომპოზიციების ინსპირაციის წყაროა – კლასიკა ყოფით განზომილებაშია აღქმულ-გატარებული და, რაც მთავარია, ახლავს ნონკონფორმისტული სული, ცოტა ეპატაჟი და ის, რაც „ნაღდია“: „ცოტა მეტ დროს თუ დავუთმობთ სულს, ცოტა მეტ დროს თუ დავუთმობთ შრომას, ცოტა ნაკლებ დროს დავუთმობთ შურს...“ („ამპელოგრაფია“).

The concert of Niaz Diasamidze and Group "33a" and the presentation of its new album "Saperavi" were held on December 3 within the framework of Georgian Art Evenings. Niazi's friends – group "Lo'Jo" (France) and "VOLOSI" (Poland) took part in the concert.

Shota, Vazha, Galaktioni, Georgian vine species, Mravaljamier, as well as other cultural archetypes are the sources of inspiration of the compositions included in the album. The classics understood and realized in a domestic prism, and more importantly a nonconformist spirit, a bit of epatage and something that is "genuine": "if we dedicate more to our souls, spend a bit more time to work, and less time to envy" ("ampelography").

ფოტო: ჯგუფი 33ა-ს არქივიდან / PHOTO: ARCHIEVE OF GROUP 33A

გამოფენა — „უბრალო ისტორიები“ EXHIBITION JUST SO STORIES

გამოფენა – „უბრალო ისტორიები“, რომელსაც 22-29 ოქტომბერს ევროპის სახლმა უმასპინძლა, საერთაშორისო პროექტ Revolution Art-ის ფარგლებში გაიმართა. პროექტის თემა და მიზანიც ეგრეთ წოდებული პოსტტოტალიტარული სინდრომია, 90-2000-იანი წლების პოსტსოციალისტური ქვეყნების გამოცდილება, რომელიც მის მონაწილე სხვადასხვა ქვეყანასა და მსახიობს აერთიანებს.

The exhibition, Just So Stories, was held within the framework of the R'Evolution Art international project from 22-20 October at Europe House. The theme and the purpose of the project was the so-called post-totalitarian syndrome or the post-socialist countries' experience of the 1990s and 2000s that is shared by participant countries and actors.

ფოტო: ანა რიაბოშენკოს არქივიდან / PHOTO: ANA RIABOSHENKO'S ARCHIEVE

რეფლექსია უახლეს ისტორიასა და ტოტალიტარული რეჟიმით დაღდასმულ სოციუმზე განსხვავებული ეთნიკური წარმომავლობის მსახიობების ინსპირაციის წყარო ხდება.ამ წლებში ავანგარდიზმი ხელოვნების მახასიათებელიცაა, რადგანაც ტოტალიტარული რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული რევოლუციები და მასობრივი პროტესტები არა მხოლოდ მედიასა და სოციალურ სფეროში აისახებოდა, არამედ ხელოვნების მთავარი თემაც იყო. ეპატაჟისა თუ პროტესტის მიღმა ათწლეულების განმავლობაში დათრგუნული ენერგიაც გათავისუფლდა. მე ცნება თავისუფლებასაც ბრჭყალებში ვახსენებ. არც წარსულისგან (ისტორიულ მეხსიერებას ვგულისხმობ) გათავისუფლებაა იოლი და არც თავისუფლებაა ნებისმიერი წყობისა თუ სისტემის, თუნდაც პოსტტოტალიტარულის, სინონიმი. მთავარი გაცნობიერებაა, რეფლექსია, ამ შემთხვევაში Art-ის საშუალებით.

Reflexion upon the newest history and society stigmatised by a totalitarian regime becomes a source of inspiration for actors of different ethnic origins. In those years, avant-gardism was also a characteristic feature of art since the revolutions and mass protest against the totalitarian regime were not only topics for the media and the social sphere, but also the main theme in the arts. The energy suppressed for decades beyond epatage and protest was freed. I use the concept of freedom in inverted commas. Neither freeing from the past (I mean historic memory) is easy, nor is freedom a synonym of any regime or system, even of a post-totalitarian one. What is fundamental is realisation and reflexism, in this case by means of art.

ფოტო: ანა რიაბოშენკოს არქივიდან / PHOTO: ANA RIABOSHENKO'S ARCHIEVE

გამოფენაზე წარმოდგენილი იყო ნამუშევრები ჩეხეთიდან, რუმინეთიდან, უკრაინიდან, ბელორუსიიდან და საქართველოდან. ქართული მხარის კურატორმა ანა რიაბოშენკომ და მხატვრებმა: ილიკო ზაუტაშვილმა, ვაჟიკო ჩაჩხიანმა, ლადო დარახველიძემ და როშელ ჰეიმენ დარახველიძემ წარმოადგინეს სხვადასხვა რაკურსით დანახული უახლესი ქართული რეალობა. კონცეფციის საერთო სათაური იყო „საზოგადოება და სტერეოტიპები“.

Works from the Czech Republic, Romania, Ukraine, Belarus and Georgia were presented at the exhibition.

Curator of the Georgian side, Ana Rjaboshenko, and artists Iliko Zautashvili, Vajico Chachkhiani, Lado Darakhvelidze and Rochell Hymen Darakhvelidze, presented the newest Georgian reality from the different perspectives. The concept was called Society and Stereotypes.

ფოტო: ანა რიაბოშენკოს არქივიდან / PHOTO: ANA RIABOSHENKO'S ARCHIEVE

CD 1

1. ახალ წელს – ირაკლი ჩარკვიანი და ქეთათო
   მუსიკა და ტექსტი: ირაკლი ჩარკვიანი
2. **Jazz Love** – დათო ევგენიძე
   მუსიკა: დათო ევგენიძე
3. გაგივლის – ბიბი და სერგი
   მუსიკა და ტექსტი: ბიბი კვაჭაძე
4. **The last Minute of the Terrorist – Green Rooom**
   მუსიკა და ტექსტი: **Green Rooom**
5. ციცინათელა – ზაზა კორინთელი (ზუმბა)
   მუსიკა: ზაზა კორინთელი, ტექსტი: აკაკი წერეთელი
6. სიყვარულის მანქანა – პორნოპოეზია
   მუსიკა: პორნოპოეზია, ტექსტი: თორნიკე ქარჩხაძე
7. ავოე – 33ა
   მუსიკა და ტექსტი: ნიაზ დიასამიძე

●

8. ქართული ზღაპარი ანი ბანი აი ია – გია ნიკოლაძე
   მუსიკა და ტექსტი: გია ნიკოლაძე
9. ღლეები რბიან – ფრანი
   მუსიკა და ტექსტი: შოთა ბაქარაია
10. **Happy New Year – Soft Eject**
    მუსიკა და ტექსტი: **Soft Eject**
11. მივალ გურიაში – კახაბერი და ხანუმები
    მუსიკა: კახაბერი, ტექსტი: ხალხური
12. **Until** – ნინო ქათამაძე **& Insight**
    მუსიკა: ნინო ქათამაძე **& Insight**, ტექსტი: ნატო ინგოროყვა
13. ბოთლში ჩამწყვდეულ ფიქრებს – მგზავრები
    მუსიკა და ტექსტი: გიგი დეკალამაზიშვილი
14. **I'm Callin' You – MAO**
    მუსიკა და ტექსტი: მაია დარსმელიძე
15. ია – თამთა ცხვიტავა
    მუსიკა: დათო არჩვაძე, ტექსტი: ვაჟა-ფშაველა

CD 2

1. ფიფქებო – ნეკა სებისკვერაძე
   მუსიკა და ტექსტი: გიული დარახველიძე
2. ჩავიდა მზე – მერაბ სეფაშვილი
   მუსიკა: ლილიკო ნემსაძე, ტექსტი: ირინა სანიკიძე
3. თბილისო – ელა წურწუმია
   მუსიკა: რუსა მორჩილაძე, ტექსტი: ირინა სანიკიძე
4. **It's ok** – ნოდიკო ტატიშვილი
   მუსიკა: მაია კაჭკაჭიშვილი, ტექსტი: ბორიკო შხიანი
5. თეთრი იასამანი – დავით გომართელი
   მუსიკა: გიორგი გორდეზიანი, ტექსტი: გურამ პეტრიაშვილი
6. ტანგო – გიორგი სუხიტაშვილი
   მუსიკა: ვაჟა აზარაშვილი, ტექსტი: მორის ფოცხიშვილი
7. **We Don't Wanna Put In** – სტეფანე და 3G
   მუსიკა: სტეფანე მღებრიშვილი, ტექსტი: ბიბი კვაჭაძე

●

8. მშვიდობით – აჩი მეფარიძე
   მუსიკა: რუსა მორჩილაძე, ტექსტი: ირინა სანიკიძე
9. ჩუმად მინატრე – ნინი ბადურაშვილი
   მუსიკა: მაია კაჭკაჭიშვილი, ტექსტი: მანანა გურგენიძე
10. ბათუმი – სოფო ბალვაში
    მუსიკა: ანა ქასრაშვილი, ტექსტი: ირინა სანიკიძე, ზვიად სირაბიძე
11. ჩემო ცისფერთვალება – ნატო გელაშვილი, გიო ხუციშვილი
    მუსიკა და ტექსტი: ნატო გელაშვილი
12. **In love We Swim** – დუეტი ჯორჯია
    მუსიკა: რატი დურგლიშვილი, ტექსტი: გია ჯობაძე
13. მომნატრებიხარ – ანრი ჯობაძე
    მუსიკა და ტექსტი: ანრი ჯობაძე
14. ამაღამ – ნინო ჩხეიძე
    მუსიკა: რუსა მორჩილაძე, ტექსტი: ირინა სანიკიძე
15. უშენოდ – ნინა წკრიალაშვილი
    მუსიკა: ლილიკო ნემსაძე, ტექსტი: ირინა სანიკიძე

GCA
საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაცია
ვოლუნტარული ცენტრალური ორგანიზაცია

ჟურნალი საავტორო უფლებების შესახებ
Magazine On Copyright
ზამთარი/Winter 2012
№1